ᲛᲔᲜᲐᲠᲘ

1883

№ XI, ნოემბერი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.
ᲫᲕᲗᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ.
1883

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე

№ 11 XI

ბ-ka

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 декабря 1883 г.

შინაარსი:

I. წერილები ლორენცო ბენლანისა (დასასრული)
თარგმანი ელ. მამულაშვილის 4
II. რუსულის სკოლის დასაწყისი ჩვენში ს—ნისა . 40
III. საანდაზო ლექსები (ამოკრეფილნი «ეფეზკის ტყალსნიდამ», ქილილა და მანიდამ» და «გურამიანიდამ (შემდეგი იქნება) 62
IV. საბერძნეთი. 78
V. შინაური მიმოხილვა 98
—ყველაზედ დიდი ნაკლი—დაბალი ლობე—ჩვენი ხასიათი—ალვირ აშვეული ვარჯიშობა—აბრუ გატეხილი სიტყვა—რა მიზეზია—რა ვიგრძენით—ავყვეთ—გარეგანი დაბრკოლება—საყოველთაო მოსაზდენი—თვით განგვიკითხოს—თქვენ ჰირს შაქარი—დიდს ყოფაში ვყოფილვართ—მაშ რა მიზეზია?—ცენტრალიზაცია—გამოვწლათ—ახლა ვიკითხოთ—ვჭსოქვათ—განა?—წამალი—ნაპოლეონ III—წველა და სანკცია—რა გამოდის—არა, ბატონებო—მაშ რა ყოფილა?—რა დროს სიზმრებია—მიზეზია მიზეზი—გვჯერა—საიდამ და სად.
VI. განცხადება 118
VII. რედაქციისაგან (ყდაზედ)

განცხადებანი.

ჟურნალი
«ი ვ ე რ ი ა»
(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იშვე სახით და სიგრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: შაგერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიგური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან,

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოთვლის მასწავლებელთა-თვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი:

Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ყველანი თუნდ ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი Ил. ჭავჭავაძე

მიიღება ხელის-მოწერა
მომავალ 1884 წლისათვის
«დროებაზე»
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმოხსოვნოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, კანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ბორში, საზოგადოების დუბოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: въ Тифлисъ, въ редакцію «ДРОЭБА».

ფასი ხელის-მოწერისა

წლით (12 თთვით) 9 მ., 11 თთვით—8 მ. და 50 კ. 10 თთვით—8 მ. 9 თთვით—7 მ. და 50 კ., 8 თთვით—7 მ. 7 თთვით—6 მ. 6 თთვით 5 მ., 5 თთვით—4 მ. 50 კ., 4 თთვით—4 მ., 3 თთვით—3 მან., 2 თთვით—2 მ., 1 თთვით 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით — 7 მან., 6 თთვით—4 მან., 3 თთვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

გამომცემელი გ. ქართველიშვილი.

რედაქტორი ი. მაჩაბელი

წერილები ლოგინიდან ბენოვნისა

(დასასრული *)

თავი XXXVI

გაქცეული

(გაგრძელება)

მე დიდის გამოუთქმელის სიხარულით გავიქეცი ზღვის ნაპირს. აუუდებული მთა, რომელზედაც გადის შესანიშნავი გზა კარნიზი, და კიდევ სხვა მთები დამეურებდენ მაღლიდამ. როგორც დაჭრილი მშველი, ისე გავრბოდი მთაში გაუკანილს ბილიკზედ. თითქმის ნახევარ გზაზედ იდგა ქოხი, რომლის კარებიც ვიღაცა გაღო სწორედ იმ დროს, როდესაც იმის ახლოს გავირბინე. წეურვილისგან შეწუხებული შევდექი, რომ მეთხოვნა იმ კაცისთვის ერთი სტაქანი ღვინო ან რძე.

იმან ერთს წამს დამიწყო ცქერა, მერე შებრუნდა შინ და მოკეტა კარები. უთუოდ საზარელი შეხედულობა მქონდა. რაკი ვერ ვიშოვე დასალევი რამ, გავიქეცი და როდესაც დიდს გზაზედ გავედი, ჩემდა უნებურად მარჯვნივ შევუხვიე, საიდამაც მცირე მანძილზედ ქალაქი მოჩანდა.

---

*) «ივერია» 10, 1883 წ.

ჯერ ასი ნაბიჯი არ გადამედგა, რომ დავინახე ერთი გრეკა ხალხი, რომელიც ჩემსკენ მოდიოდა. ინსტიკტიურმა გრძნობამ მაიძულა იმათთვის გზა ამექცია. როდესაც დავიწყე ფიქრი, თუ როგორ ამექცია მათთვის გზა, მე დავინახე მარცხნივ ერთი ბილიკი, რომელიც მთაში მიდიოდა, მაშინვე დავდექი იმ გზას და რაც ძალა და ღონე მქონდა გავრბოდი, თუმცა ალმართისაგან ცოტა არ იყო შევწუხდი.

მხოლოდ მაშინ შევდექი, როდესაც მთის წვერზედ ავედი. მზე იგბინებოდა; წყურვილისაგან შეწუხებული დავჯექი და ვფიქრობდი, რომელი გზა ამოვირჩია. მე ვგრძნობდი რომ რამე გზა უნდა ამოვირჩია, მაგრამ ვერ ვახერხებდი. მე ვგავდი იმისთანა კაცს, რომელსაც სიზმარში განსაცდელი მოელის, მაგრამ ვერ კი განძრეულა, რომ ეს განსაცდელი თავიდამ აიცილოს. გონება მეუბნებოდა, რომ დრო არის რამე გზა ამოირჩიო. ერთი სიტყვით არ შეიძლება გადმოგცეთ ის საშინელი განწირულება, რომელსაც ამ ულონობის დროსა ვგრძნობდი: ამ დროს რომ ვინმე სალდათი მოსულიყო და დავეჭირე, დიდს მადლობას გადავუხდიდი, რადგანაც ამით იგი ჩემს დაუსრულებელს ტანჯვას ბოლოს მოუღებდა. ძაღლების ყეფამ, რომელიც მოდიოდა მთის კალთებიდამ, დამიხსნა ამ ზნეობითის ულონობიდამ. არ ვიცი საიდამ, მაგრამ მახსოვდა კი, რომ ვითომც სამხრეთ საფრანგეთში კაცებზედ ძაღლებით ნადირობა სცოდნიათ. მე კარგათ ვიცი, რომ ჯერ კიდევ საფრანგეთში არა ვარ, მაგრამ მოგონდა, რომ აი დამინახეს და მიცნეს და ძაღლებმაც ჩემს კვალს მოაგნეს. აი წამოვხტი და საითაც ღმერთმა მაუწყა იქით გავიქეცი, როგორც მხეცი, რომელსაც ძაღლის ყეფა წამოაგდებს ხოლმე. მე მიკრბოდი იქამდის, სანამ წინ ერთი საშინელი უფსკრული არ დამხვდა. უმჯობესი

არ არის, რომ გადავარდე ამ უფსკრულში? იქ, უფსკრულის ძირში, ჩემს ტანჯვას ბოლო მოელება. «მერე დედა-შენი?» მე მივიხედ-მოვიხედე, რომ გამეგო ვინ მელაპარაკებოდა. რასაკვირველია არავინ არ იყო, მაგრამ დედა-შვილურმა სიყვარულმა მაინც გადამარჩინა. მე მოვშორდი უფსკრულს.

ძალლების ყეფა მისწყდა. «რა კარგი იქნება, რომ დამეძინოს! ეს მე სარგებლობას მოვიტანდა. დავგეცე პალტო, თავით დავიდე და დავწექი. რამდენსამე წამს უძრავად ვიწექ თვალებ დახუჭული, მაგრამ მაინც ვერ დავიძინე. სულის მოძრაობა სჯობნიდა დასუსტებულს სხეულს და ჩემს ყურებში გაისმოდა წყლის ჩხრიალი, რომელიც ძალს მიოგრთხობდა. წყურვილმა მეტის-მეტად შემაწუხა. გადავწყვიტე ჩამოვსულიყავ მთის კალთებში, რომ ეგებ წყალი მეპოვა.

ჩემდა საბედნიეროდ წყალი მალე ვიპოვე. მე დავეწაფე წყალს, სიამოვნებით დავიბანე ხელ-პირი და კვალად წამოვწექი ერთი ხის ძირში იმ განზრახვით, რომ თუ არ დამეძინებოდა, დავისვენებდი მაინც. ჩემს წინ ბრწყინავდა ხმელთა-შუა ზღვა. არ ვიცი რამდენს ხანს, მაგრამ მგონია რავდენსამე საათს კი ვიწექი. მე არ მეძინა,—ეს კარგად მახსოვს,—მაგრამ იმისთანა მდგომარეობაში ვიყავ, რომ არც მეძინა და არც მელვიძა. ამ დროს კიდევ ვნახე საზმარი ანუ უკეთ ვსთქვათ მოჩვენება.

დღევანდელამდის არ ვიცი, თუ ჩემს წინ რამე კუნძული იყო. მაგრამ მე კი ვნახე იგი, ანუ უკეთა ვსთქვათ ვხედავ მას; ასევე ცხადად ვნახე იმპერატორი ნაპოლეონი, რომელიც მკვდარი იყო და ის ტანისამოსი ეცვა, რომელშიაც ჩვეულებრივ ხატვენ ხოლმე. ვინ იცის, რად მოგელანდა ნაპოლეონი, რომელთანაც არას დროს არავითარი კავშირი არა მქონია და რომელიც თავის დღეში არ მინახავს. მაგრამ ჩემს წინ კი იდგა.

ყველა იმის ძმები და მარშლები დიდებულის პროცესიით მიდიოდენ იმის წინ, მოწიწებით უკრავდენ თავს სახელოვანს ცხედარს და მერე გარეშემო ეხვეოდნენ.

არ ვიცი რამ გამოიყვანა ამ სიზმრიდამ, მაგრამ მე კი კვალად წავედი წყლის ნაპირზედ, ხელმეორედ დავიბანე ხელპირი და დავიწყე უგზო-უკვლოდ სიარული. ბოლოს მე ავედი ერთს გორაზედ, საიდამაც ჩემს სიახლოვეს ქალაქი დავინახე. ამ ქალაქის დანახვაზედ მომაგონდენ რავდენიმე მეგობრები, რომლებიც იქ იყვნენ, და რომლებისგანაც დახმარებას მოველოდი. მოდი გავბედავ და ჩავალ იმ ქალაქში, ვეცდები ჩემი მეგობრები ვიპოვო. გადავწყვიტე ჩემს ბედსა ვცდი მეთქი.

მთაზედ ბევრი ბილიკები გადიოდენ, ერთს ამ ბილიკს დავადექი და იმედი მქონდა, რომ ქალაქში ჩამიყვანდა. გზაზედ ჩემი უურადღება ერთმა პატარა სახლმა მიიქცია, თუმცა ამ სახლის გვერდით გავიარე, მაგრამ ვერ შევდექი.

ამ ბილიკმა ერთს დიდს გზაზედ გამიყვანა, რომელზედაც უნდა მეკლო ქალაქში მისვლამდის. ძალიან შევშინდი. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ამ გზის აქცევა ვერ მოვახერხე. რაკი დიდს გზას დავადექი, მედიდური სახე მივიღე და ნელ-ნელა დავიწყე სიარული.

ვინც კი მხედავდა, ყველა გაკვირვებული მიცქერდა. აქედამ ის გამოვიყვანე, რომ ალბად საეჭვო შეხედულება მაქვს მეთქი.

განსაკუთრებით უფრო ძალიან მაშინ შევშინდი, როდესაც ქალაქის კარებთან მივედი და იქ ორი ყარაულად მდგარი სალდათი დამხვდა. დავინახე თუ არა ისინი, მაშინვე უკან გამოვბრუნდი. პატარა ქალაქში, სადაც ერთმანეთის ყველანი იცნობენ, მალე შეიტყობდენ რომ მე უცხო ვიყავ და დაიწყებდნენ ჩემს ვინაობის გამოკითხვას.

რა გზიდაც მოვედი, იმავ გზას დავადექი და უკანვე დავ-ბრუნდი. მივდიოდი უსაგნოდ და არც ვიცოდი სად მივდიოდი იქამდის, სანამ არ დავინახე ერთი პატარა სახლი, რომელიც ძალიან მოშეწონა. რა სიამოვნებით ვუყურებდი იმ სახლს! რა გულით მინდოდა თავი იმ სახლის ჯერ-ჭვეშ შემეფარებინა! სახლის წინ ერთი მშვენიერი ინდის ხურმის ხე იდგა, და, რადგანაც ლამდებოდა, გადავწყვიტე ღამე იმ ხის ქვეშ გამეტარებინა.

«თუ რომ ცოტა თვალი მოვატყუე», ვფიქრობდი, «ხვალ გონზედ მოვალ და მაშინ შემეძლება გამოსვლა გაჭირვებულის მდგომარეობიდამ». — და აი დავწექი ხის ქვეშ, მაგრამ შიმშილმა ისე შემაწუხა, რომ არ მეგონა თუ ღამეს გავათევდი.

— აქ რას აკეთებთ?—ჩამოძახა ვილაცაც ყურში. გავახილე თვალები და დავინახე ჩემს გვერდით გლეხი, რომელიც დაღვრემილი მიყურებდა. ზეზედ არ წამოდგარვარ, რომ მას გლეხა არა ვგონებოდი. მხოლოდ წარმოვჯექი, ქისა ამოვიღე და ვუთხარ: «გზა ამერია, ჩემო კარგო; ძალიან დავიღალე და დღეს ქალაქში ვეღარ წავალ. თუ რომ რამეს მაჭმევ და დამალევინებ, ამასთანავე თუ თავის შესათვარსაც მიშოვნი, რომ დავისვენო ხვალამდისინ, სიკეთეს გადაგიხდი.»

ეს კაცი ცოტა სულელსაც და ბოროტსაც ჩვავდა. მაგრამ რაკი მან ოქრო დაინახა, მითხრა უკან გავყოლოდი. იმან ჩემ მოწონებულ სახლისკენ წამიყვანა.

«რა საკვირველებაა და რა სიამოვნებაა», ვფიქრობდი, რომ იმ სახლში მოძიხდა ყოფნა, რომელსაც მთელი დღე შურიანის თვალით ვუყურებდი.»

ასე ვფიქრობდი მე და არა ჩემი მასპინძელი, ამისთვის რომ, როდესაც სახლის კარებზედ მიგვედი, მან მითხრა დავმჯ-

დარიუაკ ქვის სკამზედ, სინამ ჩემთვის საჯმელს იშოვნიდა. იგი მალე დაბრუნდა და მოპიტანა პური და ერთი პატარა კალათა ბალი. მე ამისთანა მცირე საჯმლის დანახვა არ მიამა და ვუთხარი, რომ უკეთესი საჯმელი ეშოვნა. მან თავი გაქნია და პასუხი კი არ მოგცა. მაგრამ ისე ძალიანა მშიოდა, რომ რაც მოპიტანა იმასაც ბედნიერებად ვთვლიდი.

ჯერ ჯამა არ გამეთავებინა, რომ ჩვენთან ერთი ქალი მოვიდა. იგი ემაწვილი იყო და უფრო სასიამოვნო შეხედულობა ჰქონდა, სინამ გლეხ-კაცს. მას ჰქონდა დაწითლებული ლოყები, მოცინარი პირი და თუმცა ლამაზების რიცხვში არ ჩაითვლებოდა, მაგრამ იმის სილამაზეს შეადგენდა კეთილი გული და მიმზიდველი სახე; გლეხი კაცი კი, რომელიც, როგორც მერე გავიგე, იმის ქმარი იყო, იმ კაცების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც არც თუ კეთილი გულისანი არიან და არც თუ ბოროტისანი. წინა-პირველად ის ქალი გაჩვენერდა, მაგრამ როდესაც გაიგო, ჩემი მათის სახლში მისვლის მიზეზი, მაშინ იგი უკმაყოფილო გახდა მაზედ, რომ იმის ქმარი ისე გულცივად მეპყრობოდა.

ქალი უფრო თავაზიანია და შორს მხედველი, სინამ კაცი. თუმცა ძალიან დაღლილი ვიყავ და გამტკვერიანებული, მაგრამ ის ქალი მაშინვე მიხვდა რა წოდების კაციც ვიყავ და თავის ქმარს უსაყვედურა: «რიგიანს ხალხს განა ასე ეპყრობიან?» შემდეგ მოიბრუნდა და მთხოვა შინ შევსულიყავ დასასვენებლად. მან შემიყვანა ოთახში, რომელიც მებელით არ იყო მოწყობილი, მაგრამ სუფთა კი იყო. ჩემმა მასპინძელმა ქალმა დამითმო ოთახი და შეუდგა იმისთანა ვახშმის მომზადებას, როგორიც ჩემს მშიერ კუჭს შეეფერებოდა.

იმ ქალმა მოპიტანა ცივი ხორცი და რიგიანი ღვინო,

თუმცა იმის ქმარმა კი მითხრა, ღვინო ჩვენ არა გვაქვსო. მერე მკითხა ქალმა ამალამ აქ დარჩებით თუ არა, და რადესაც ვუთხარი დავრჩები მეთქი, მაშინვე ლოგინი მომიმზადა, რომელიც ჩემთვის ძალიან საჭირო იყო.

რაკი ღვინისა და საჭმელისაგან უუთოზედ მოვედი, ვიგრძენ, რომ ჩემი სულის მღელვარება თან-და-თან დასცხრა და შემეძლო გულ-დადინჯებით მომეფიქრა, თუ რა უნდა მექნა.

არ შეიძლება ამ კეთილის ქალის დახმარებით როგორმე შევატყობინო ჩემი აქ, ვენტიმილში, ყოფნა იმ ორს საიმედო მეგობარს, რომლებიც აქ მყავანან? თუ ამას მოვახერხებდი, მაშინ ადვილად გადავირჩენდი თავს. ამის გამო მე ძრიელ ფრთხილად ვიკითხე ზოგიერთა აქ მცხოვრებლები და ისე ვაჩვენე თავი, რომ თითქოს მათ შორიდამ ვიცნობდი. შემდეგ ბირ-და-ბირ ვკითხე:

— ხომ არ იცით ბატონი ბოტტა?

ეს ერთი იმათთაგანი იყო, რომლების დახმარების იმედიც მქონდა.

— როგორ არ ვიცით! მომიგო კაცმა: — მაგრამ ბატონმა ბოტტამ დიდი ხანია დასტოვა ჩვენი ქალაქი და ნიცაში გადავიდა.

ამ პასუხმა ჩემს იმედს ფრთები შეაკვეცა. გული მიცემდა, ხმა მიკანკალებდა, რადესაც დავაბირე მეორე ამხანაგის დასახელება.

— დოქტორ პალიზედ ხომ არა იცით რა?

— პალიო! გაიხარხარა ქალმა:—ხომ არ ვიცი დოქტორი პალი! ოქვენ ხომ იმის სახლში ხართ.

სიხარულით თვალზე ცვარი ვდგებოდი. დიდი ბედნიერებაა იყოფებოდე რამდენამე ნაბიჯზედ იმ კაციდგან, რომელიც ჩემ-

თვის ძალიან საჭირო იყო. მაგრამ მე ვცდილობდი დამემალა ჩემი სიხარული, მივუბრუნდი გლეხ-კაცს და ვკითხე:

— ეს ძალიან კარგი. დოქტორი პალლი ჩემი საუკეთესო მეგობარია და ძალიან მინდა იმის საჩქაროდ ნახვა. თქვენ ვერ წაუღებთ იმას ჩემს წერილს?

იგი დათანხმდა; მე ამოვგლიჯე ჩემი ბუმაჟნიგიდამ ერთი ფურცელი, დავწერე მაზედ რაკდენიმე სიტყვა და მივეცი გლეხს. როდესაც დავინახე, რომ მას ჩემი წერილი მიეჭონდა, თითქოს რალაც სიმძიმე მოეშვა გულზედ.

კეთილი გულის ქალი ისევ მზადებაში იყო. პატარა ოთახში ერთი ტახტი იდგა, რომელიც მან მე დამითმო, რისთვისაც მადლობა გადაუხადე.

ძალიან მეძინებოდა და მოუთმენლად მოველოდი თუ როდის დაბრუნდებოდა ჩემგან გაგზავნილი კაცი. ბოლოს იგი მოვიდა და მითხრა, რომ თქვენი წერილი თვითონ დოქტორ პალლის მივეცი სელშია. ის იყო უნდა დამეძინა, როდესაც შემოგესმა ნაცნობი ხმა და მოვბრუნდი თუ არა, ჩემს მეგობარს გადავეხვიე.

თავი XXXVII

გაქცეული

(გაგრძელება)

მხოლოდ ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი დაათვალებს, თუ რა სასიამოვნოა მეგობრის ნახვა და იმისი ხმის გაგონება გაჭირვების დროს. პირველმა ამბავმა, რომელიც დოქტორმა

მითხრა, ცოტა დამალონა. ექიმის სიტყვით სახლი, სადაც მე ვიყავი, ჩემთვის საიმედო არ იყო. მთელს ქალაქში თურმე ლაპარაკობდნენ უცხო კაცზედ, რომელიც დილით ზღვის ნაპირს გამოსულიყო და მერე მთებში დაეხეტებოდა. როგორ შეიძლებოდა, რომ ეს ამბავი პოლიციას არა სცოდნოდა. თუ რომ ეხლა დაიწყებდენ მის ძებნას, რასაკვირველია, მონახავდენ იმ ადგილებში, რომლების სიახლოვესაც იგი ენახათ.

— ნუ შეგეშინდება, მითხრა დოქტორმა: ჩვენ გადაგარჩენთ უსიამოვნებას, მხოლოდ ცოტა უნდა მოითმინო და თან გამომყვე.

მე არაფერი ვუთხარი. ან რა უნდა მეთქვა? მე მოვემზადე გავყოლოდი მას, სადაც კი უნდოდა.

როდესაც ჩემმა მასპინძელმა ქალმა გაიგო, რომ ამ ერეს შრომა ამაოდ ჩაიარა—კინაღამ არ იტირა. მე მას ფული ვერ შევკადრე, რადგანაც ვიცოდი, რომ ყოველივე, რაც მან ჩემთვის მოიქმედა, იმის კეთილის გულისა და დიდსულოვნებისაგან წარმოსდგებოდა, და ამისთანა საქციელი ფულით არ დაჯილდოვდება.

მე მას პატივის-ცემა სიტყვით გადავუხადე და მხურვალედ ჩამოვართვი ხელი; მერე ქმარს ჩამოვართვი ხელი და ერთი მანეთი ჩაუდე, რაკი ვიცოდი, რომ ის ამაზედ უარს არ იტყოდა.

კარზედ გამოვედით თუ არა, რავდენიმე კაცი დაგვხვდა, რომლებიც ჩვენ გველოდნენ და მაშინვე თან გამოგვყვნენ. ბნელი ღამე იყო და ძლივს ვარჩევდი გზას, რომელზედაც მივდიოდი. მე მხოლოდ მახსოვს, რომ ჩვენ ერთს ველზედ გავიარეთ, მერე ქალაქს მივუახლოვდით, მაგრამ შიგ კი არ შევედით და, შემდეგ დიდი ხნის სიარულისა, მივედით ერთს

რგვალს კოშკთან, რომელიც ჩემი თავ-შესაფარი ადგილი უნდა გამხდარიყო. დოქტორმა ერთი კაცი მოიჩინა, სახელად პეტრო, რომელსაც ამის შემდეგ ჩემზედ უნდა ეზრუნა. შემდეგ დოქტორმა რამდენიმე დარიგება მოცა და სხვათა შორის ის, რომ იქამდის არ უნდა გამელო კარი, სინამ პირობისამებრ რახუნს არ გაიგებდი; დოქტორმა რაკდენჯერმე დაარახუნა კარები და როდესაც დარწმუნდა, რომ ალარ მოკტყუვდებოდი, კოშკში შეგვედით.

იმ ოთახში, რომელშიაც მე უნდა მეცხოვრა და რომელიც შადგენდა კოშკის ზემო სართულს, ერთი კრატი იდგა, ერთი სტოლი და რაკდენიმე სკამი. ყოველივე ჩემი თავ-გადასავალი დოქტორს ზეპირად ვუამბე, მისკლის უმალვე მაჯა გამიშინჯა, მითხრა ლოგინში დაგწოლილიყავ და სისხლი გამომიშვა. შემდეგ იგი გამომეთხოვა. მე მაშინვე დავწექი და ავდექი, როდესაც მზე კარგა მაღლა ამოსულიყო. კვალად დავმშვიდდი და მხიარულობა დავიწყე, თუმცა ჯერ ისევ სუსტად ვიყავ. უკანასკნელი ორი დღის შემთხვევანი საზმარი მეგონა. მაგრამ რაც მაგონდებოდა, ისიც საკმარ იყო, რომ შეკერცხვინე და ჩემი სვინიდისი დაეტანჯა; შეკერცხვინე—ჩემი ქცევისათვის და სვინიდისი დაეტანჯა იმის გამო, რომ მე უმართებულოდ მოვექეცი კაპიტანს და იმის კაცებს. მაგრამ ეხლა რაღას ვიზამდი? იმის მეტს, რომ მესარგებლა შემთხვევით და მათთვის შენდობის წერილი მიმეწერა. ასეც ვქენი, როგორც კი შემთხვევამ ნება მოცა. საუზმის შემდეგ, რაკი არც წიგნები და არც ქაღალდი მქონდა, ჩემი ახალი სადგომის დათვალიერება დავიწყე. ოთახი, რომელშიაც ღამე გავატარე, ისეთი დალვრემილი იყო, როგორც მონასტრის სენაკები. როგორც შევნიშნე ამ ოთახში სინათლე ერთი პატარა ფანჯრიდამ შე-

მოდიოდა. ამ თთახის სიკეთე ის იყო, რომ თვანჯრიდამ მშვენიერად მოჩანდა მიდამო. მთელს საათებს ამ თვანჯარასთან ვატარებდი. მხოლოდ საუზმე და სადილი მომაშორებდენ ხოლმე ამ თვანჯარას. მე არ მინახავს სადილი ვის მოეწყონდა, ჩემთან კი მხოლოდ პეტროს შემოეწყონდა.

სალამოობით ჩემთან დოქტორი მოდიოდა, მაგრამ დიდის სიფრთხილით კი. პოლიციელები მეძებარი ძაღლებისაკით, იგებდენ, სადაც იყვნენ მათი მსხვერპლნი.

ორი დღე მყუდროებაში გავატარე, თუმცა ეს მყუდროება ხშირად ირღვეოდა ხოლმე. ჩემს მდგომარეობაში მგონია ძნელი იყო იმისთანა სატანჯველის მოგონება, როგორც უსაქმურობა. საქმეში კაცი მაინც მოქმედობს, მაგრამ იმაზედ დამასუსტებელი რაღა იქნება, როგორც ის რომ მთელი დღეები მხოლოდ მზის ამოსვლის და ჩასვლის ცქერაში გაატარო; გრძნობდე სისხლის შეგუბებას და ვერ კი შეგეძლოს ხელ-ფეხის განძრევა ამ მდგომარეობიდამ გამოსასვლელად? მოუღლელმა შემთხვევამ, რომელიც უნდა მოვიხსენიო, შესცვალა ჩემი ერთგვარი ცხოვრება.

მესამე დღეს სადილს წინად, მე ჩვეულებისამებრ, მიგდექი თვანჯარასთან და დავიწყე ცქერა, მხოლოდ ისე კი, რომ არავის დავენახე. დრო ნელა გადიოდა. სადილობის დრო მოვიდა და არავინ მოდიოდა. ერთი საათიც მოვიცადე და მერე კი დავრწმუნდი, რომ დოქტორს უსათუოდ რამე შეემთხვეოდა, რომ საჭმელი ალარ გამოიგზავნა. მე ეს მოსაზრება გამიმტყუნდა, როგორც მერე გავიგე. ველარ მოიგონებია თუ რა შემთხვეოდა სადილის წამოღებს. მე დავწექი კრავატზედ, რომ დამძინებოდა და შიმშილი ალარ მეგრძნო. მართლაც ჩამეძინა; მაგრამ ხმა მოვესმა, რომელიც ზარბაზნის გასროლას

ჭვავდა და იმან გამაღვიძა; ჩემი ოთახი ისე აიკსო მტვრითა, რომ კინაღამ არ დავიხრჩე. ჯერ არ გამეგო რაც მოხდა, რადესაც პეტროც მოვიდა ამ ხმაურობის მიზეზის გასაგებად. ჩვენ ავედით კოშკის ზემო ოთახში და წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, რადესაც დავინახეთ, რომ ჭერი ჩამონგრეულიყო სწორედ იმ ადგილას, სადაც მე სადილად ვჯდებოდი ხოლმე! ბედმა გადამარჩინა, თორემ სადილი რომ ადრე მოეტანათ და მე დავმჯდარიყავ, უსათუოდ ან მომკლავდა და ან დამამახინჯებდა.

მეორე დილას პეტროს ლონიერად დარახუნებამ გამომაღვიძა. მე წამოვხტი ლოგინიდამ და კარის ჯუჯუტანიდამ გავიხედე. პეტრო ძალიან შეშინებული მეჩვენა.

— სალდათები, სალდათები! ყვირიდა იგი.

იგი ხმის კანკალით ბოდავდა სხვა რაღაც სიტყვებსაც; მაგრამ მე მხოლოდ სიტყვა «სალდათები» გავიგონე.

დანარჩენ ლაპარაკს ყური აღარ ვუგდე, მაშინვე კარებთან მივედი; პეტრომ მაჩვენა კედელი, რომელზედაც ვაზი იყო შეხვეული და მითხრა კედელზედ გადავსულიყავ, სადაც დამხვდებოდა კაცი, რომელსაც უნდა გავყოლოდი. ყოყმანობის დრო აღარ იყო. მე გადავედი კედელზედ და იქ მართლა ერთი კაცი დამხვდა.

ის კაცი, რომელსაც მე ჭერკულესს დავუძახებ, ერთი შესანიშნავი კაცთაგანი იყო მთელს მხარეში. იგი მშვენივრად იყო მოსული და ეტყობოდა, რომ დიდი ენერგიისა და ხასიათის კაცი უნდა ყოფილიყო. მან ცოტა დამამშვიდა.

იმის სიტყვით, ქალაქის კომენდანტს დოქტორი პაღლი დაებარებინა. სინამ კამენდანტთან წავიდოდა, ჭერკულესი დაებარებინა და ეთქვა, რომ მე სხვა საიმედო ადგილას გადავეყვა-

ნე. ამ დროს ჭერგულეანი შეადგა და ორი სალდათი დამანახვა, რომლებიც ჩვენ წინ მდებარე მთიდამ ჩამოდიოდენ.

— ეტყობა პოლიცია საქმეს შეადგომია, — მითხრა მან, — ამისთვის რომ ამაზედ სალდათები არას დროს არ დადიან.

შემდეგ მოტიბრუნდა და მითხრა:

— ნუ გეშინიანთ, ბატონო. პასუხის მგებელი მე ვიქნები თქვენს უვნებლად ყოფნისათვის. მხოლოდ მოიცადეთ და რაც გითხრა ყოველისფერი შასრულე, თუნდაც რომ არ მოგეწონოს რომელიმე ჩემი მოქმედებათაგანი.

ამისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაში, რასაკვირველია, უნდა მივნდობოდი. ესრედ იგი გაუდგა გზას და მეც თან გავყევ. ის ასე მიხვევ-მოხვევით დადიოდა, რომ გეგონებოდა გზა არ იცისო. შემდეგ რავდენისამე ხნის სიარულისა ჩვენ მივედით ერთს პატარა შემოზღუდულ ველთან, სადაც სალდათებს ველარ ვნახავდით და განსაცდელი ალარ მოგვლოდა.

— თქვენ აქ უნდა დაიმალოთ, მითხრა ჭერგულესმა, იქამდის, სანამ არ მოლამდეს, ამისთვის რომ მაგ ტანისამოსით დიდს გზაზედ გასვლა არ შეიძლება.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ როდესაც გემიდამ გადმოვედი მატროსის ტანისამოსი გავიხადე და ჩემი საკუთარი ტანისამოსი ჩავიცვი.

ეს ისეთი დღე იყო, რომ უნდა დავმორჩილებოდი. ჩემი გამაცილებელის დარიგებით მე დავწექი დედა-მიწაზედ და მან ზედ დამაყარა ბალახი, წნელები, გამხმარი ფოთლები, — ერთის სიტყვით, ყოველისფერი, რაც კი ხელში მოხვდა. შემდეგ მთხოვა არ გავნძრეულიყავ, რაც უნდა მომსვლოდა და მერე დამანება თავი ისეთს მდგომარეობაში, რომელიც ვაუ კაცს არ შეშვენოდა.

წინა პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა; მაგრამ დაე თვითონ მკითხველმა წარმოიდგინოს ჩემი შიში, როდესაც რაღაცნაირმე კაცი მოვიდა და აქეთ ჩემს სიახლოვეს დაიწყეს მუშაობა. მე ალარ ვინძრეოდი, ძლივსა ვსუნთქავდი, ყოველს წუთს მოველოდი, რომ დამინახავდენ. ერთის სიტყვით დიდად ვიტანჯებოდი. არც ჩემი სული იყო დამშვიდებული. განსაკუთრებით მაწუხებდა დოქტორი პაღლის მიწვევა კომენდანტთან. მე ისე ჩემს თავზედ არა ვწუხდი, როგორც დოქტორ პაღლიზედ, რომელსაც შეიძლებოდა ჩემს გამო განსაცდელი მისდგომოდა.

ამ ნაირად ვივაკ დატუსაღებული შუა დღიდამ მოკიდებული მზის ჩასვლამდის. ბოლოს დავინახე, რომ ის კაცები, რომლებიც ჩემს ახლოს მუშაობდნენ, წავიდნენ. მაგრამ მე იქამდინ არ გამოვყავ თავი ჩემი სამალავიდამ, სინამ რაღაცნაირმე წამი არ გავიდა. თითქმის სრულიად მოლამდა. შემდეგ გამოჩნდა ახოვანის ტანის ჭერკულესი.

— რა ამბავი იცი დოქტორზედ, მკითხე მას შეკრთომით: ხომ არაფერი მოუვიდა.

— დოქტორი თავისთვის შინა ზის, მოიგო მან.

რა ნაირ მიამა ამ სიტყვების გაგონება! ჭერკულესმა დასძინა, რომ დოქტორსა და კომენდანტის ნახვამ მშვიდობიანად გაიარა. იმ სმებს, რომ ვიღაც უცხო კაცი გამოსულიყო ზღვის ნაპირს და დოქტორის სახლის ახლო ენახათ, პოლიციამდის მიეღწია და იმასაც ჭვონებოდა, რომ ის კაცი იქნება დოქტორის სახლში იმალებაო. კანონისაგან ნაბძანები ჭქონდათ მოხელეებს, რომ ყველა უცხო კაცი საეჭვოა და თვალყური უნდა ადევნოთო. პოლიციას ვერ გაებედნა იმისთანა გაკვლენიანის კაცის სახლი გაესინჯათ, როგორიც იყო დოქტორი

ბალღი, რომლის ყოფა-ქცევაშიაც არავითარი ეჭვი არ შეეტანათ და ამისთვის კომენდანტისთვის შეეტყობინებინა.

კომენდანტსაც დაეძახნა დოქტორისათვის რომ მას ეთქვა მისთვის, თუ იმის სახლში ვინმე უცხო ქვეყნელი კაცი იმალებოდა. დოქტორს ამაზედ უარი ეთქვა და ნება მიეცათ შინ წასულიყო. თუმცა ასე იყო, მაგრამ მეორე დღეს იმის სახლი ძირის-ძირობამდის გაესინჯათ.

ჭერგულესმა მოიტანა კალათა, რომელშიაც ერთი ბოთლი ღვინო, ცივი ხორცი და პური ეწყო; ეს ძალიან გამეხარდა, რადგანაც შიმშილისაგან ძალიან ვიყავ შეწუხებული. სადილს უკან იმან მითხრა, რომ ესლა შეგიძლიან გამოძვე და ნურაფერისა გეშინიანო. დიდ ხანს ვუარეთ ქალაქს გარშემო და ბოლოს მივედით ჭერგულესის სახლში. ეს იყო პატარა სახლი, ზღვის ნაპირას აშენებული, რომლის უკანა კარებიც ზღვის ნაპირისკენ გადიოდა. იმან შემიყვანა პირველი სართულის ოთახში, რომელშიაც მე უნდა დაგმდგარიყავ. ჭერგულესმა იგივე დარიგება მოგცა, რაგორც დოქტორმა კოშკში ცხოვრების დროს. თუ რომ რამე განსაცდელი იქნებოდა, იმან მასწავლა თვანჯრიდამ გადასვლა, ასე რომ ორათვერს ვიტკენდი.

— თუ რომ უეცრად დაგვესხნენ თავს, დაუმატა ჭერგულესმა:—ნუ გაიქცევი. ეს უსარგებლო იქნება. მიდი ია იმ ხეებს რომ ხედავ იქამდის და ერთ-ერთზედ ზედ ადი და წყნარად დაჯექი. როცა დავბრუნდები და სახლში ვერ გიპოვი, მაშინვე იქ მოგნახავ; შემდეგ კი ყველაფერი მე მოვიფიქრებ.

ორათვერი სანუგეშო იყო თვანჯრიდამ გადაძრომით და ხეზედ გასვლით თავის გადარჩენა. მაგრამ მე მაინც მადლობელი ვიყავ დეთისა, რომ იმისთანა კაცების ხელში ჩამაგდო, რომლებიც ჩემთვის ორას დაიშურებდნენ.

ეხლა რამდენიმე სიტყვა კაპიტანზედ უნდა გითხრათ. როგორც კი მე გემიდამ გადმოვედი, იგი გენუაში დაბრუნებულიყო და მაშინვე მისულიყო ჩემს მშობლებთან და ჩემი თავ-გადასავალი დაწვრილებით ეამბნა, რისაგამოც იგინი ძალიან შეშინებულიყვნენ. იმას ეოქვა, რომ მე ბკვუაზედ შევცდი და ვინ იცის ეხლა ან თავი მოიკლა და ან პოლიციას ჩაუვარდა ხელშიო. ახლა შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ჩემის სახლობის მწუხარება და განსაკუთრებით დედი-ჩემის ვაი-ვაგლახი.

ჩემს ძმას მაშინვე სხვა პასპორტი აელო იმის სამაგიეროდ, რომელიც მე, როგორც კაპიტანს ეოქვა, დაეხია და წაველი ქალაქში, რომლის სიახლოვესაც გადამსვეს. ჩემს ძმას უნდოდა ჩემი კვალი გაეგო და ცდილიყო რამე ეშველა ჩემთვის. გზაზედ იგი ბიძა-ჩემ მღვდელთან შესულიყო, რომელიც რამდენიმე ვერსის სიშორეზედ იდგა ვენტიმალზედ, და ეთქვა თან წამოეყოლოდა. რა ნაირ გაჭვირვებოდა და გაჭირებოდა ჩემს ძმას, როდესაც გაეგო, რომ დოქტორს პაოლის შეეტყობინებინა დედა-ჩემისთვის ჩემი ამბავი. ვენტიმალში ჩემი ძმის მოსვლა უსარგებლო იქნებოდა და დოქტორ პაოლისაც ერჩია მღვდლისათვის, რომ იმის სანახავად ნურავინ ნუ მოვა, რომ პოლიციამ ეჭვი არ აიღოსო. ჩემი ძმა დაკმაყოფილებულიყო ამით და ბიძა-ჩემთან დარჩენილიყო, რომ ჩემთან ახლო ყოფილიყო და თუ ვინიცობაა საჭირო იქნებოდა დამხმარებოდა. პასპორტი დოქტორ პაოლისთან გამოეგზავნათ და მე ჭერკულესმა მომიტანა.

დოქტორის შეშფოთებით მეორედ მოამზადეს საფრანგეთში გასაქცევად. ჭერკულესმა იქირავა ნავი ორის კაცით, რომლებზედაც შეიძლებოდა გული დაგვენდო, მაგრამ რადგანაც პოლიცია სასტიკად უყურებდა წამსვლელ-მომსვლელებს, ამისა-

თვის პირობა დავდეთ, რომ მე მენტონემდის ფეხით უნდა მივსულიყავ და იქ ჩამჯდარვიყავ ნავში. მენტონე ერთი იმ ს. ქალაქთაგანი იყო, რომელიც სხვა ქალაქებზედ არ იყო დამოკიდებული.

სამშობლოდამ ჩემი გამგზავრების წინა დღით საღამოზედ დოქტორი პალლი მოვიდა და გამომეთხოვა. ამ დროს მე მას მადლობა გადავუხადე და მივეცი ფული, რომელიც მატროსებისთვის უნდა მიეცა. მე ბედნიერად ვრაცხდი ჩემს თავს, რომ მომეცა შემთხვევა მადლობა გადამეხადა იმისთვის, ვინც ჩემთვის მეორე მამა მშობელი იყო, ამისთვის რომ იქნება ის ველარ მენახა. ასეც მოხდა. მშვიდობა სათვალესა შენსა, ერთგულო მეგობარო!

ყოველივე მზად იყო; კაცები და ნავი მენტონეში მელოდენ, და ერთი საათი საკმაო იყო, რომ იქამდის მივსულიყავ; მაგრამ რას მოვიფიქრებდი, რომ გზაზედ ქარიშხალი და ავდარი დამიდგებოდა. ჩემმა მუხთალმა ბედმა აქაც მიღალატა და ისეთი საშინელი ქარი ამიდგა, რომ მხოლოდ სამს დღეს უკან ჩავკარდადა ჭერკულესმა მითხრა, რომ ეხლა კი შეიძლება წავიდეთო.

რომ ჩემი გენუესური ტანისამოსისთვის ყურადღება არ მიექცია, ჭერკულესმა მომიტანა ჩალის ძველი შლიაპა, სხვილი მატერიის ტანსაცმელი და ძველი შარვალი. მე ჭერკულესის ძმის-წულობა უნდა დამეჩემებინა და მეთქვა თუ ვინმე მკითხავდა, რომ ნიცაში მივდივარ ზეთის ხილის ხეების სასყიდლათა მეთქი. ჭერკულესმა მითხრა, რომ ამ დიდს გზას თავი უნდა დავანებოთ და ბილიკზედ გავიდეთო, რადგან იქ არავითარი შიში არ მოგველისო. ჩვენ შუა დღისას გავედით და ცხრა საათის სიარულის შემდეგ მენტონემდის მივედით. საღამო იყო, მაგრამ ჯერ არა ბნელოდა. ჭერკულესმა

მითხრა ზეთის ხიდის ყორეულში მოგეცადნა და კიდევ დაემა-ლა წნელებში და ფოიხებში, თვითონ კი წავიდა ენახა ყოფეფოისფერი მზად იყო თუ არა.

ესლა კი ბევრი არ მიცდია. ყველაფერი კარგად მიდიოდა, კაცები და ნავი იქვე ახლოს გველოდენ. ჩვენ საჭიროდ მივედით ნაპირზედ და ჩავსხედით ნავში; მაგრამ ერთი ცუდი მომასწავებელი შემთხვევა მაინც არ აცდა: საჭიროდ ნავში ჩაჯდომის დროს ფეხი გამიცურდა და საუბედუროდ გავტეხე ერთი ბოთლი ღვინო, რომელიც მატროსებს თავისთვის მოეტანათ. ამის გამო შემდეგი სიტყვები მოგესმა:

— ცუდი ნიშანია, ბატონო.

— პირ-იქით, მიუგო მეორე მენავემ: — ჩვენში ამბობენ, რომ ღვინის დაქცევა კარგი საქმის მომასწავებელია.

ამ შემთხვევამ უსიამოვნოდ გამსადა, რადგანაც ესლა სხვა ბოთლს ღვინოს ვერსად ვიშოვნიდით და მენავეებისთვის კი საჭირო იყო. მაგრამ ამას ალარა ეშველებოდა რა და ჭერვულესმა გამოაცხადა, რომ ნუღარ ვიგვიანებთო. ესლა უნდა გავშორებოდი იმ კაცს, რომელიც, თუმცა ჩემთვის უცხო იყო, მაგრამ მეგობრობა კი გამიწია. განშორების დროს მე მას ფული დაუტოვე იმისთვის კი არა, რომ მან ასეთი ერთგულება გამიწია,—ეს ფულით არ შეისყიდებოდა,—არამედ იმისთვის, რომ ის დღიური მუშაობით ცხოვრობდა და რაც ჩემს გამო დრო დაკარგა, უნდა დამესაჩუქრებინა.

მე, რასაკვირველია, საკმაოდ ვერ დავხატე იმ კაცების ხასიათი, რომლებსაც ჩემმა ბედმა შემახვედრა. მართალია, ქვეყანაზედ ბევრი უსვინიდისო და თავ-მოყვარე კაცები არიან, მაგრამ ღვთის მადლით მათ რიცხვში ისეთებიც იპოვებიან, რომლებსაც კეთილი გული და წმინდა სინიდისი აქვთ და ცდი-

ლობენ შეწუხებულს კაცს გამოადგნენ გაჭირვებაში. ეს მე თვითონ გამოვცადე.

თავი XXXVIII

გაქცეული.

(გაგრძელება)

მშვენიერი ღამე იყო, ერთი იმ ღამეთაგანი, რომელსაც ყოველგვე მოსვენებულია, რომელსაც კარსკვლავებით მოჭედილს ცას აქა-იქ ღრუბლები აქვს გადაკრული.

— მშვენიერი დარია, ვუთხარი კაცს, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა.

ჩვენ ორს საათს წყნარად და მშვიდად მიგცურავდით, მერე კი ცაზედ კატყობდით, რომ მენავეს წინასწარმეტყველობა უნდა ასრულებულიყო. ჩვენს თავზედ შავი, საშიში ღრუბლები გამოჩნდენ, ხამუშ-ხამუშ საშინელი ქარიც უბერავდა. ზღვამ ღელვა დაიწყო. ერთი საათიც გავიდა და ჩემს გვერდით მჯდომმა სთქვა:

— ძლივს არ მიგვდით.

— მართლა? შეეუკერე მე გაკვირვებით.

— სწორედ, მიგვდით, მოიგო მან და დამანახვა მდინარე, რომელიც ზღვაში ჩადიოდა.—განა ვერა ხედავ, განაგრძო მან, —ეს კარია.

მე გავაჭყიტე თვალები, რომ დამენახა რამ და მართლაც ჩემს წინ მდინარე დავინახე. ჩვენ იმის სათავესთან გავიარეთ:

წყალი ჩქარი იყო და ნავირს მიდგომა გაგვიძნელდა, მაგრამ მენავეებმა ლონიერად მოუსვეს და მივედით ნავირს.

ესრედ ვიმოგზაურე. მე ეხლა განსაცდელს გადარჩენილი ვიყავ მხოლოდ ეხლა მენავეებს უნდა გამოვთხოვებოდი და რაც შეიძლებოდა მალე მივსულიყავ ანტიბთან. ფარულად სიარული ალარ მოგიხდებოდა. კვალად შემეძლო თავისუფლად სიარული, დაუფარავად და ნამდვილის ჩემის სახელით მოგზაურობა.

ამის შემდეგ მე მივეცი მენავეებს წერილი იმის შესახებ, რომ მათ შესრულეს თავისი მოვალეობა, და რომ მისის ძალით მიიღებდენ გარიგებულს ფასს. როდესაც ერთი ფეხი დედა-მიწაზედ დავდგი, მე კვალად ეჭვში შევედი.

— დარწმუნებული ხართ, ვუთხარი მათ:—რომ ეს საფრანგეთის მიწა-წყალია?

— ღმერთმა ქნას, სთქვა აქამდის მდუმარე კაცმა და მიგვითითა მოღრუბლულს ცასა და მღელვარე ზღვაზედ;—ღმერთმა ქნას, რომ ჩვენც ისე უვნებლად დავბრუნდეთ შინ, როგორც ეხლა შენ საფრანგეთში მოხვედი.

— სად უნდა წავიდე? ვკითხე მე, როდესაც დავრწმუნდი, რომ მენავეები მართალს მეუბნებოდენ.

— როდესაც ზღვის ნავირს გასცდეთ, მითხრა იმავ კაცმა: —მარცხნივ მობრუნდით და პირ-და-პირ წადით იქამდის, სანამ ზეთის ხილის ყორულამდის მისვიდოდე. ანტიბის გზაც იქვეა.

მე ამოვიღე ჯიბიდამ ოქროს ფული, მივეცი მენავეს და ვუთხარი:

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და მან წაგიმართოთ გზა! როდესაც შინ დაბრუნდეთ ჩემი საღვეგრძელო დალიეთ.

შემდეგ გავშორდი მათ მწუხარებით; ისინი ჩემი თანა-მემამულენი იყვნენ და ამისათვის მენანებოდნენ ასე.

არ მახსოვს რამდენი საათი იქნებოდა მაშინ. ან შუადამე უნდა ყოფილიყო ან ცოტა გვიან. ჩემს გარშემო სიბნელე და სიჩუმე სუფევდა. რავდენსამე წამს წინ მიგდიოდი და ვეძებდი ზეთის ხალის ყორეულს. რავდენსაც წინ მიგდიოდი, იმდენს უფრო თან-და-თან სინოტიეს ვგრძნობდი. როდესაც ხეებამდის მიველი, მაშინ მიგხვდი, რომ ეს ადგილი ხსენებული ყორეული არ იყო. ერთის წამის შემდეგ მე ზღვის ნაპირს გავჩნდი. მაშინვე შევდექი. ეს როგორ მოხდა? ეტყობა ძალიან მარცხნივ მიველია. უკან გამოვბრუნდი და მარჯვნივ წავედი და, რამდენისამე წამის შემდეგ ერთს მდინარეს წავაწყდექი. საკვირველი საქმე მოხდა, რომ ეს მდინარე უკან დამრჩა მეთქი.

ახლა სხვა გზაზედ წავედი, მაგრამ ჩემდა საუბედურად ისევ იმ წყალს წავაწყდექი. ღმერთო ჩემო! ეს რას ნიშნავს, ჩემი თვალები მატყუებენ, თუ მართლა ორი მდინარეა? ხან აქეთ ვეცი და ხან იქით, მაგრამ ყველგან წყალი, წყალი და წყალი იყო! დახედე ერთი იმ საზიზღრებს, როგორ მოგვექცნენ!

ზღვიდამ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მდინარე ვარი ორს ტოტად იყოფება და კეთდება ერთი პატარა კუნძული, რომელსაც ცალმხრივ ზღვა აქვს, ხოლო ორის მხრით მდინარის ტოტები. თურმე ამ კუნძულზედ ვიყავ მე ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში. უეცრად იმედის ნაბერწკალმა გამიელვა. აქ სადმე ან ხიდი უნდა იყოს და ან ბორანი მეთქი, ვფიქრობდი მე. იქნება მენავეებს ამის თქმა დაავიწყდათ და ვერც მე შევნიშნე ესა. მაგრამ როდესაც კარგად გავშინჯე, დავრწმუნდი, რომ ზღვიდამ მოკიდებული ორი ტოტის შესართავამდის ხიდი არსად იყო. ამ დროს წყალ-გალმა შავი

რაღაც დავინახე, რომელიც თითქო წყალში სცურავდა. გულმა ცემა დაიწყო.

— ვინა ხართ, ნავი აქთ გამოიტანეთ.

არავინ პასუხი არ მომცა. მე კვალად დავაცქერდი წყლის გალმა ნაპირს, რომ კარგად გამეგო, რა იყო ი შავი რაღაცა და შევნიშნე, რომ წყლის ნაპირს ხე იდგა და იმის ტოტები ინძრეოდენ ქარისაგან. არც ნავი და არც ხიდი არა სჩანდა, ჩემს წინ მხოლოდ თვალ-გადუწვდენელი მდინარე იყო.

ოხ, რა უღმერთოდ მოიქცნენ ის კაცები, რომლებმაც მე მოიტაცეს. ხომ არ შეიძლებოდა, რომ მათ ეს ადგილი არა სცოდნოდათ. როგორ დავიჯერო, რომ აბრაგებმა არ იცოდენ იმ ადგილის გარეშოება, სადაც მათ ხშირად უხდებათ ყოფნა? არა, ისინი ესე განზრახ მოიქცნენ, რომ რა არის ერთის საათით ადრე დაბრუნებულიყვნენ შინ, მე კი აქ ამისთანა მდგომარეობაში გამიშვეს.

ეს საშინელი წამი იყო. «ვინც ვისმე ბოროტს აგებს» ამბობს ერთს წიგნში მანტონი, «პასუხის მგებელია არა მარტო იმ ბოროტისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, არამედ იმისათვისაც, რაც იმ ბოროტებას შედეგი მოსდევს».

ახლა გავიგე წეშმარიტება ამ სიტყვებისა, მწუხარებით და სიმძულვარით ამევსო გული. ჩემი პირი არ დაიცხვენდა წარმოეთქვა ათას-ნაირი წყევლა-კრულვა. არამი იყოს იმათთვის ის ლოცვა, რა ლოცვითაც მე ისინი დავლოცე განშორების დროს! მაგრამ უმჯობესია ჩემს პირად გრძნობებზედ გავჩუმდე. საკმაოა ისიც, რომ ჩემი თავი მეკვე შემეჯავრა და შემეზიზღა, რადგანაც ის უღმერთონი ჩემი მიწა-წყლისანი იყვნენ და ასე კი მოიტაცეს.

ჩემი ამ მდგომარეობაში ყოფნა დიდამდის შეუძლებელი

იყო. «რაც უნდა მოამიხდეს მე ამ მდგომარეობიდამ უნდა გამოვიდე. ვეცდები ფეხი ვიბოვო და გავიდე ამ წყალსა. მერე რომ დავიხრჩო? რა იქნება მერე, ჩემს ტანჯვას ბოლო მაინც მოელება!» ბევრი ალარ მიფიქრია, შევედი წყალში. მდინარე ისე ჩქარი იყო, რომ თუმცა ჯერ ისევ ნაპირას ვიყავ, მაგრამ ვატყობდი, რომ თეჩებს მაცლიდა. სული ტკბილია, მეუბნებოდა გული, ამაოდ ღუპავ შენს თავსაო და მიდიხარ წყალში, რომელშიაც ვერას გზით ვერ გასცავლ, მეტადრე როცა ყოველივე გარემო ასე მიყრუებულია. მე უკან დავბრუნდი და ისევ წყლის ნაპირას დავჯექი, რომ გათენებისთვის მომეცადა. ტევს წყალში შეტოპვამ კარგად იმოქმედა ჩემზედ და გამოამაფხიზლა. მწარე ფიქრები ამეშალნენ ამ დროს. ასეთი ფიქრები მოსდის კაცს, როდესაც იგი საფლავს დასტქერის. ვინც კი მიეკარდა, ყველა მაშინ წარმოიდგა თავლ-წინ. მე ვიდგენდი მათს სახეს, ეუბნავნიდი მათ საიდუმლო სალამს. მინდოდა იმ გუნებაზედ ვყოფილიყავ, როგორიც შეეფერებოდა ჩემს მდგომარეობაში მყოფს კაცს; ე. ი. მე მინდოდა, მოამაგდავისავით, მეგრძნო ქვეყნად ღმერთთანა და კაცებთან ერთად ყოფნა. მე მზად ვიყავ იმათთვისაც მეპატიებინა შეცოდება, რომლების წყალობითაც უმიზეზოდ ჩავარდი ამ მდგომარეობაში.

ესრედ გაიარა დანარჩენმა ღამემ. ძრიელი ქარი ქროდა და ხანდისხან წვიმაც მოდიოდა, რისაგამოც, უიმისოდაც დასველებული, უფრო ესველდებოდი.

ჩემდა საბედნიეროდ თან რამდენიმე სიგარა მქონდა, რომლებიც ჯიბეში მეწყო და არ დასველებულიყვნენ; მთელს ღამეს განუწყვეტლივ ვწევდი. მხოლოდ თამბაქოს ნამდვილს მწყვეტს შეუძლიან დააფასოს ის ნუგეში, რა ნუგეშსაც სიგა-

რის წევაში ვპოულობდი. როდესაც სიგარას ვწევდი, ჩემს თავს მარტოდ ალარა ვგრძნობდი. ეს სიგარა მათბობდა და თითქოს მეგობრობას მიწევდა. სიბნელე შეიმღვრა განთიადის მოახლოებით. დილის ცივმა ნიავმა შეანძრია ხეების ფოთლები; ჩიტების ჭიკჭიკმა და მწყრების ჭუკჭუკმა მაუწყეს, რომ ბუნება იღვიძებს და გათენებას ვეგებებითო.

ვის არ გაძოუცდია, რომ საშწუხარო ფიქრები, რომლებშიაც ლამე ვართ შთანთქმული, ითანტება დილის სინათლით და როდესაც ძზე ჭფენს თავის შუქსა და ჩიტები ჭიკჭიკს იწყობენ—ხელ-ახლად გვეძლევა იმედი, მხნობა და სიუვარული კვლავ გვიცხოველდება.

ასე მომივიდა მეც. და მე ხელ-ახლად განვიზრახე წყალში გასვლა. თუმცა ეს ჩემი გაბედვა თავ-ხედობა იყო, მაგრამ როდესაც ეველაფერი გავშინჯე, დავრწმუნდი, რომ სხვაფერივ ჩემი დახსნა არ შეიძლებოდა. მართალია, შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ რომელსამე ნავს გავეკლო და ჩემს დაძახებაზედ მომშველებოდა. ან იქნება გალმა ნაპირს გამოჩენილიყო კინმე და მომშველებოდა. მაგრამ მე როგორც ერთი, ისე მეორე, უარი ვუყავ, რადგანაც, ვინ იცის ან დამინახავდა და გაიგონებდა კინმე ჩემს ძახილს, ან არა. შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ უფრო ტუკედ წაგეუვანეთ, სინამ გავენთავისუფლებინეთ ამ მდგომარეობიდამ. ამასთანავე დარწმუნებულიც კი არ ვიყავ, რომ მე ისევ სარდინიის მიწაზედ არ ვიმყოფებოდი? ამ აზრმა უფრო მაიძულა მოკშორებულიყავ ამ ადგილს. ესრედ თუმცა დიდი განსაცდელი მომელოდა ამ ჩქარს წყალში გასვლით, მაგრამ მე მაინც გავბედე. მხოლოდ წინ-და-წინ ფოთხს დაუწყე ძებნა.

ვარა ძალიან განიერი მდინარე იყო, მაგრამ თითქმის

ნახევარზედ დამშრალიყო. მე ის ადგილი ამოვირჩიე, სადაც მდინარე ორად იყოფოდა და ზღვაც მოშორებით იყო.

რასაკვირველია, თვალადაც არ მოგვიდოდა ამ წყალში ფირ-და-ფირ გასვლა. ჩემი აზრი ის იყო, რომ ალმაცერად მიგ�eმოდი წყალს, რომ ეგება იმ მშრალს ადგილზედ გავსულიყავ, რომელიც წყალს ორად ჰყოფდა. რადგანაც წყალთან ბრძოლა მოგვლოდა, ამისთვის ჩემი ქისა და პასპორტი შლიაპაში ჩავდე და მაგრა დავიხუჭე. შარვალიც მაღლა ავიწიე და ხელსახოცით გავიმაგრე.

ნელ-ნელა შევედი წყალში. მეგონა, რომ შევიძლებდი წყალთან ბრძოლას, მაგრამ რაგდენიც წინ მივდიოდი, იმედი უფრო-და-უფრო მეკარგებოდა. წყალი ჯერ მუხლებამდინაც არ შემოგდგომოდა და მე კი ვგრძნობდი, რომ თვალებს მაცლიდა. ვცდილობდი გავმაგრებულიყავ, მაგრამ ამაოდ: წყალი თან-და-თან ლრმავდებოდა და სიჩქარე ემატებოდა. მაშინ მოვიკრიბე, რაც ძალა და ღონე მქონდა და წავედი წინ, მოუცურდი კიდეც, მაგრამ საითაც მინდოდა, იქით ვერ მივდიოდი. ერთი წამის უკან დამატრიალა და ჩალასავით მოტივტივებული წამიღო. მაგრამ გონება არ დავკარგე და როდესაც დავინახე, რომ ერთს ფატარა მშრალს ადგილას ვუახლოვდებოდი, ყოველი ღონისძიება ვიხმარე, რომ იმ ადგილას მივსულიყავ. მე გავაწვდინ იმ ადგილისკენ ხელი. ამაო ბრძოლა იყო და ამაო იმედი! უგრძნობელი ვარი მიმაქანებდა წინ. ჩემს სიახლოვეს ზღვაც დაკინახე და დავიყვირე განწირულების ხმით: «ვაი დედა-ჩემო!» —ჩემს თავს დაღუფუ[illegible]ად ვსთვლიდი.

რამდენადაც მახსოვს ამ დაყვირების შემდეგ გრძნობა დავკარგე და ალარ ვიტანჯებოდი. უეცრად რაღასაც მოვედე. გავახილე თვალები და დავინახე, რომ ერთი მორეკვის ახლოს

ვიყავ. განვიზრახე ზეზედ წამოდგომა, მაგრამ წყალმა ისევ წამაქცია. ყოველი ღონის-ძიება ვიხმარე, რომ ამ მორევს ავცდენოდი. რავდენიც წინ მივდიოდი, თან-და-თან ვგრძნობდი, რომ ფეხებს ალაგს ვარტყამდი. ბოლოს, როგორც იყო, ხმელეთზედ გავედი, მაშინ სიხარულით დავიყვირე: «ღმერთო, გმადლობ შენ!» და დავეცი მიწაზედ გულ-წასული.

თავი XXXIX.

მოგზაურობისა და მოთხრობის დასასრული

მოგული თუ არა გონზედ, მაშინვე შლიავნა ვინახე, წყალმა ხომ არ წამართვა მეთქი. საბედნიეროდ შლიავნა ისევ თავზედ მესურა, ყელსახვევით დამაგრებული, და მე არ დამეკარგა ის, რაც ჩემთვის ძვირფასი იყო, ე. ი. ქისა და პასპორტი. ჩემი წაღები და წინდები დაკარგულიყო. ფეხები დასისხლიანებული და დაჩეჩქვილი მქონდა. მე მინდოდა გამეგო, როგორ გამოვედი ამისთანა დიდს წყალში და მიეხვდი, რომ წყლის ტალღას გაეგდე ნაპირას. ერთი წამიც რომ დამცლოდა, უსათუოდ ზღვაში ჩამიტანდა.

ამ წყლის შხუილი და ცქერა უსიამოვნოდ მხდიდა, ამისათვის საჩქაროდ გავიქეცი, თითქოს უკან მტერი მომდევსო.

ჩემი ტანისამოსი დასველებული, დახეული და გატალახიანებული იყო. იქვე ახლოს ბუჩქები იდგა, რომლებზედაც დავფინე გასაშრობად, მაგრამ უეცრად წვიმა მოვიდა და მე ისევ ავკრიფე ტანისამოსი და შევეფარე ერთ ხის ქვეშ, რომლის ტოტებიც ისე იყო დაბურული, რომ წვიმა ვერ ჩამო-

დიოდა. ამ გარემოებამ ცოტათი მანუგეშა. ვიგრძენი, რომ იქვე ახლო სადმე ხალხი უნდა ყოფილიყო.

როდესაც წვიმამ გადიღო, მე წავედი და უეცრად ცოტა მოშორებით დავინახე კაცი, რომელსაც ხელში თოფი ეჭირა. ტანისამოსზედ შევატყე, რომ ის მონადირე უნდა ყოფილიყო.

მე განვიზრახე მიესულიყავ მასთან და შემწეობა მეთხოვა, მაგრამ ვერ გავბედე და შევდექი. როდესაც იმ კაცმაც დამინახა, მოგვიახლოვდა და მეკითხა:

— ვინა ხარ შენ? აქ რას აკეთებ? სად არიან შენი ამხანაგები?

— ვინ ამხანაგები? მიუგე მე, იმის მკვახე ლაპარაკით გაკვირვებულმა: — მე ამხანაგები არა მყავს. რასაც კაკეთებ—შენცა ხედავ. ვკანკალობ სიცივისა და შიმშილისაგან.

იმან მაშინვე არ მოგვიგო პასუხი, ბუჩქებს დაუწყო დათვალიერება, თითქოს ეძებს ვისმე.

— როგორ მოხვდი ამ ადგილს? მითხრა მან, როდესაც მოსწყინდა იქაურობის თვალიერება.

— მე კარში გამოვედი.

— თქვენ მაგას მარტო ვერ მოასწრებდით?

— ხომ ხედავთ, რომ მოვასწრე.

— რამ [illegible]აიძულა რომ მაგისთანა განსაცდელს არ მოერიდე.

ახლა მივხვდი, რომ მე მონადირეს კი არა, წყლის ნაპირების გუშაგს ველაპარაკებოდი.

— სხვა ქვეყნიდამ გამოვიქეცი, პოლიტიკურის მიზეზებისაგან.

ეტყობოდა, რომ ჩემი მოსაუბრე ჩემის პასუხით არ და-

კმაყოფილდა, რადგან იგი ისევ ეჭვიანის თვალით მიცქერდა.

— წამოდით ჩემთან, — მითხრა მან არა თავაზიანად, — და წინ გაჩქარებული წავიდა. მე როგორც შემეძლო მიგსდევდი ჩემი დაუქეიფი და დასისხლიანებულის ფეხებით, რასაც იგი არავითარს ყურადღებას არ აქცევდა და არც ვეცოდებოდი.

ნახევარ საათის სიარულის შემდეგ, ჩვენ დიდს გზაზედ გავედით. იქ ჩემ წინ დავინახე ბატარა სოფელი — სენ-ლორანდიუბანი და კარის ხიდი, რომელიც შეადგენს საზღვარს საფრანგეთისა და სარდინიას შორის. ჩვენ შევედით ერთს ბატარა სახლში, სადაც ოთხი თუ ხუთი ტამოჟნის ჩინოვნიკები იუვნენ. ერთმა მათგანმა სტაქანით არაყი მოამწოდა, რაც მე დიდის კმაყოფილებით ჩამოვართვი.

ჩემი თანამგზავრი დაელაპარაკა იმას, რომელიც უფროსსა ჭვავდა. როდესაც ჩემი დაჭერის ამბავი გაიგო, მოკლედ სთქვა:

— ეს ჩემი საქმე არ არის, სახლების ზედამხედველთან წადი.

ჩვენ ყანდარმების კაზარმაში წავედით, გზაზედ ბევრი სალდათები დაგვხვდენ. ძე შევნიშნე, რომ ყველანი მე მათვალიერებდნენ, მაგრამ შეცოდებით კი, არავის ვეცოდებოდი.

სახლების ზედამხედველი კაზარმის კარებში იდგა.

როგორც კი დაგვინახა, მაშინვე დაიყვირა:

— დიდის ნანადირევია! უსათუოდ მეკობრე იქნება.

— ეს პოლიტიკურ დამნაშავეს ეძახის თავის-თავს, უთხრა ჩემმა მიმყვანმა.

— ზედაც ეტყობა! მიუგო სახლების ზედამხედველმა. — მე ვხედავ, ვინც არის. ერთი სტუმარი კიდევ მოემატა ალყირის

ზარბაზანს.—ვინც საფრანგეთში გაიქცეოდა, იმათ მაშინ ალეკერში გზავნიდნენ და ჯარში ჩარიცხავდენ ხოლმე. რაკი იმის ლაპარაკს ვერ მივხვდი, მე პასუხი არ გავეცი. მაშინ წყლის ნაპირების გუშაგი წავიდა და ჩემთან სახლების ზედამხედველი დარჩა. მე მას მაშინვე შევნიშნე, რომ ის იმ ჩინოვნიკების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც ჭგონიათ, რომ მედიდურობა და მკვახე ლაპარაკი მათს წოდებას დიდს მნიშვნელობას აძლევს. ჩვენ მალე ერთ სართულიან სახლში შევედით.

— არა გნებავთ, თქვენი ვინაობა ბატონს მერს გააგებინოთ? —მითხრა მე ახალაა თანამგზავრმა.

ბატონი მერი ჩიტის გალიას აკეთებდა.

— ამბავი, საბარი? მკითხა მან, როდესაც დამინახა.

— ომიდან გამოქცეულა, მიუგო სახლების ზედამხედველმა. ეხლა კი მივხვდი იმის სიტყვებს.

— ბატონო ჩემო, მივუგე მე:—მე ომიდან გამოქცეული არა ვარ, ამაზედ თქვენ თვითონ დარწმუნდებით, თუ ჩემს პასპორტს ნახავთ.

სახლების ზედამხედველს გაუკვირდა და უკმაყოფილოდ დარჩა, როდესაც ჩემი პასპორტი ნახა.

— ეს პასპორტი ნამდვილი არ არის, რადგანაც იგი ნიცაში მყოფის საფრანგეთის კონსულის ხელ-მოწერილი არ არის.

ასეთი სიტყვები სასაცილო იყო. რომ შეძლება მქონოდა ნიცაში წავსულიყავ და ჩემს პასპორტზედ ხელი მომეწერინებინა,—მივუგე მე, მაშინ ხომ ვარში გამოსვლით საქმეს არ გავიჭირვებდი.

— თქვენს პასპორტში სწერია სალი თვერისა, თქვენ კი გაუკითლებული ხართ, მითხრა სახლების ზედამხედველმა. ტყუ-

ილად ნუ ცდილობ ჩვენს მოტეუებას. შენ ომიდან სარ გამოქცეული. ეს ისე მართალია, როგორც ის, რომ მე ეხლა შენ გელაპარაკები.

ჩემი მეგობრის სახის ნიშნების აღწერა, რომელმაც მე პასპორტი მიშოვა, სრულიად შეეფერებოდა ჩემს სახეს, ფერის გარდა.

მე სახლების ზედამხედველისათვის არაფერი პასუხი არ მინდოდა მიმეცა და ამისათვის მერს ვუთხარი:

— ნუ დაივიწყებთ, ბატონო მერო, რომ მე ეს-ეს არის გადავრჩი საშინელს განსაცდელს და ორი დღეა სრულიად არა მიჭამია რა; ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ყვითელი ფერი მედოს.

ჩემის ლაპარაკით ბატონი მერი ეტყობოდა რწმუნდებოდა. მაგრამ სახლების ზედამხედველისა თითქოს ერიდებოდა.

— აბა თქვენი სახელი და გვარი დასწერეთ, მითხრა მან და მოგცა ქაღალდი და კალამი.

იმან ყურადღებით შეადარა ჩემი ხელ-ნაწერი პასპორტის ხელ-ნაწერს, რომელზედაც მე თვითონ მოვაწერე ხელი, რაწამსაც იგი მივიღე.

ახლა დაწვრილებით მიამბე, რამ გაიძულა დაგეტოვებინა შენი სამშობლო.

მე ვუთხარი რომ რადგან ჩემი ძმა და ჩემი მეგობარი დაატუსაღეს პოლიტიკურის საქმის გამო, ამისთვის მირჩევს ცოტა ხნობით სამზღვარს გარედ წამოვსულიყავ. მერმა ყოველისფერი დასწერა, რაც კი ვუთხარი.

— მე მგონია, რომ ამისთანა დროს, უარს ვერ გეტყვით ჩემი ხელის მოწერაზედ, მითხრა მან ოხვრით და ისეთი თვა-

ლებით შესვლა ყანდარმს, თითქოს ეხვეწებოდა—ჩქარა დაიხსენ ეს კაცი.

— თუ თქვენ არა გაქვთ რა სათქმელი, უთხრა მას ყანდარმმა,—მეც არა მაქვს რა სათქმელი, თუმცა პირის სახის ფერს ცოტა ეჭვში შევუყვარ.

— აბა შენი ხელები მიჩვენე, მითხრა მერმა.

მე გავუშვირე ხელები. მან გულ-მოდგინედ გამიშინჯა ხელები. იმათ ეგონათ თოფისგან დაყეყილი მექნებოდა.

— თქვენ ჯიბეები საკსე გაქვთ, ბატონო? მკითხა მერმა და შეხედა სახლების ზედამხედველს.

მე მას გაკვირვებით შევხედე.

— ფული გაქვთ?

— დიახ.

— მაჩვენეთ.

მე ამოვიღე ქისა, რომელიც საკსე იყო და რომლიდამაც წამოვუარე ფული. მერი ფულს თვალს არ აშორებდა. იმან აიღო ხელი და, თითქო გულში გაიცინა: «ეს საკმაოა», მაშინვე მოიწერა ხელი. ამასთანავე ესეც მითხრა:

— თქვენ თქვენის ბედით შეგიძლიათ იამპარტავნოთ. კაცი, რომელიც გადარჩა პიემონტში საღრჩობელას და ამისთანა დროს უვნებლად გასცურდა კარში, მგონია კარგს კარსკვლავზედ უნდა იყოს დაბადებული. შემდეგ ერთმანეთს თავი დავუკარით და მე კარზედ გამოვედი.

ამ ამბის დროს, ოთახის გარეთ, ფანჯარასთან ხალხი მოგროვებულიყო. ხალხში ერია ერთი ტამოუნის ჩინოვნიკი, რომელსაც სახეზედ მღელვარება ეტყობოდა. იმის სიტყვებიდამ სჩანდა, რომ მას ვეცოდებოდი და საშინლად ბრაზობდა დანარჩენს ჩინოვნიკებზედ, რომ ცუდად მექცეოდენ.

როგორც კი გამოვედი ოთახიდამ, ის ჩინოვნიკი მოვიდა ჩემთან, მეგობრულად ჩამოართვა ხელი და მითხრა—მხნედ ვყოფილიყავ. ჩვენ მაშინვე დავმეგობრდით: ფენულს, როგორც მას უძახოდენ, ჰქონდა მშვენიერი ხასიათი, კეთილი გული და ორმოცდა ათის წლისა იქნებოდა. მან მთხოვა მასთან წავსულიყავ და, რაც საჭიროება მქონდა, მეთქვა. მე დიდის სიხარულით მივიღე იმის თხოვნა.

—ეკვლაზედ წინად, ვუთხარი მას:—მე ერთი წყვილი წალა მინდა.

—მაგას მალე გიშოვნი, მოიგო მან.

მე მეგონა, რომ იგი დუქანში წამიყვანდა, მაგრამ მან თავის ღარიბს ბატარა სახლში შემიყვანა და თუმცა ძალიან უარზედ ვიდექი, მაინც არ მოიშვა და თავის წალები ჩამაცვა. მე ერთი წყვილი წინდა და სხვა ტანსაცმელიც მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე თქმა, რადგანაც მეშინოდა, რომ მას თავის ტამოჟნის ტანისამოსი არ ჩაეცმია ჩემთვის. ამის შემდეგ წამიყვანა სოფლის ბატარა სასტუმროში და, სინამ ერბო კვერცხს მოგვიწვამდენ, რამდენიმე სიტყვა დავწერე ალფრედთან, მაგრამ იმის სახელობაზედ კი არ გავგზავნე. მე შევატყობინე მას, რომ ეხლა საფრანგეთში ვარ მეთქი. მე და ფენულმა ბური ერთად ვჭამეთ.

რადგანაც ნიცადამ ანტიბში დილიჟანსი ერთს საათს უკან წავიდა, ამისათვის საუმჯობესოდ დავინახე გავსულიყავ გარედ მზეზედ და გამეშრო ჩემი დასველებული ტანისამოსი. როგორც კი გარეთ გამოვედი, რავდენიმე ცნობის მოყვარე კაცი გარშემო შემომეხვიენენ, რომ გაეგოთ ჩემი თავ-გადასავალი და მდინარე ვარში გამოცურების ამბავი. არც ერთს მათგანს არა

სჯერდა. რომ მარტოთ-მარტო გამოვედი იმისთანა დიდს წყალში.

მაგრამ ამ პირმოცინარე კაცს ვისა ვხედავ? ჩემს მტანჯველს, სახლების ზედამხედველს. მან მოიოლოცა უვნებლად კარში გამოსვლა და მთხოვა მეპატიებინა მისთვის ის დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა ჩემს შესახებ თანამდებობის სრულების გამო. ამის შემდეგ მან მთხოვა დამეხურდავებინა მისთვის ვერცხლი ოქროზედ. მე მზად ვიყავ ამესრულებინა მისი თხოვნა, თუ სხვა ჩინოვნიკებსაც ისევე თხოვნა არ გაემეორებინათ.

ფენუღმა წინადვე ამიხსნა ამ ჩინოვნიკებს რათაც უნდოდათ ოქრო. მე სრულიად დამავიწყდა იმისი ალსნა. დილიჟანსის მოსვლამ მოუღო ბოლო ამ ვაჭრობას.

ფენუღმა დასწერა კარანდაშით პატარა ქაღალდზედ: «პიერ ფენულ, ტამოჟნის პრისტავი».

— თუ რომ საწყალი ტამოჟნის ჩინოვნიკი რამეში დაგჭირდება... მითხრა მან და მომცა ქაღალდი და სხვა ალარაფერი უთქვამს. მე გულის ღელვით გადაუხადე მადლობა ამ კეთილის გულის კაცს.

— მშვიდობით, მშვიდობით!

და დილიჟანსი დაიძრა.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს კეთილს საქმეში საწყალო ტამოჟნის ჩინოვნიკო. შენი ავტოგრაფი ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვინემ ევროპის გამოჩენილი კაცებისა. მე მას წმინდად შევინახავ, ვინემ პირში სული მედგმის. მე დიდი მადლობელი ვარ დილიჟანსის პატრონისა, რომელიც ქალს ეკუთვნოდა. მან შემიხვია დასისხლიანებული და დაჩეჩქვილი ხელ-ფესი და ისე მიგლიდა, როგორც დედა.

ეტყობოდა, რომ ჩემი ტანისამოსი სასაცილო იყო, რადგანაც გამოვედი თუ არა მარსელში დილიჟანსიდამ, რავდენიმე კაცი შემომეხვია და გაკვირვებით მიცქერდენ; ერთმა ჩემზედ მოიშვირა ხელი და სთქვა: «რა სასაცილო რამ არისო! ვისაც გინდათ დაგენაძლევებით, რომ ის ცოლის შესართავად მოსულაო.» ამის გამო მე მაშინვე ისეთი ტანისამოსი ვიყიდე, რომ ალარავის ყურადღებას არ მიიზიდავდა.

მე მაშინვე ფანტაზიოსთან წავედი. მან ისე მიმიღო, როგორაც მეგობარმა, რომელსაც იმედი ალარა ჰქონდა, რომ კიდევ ცოცხალს მნახავდა. სინამ გენუიდამ წამოვიდოდი, მე მას შევატყობინე, რომ რავდენიმე დღის უკან მარსელში მოვალ მეთქი. ერთი კვირა გავიდა და მე კი ვერ მიველი მარსელში და ვერცარავერი შევატყობინე მას ჩემს შესახებ. ამისგამო იმას ჰგონებოდა, რომ მე გაქცევა ვერ მოვახერხე და ბოლიციას ჩავუვარდი ხელში. ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირად გაესადრა, როდესაც ცოცხალი მნახა, და ან მე რა ნაირად გამეხარდა, როდესაც ჩემს ძვირფასს მეგობარს გადავეხვიე.

მაგრამ ამ სიხარულს ალაე მოელო ბოლო, როდესაც დავინახე, რომ ფანტაზიოს რაღაც მწუხარება დაეტყო სახეზედ. იგი გაუვითლდა და შეკრთა.

— რა დაგემართა, აგრე რამ შეგაწუხა, ვკითხე მას.

— ეს არაფერია, მიმიგო ფანტაზიომ ყოყმანობით:—მე შენი ჯავრი მქონდა და...

იგი გაჩუმდა; მეც ალარ დავეკითხენაც. ბოლოს ისევ მე ვკითხე:

— ცუდი ამბავი ხომ არა იცი რა გენუიდამ.

ფანტაზიოს ბასუხი უნდა მოეცა, მაგრამ ვერ მოახერხა და პირი მოამარიდა.

— თუ ღმერთი გწამს, შეკუკვირე მე:—ნუ ეცდები ჩემს მოტუუებას; მითხარ რა მოხდა? ცეზარი? ჩემი ძმა?

ფანტაზიამ პირზედ ხელი მიიფარა და დაიწყო ქვითინი.

მე ეკელოფერი შეკიტუე, ღმერთო მოწყალეო! ცეზარი ჭკუნად ალარ იყო.

გამომცემლის შენიშვნა.

ლორენცოს წინად-გრძნობა თავის ძმის შესახებ გამართლდა. იმ პირებიდგან რომელთაც მკითხველი იცნობს, მარტო ცეზარი არ შეიქმნა მსხვერპლნი. საწყალი სტორცა დაეხვრიტათ. ლაცცარინოსთვის ციხეში მარტოთ-მარტო დატუსაღება გადაწყვიტათ.

გრაფ ალბერტოსთვის და ალფრედისთვის ხელი არ ეხლოთ. ადრიანი სტელლა, რომელიც გენუაზედ მოშორებით იყო სხვების დატუსაღების დროს, გადარჩენილიყო.

დანარჩენები ციხეში დაეკჭირათ ათიდამ ოცს წლამდის. მოშეტებულ პირთ კი სამზღვარ გარეთ გაქცევა მოესწროთ.

რუსულის სკოლის დასაწყისი ჩვენში.

ალმოსავლეთის ცივილიზაცია, ელლინთა და რომაელთა ხელში განვითარებული და ქრისტიანულად მოსათლული, გახდა ევროპიელთა ახლანდელის ცივილიზაციის ქვა-კუთხედათ. რომაელებთან და ელლინებთან სხვა ერთა შორის ჩვენცა გვქონია კავშირი. და თუ ჯერ არ არსებობს ისეთი საზოგადო კანონი, რომლის მეოხებითაც მხოლოდ ერთს ხალხს შეეძლოს სარგებლობა ძველის ცივილიზაციით და მეორეს არა, ცხადია, რომ სწავლა განათლების შეძენა, მოქალაქეობის გაუმჯობესობა და კულტურულის ძალის განვითარება მათის მიბაძვით, ჩვენც უნდა შეგვძლებოდა, თუ მძვინვარე მტრებისაგან და უმეზობლო მოსამზღვრე ხალხებისაგან დაცული გიქმნებოდით. მართლაც ასე მოხდა. სულ ყველა კავკასიელ თემთა-შორის მხოლოდ ქართველებს აქვთ მწერლობა უძველესის დროიდგან, ჯერ კიდევ ქრისტეს მოსვლამდე. მეორე, მესამე და მეოთხე საუკუნეში ფეხს იდგამს ჩვენში ქრისტიანობა; ქრისტიანულს ძალულ იდეებს არა თუ თვითან ახორციელებენ ქართველები თავიანთ ცხოვრებაში, არამედ სხვა-და-სხვა კავკასიელ თემებშიაც შეაქვთ ქრისტიანულის ზნეობის სხივები. ოსები, ჩერქეზები, ლეკები და სხვა მთიულნი ქართველებისაგან იღებენ ქრისტიანობას. წირვა-ლოცვაც ბევრგან ქართულს ენაზე სრულდება ამ ხალხებში. რომ მაჭმადი რელიგიურს ასპარეზზე ხმლითა და ცეცხ-

ლით არ გამოსულიყო, ვინ იცის, იქნებ პატარა ქართველთ ერი გამხდარიყო ალმოსავლეთში ქრისტიანებრივის ნათელის მომფენი! ქრისტიანობის ამ გვარად შეგნება, მიღება და გავრცელება მხოლოდ გონებით მომზადებულს და მოქალაქობრივის წესით გამართულს ერს შესძლებია, როგორც ცხადათ მტკიცდება ისტორიიდამ.

როცა კი ქართველებს ცოტათი სული მოუთქვამთ, მოსისხლე მტრები პირ იქით დაუსუსტებიათ და ან სხვა-და-სხვა პოლიტიკურ გარემოების მეოხებით შელავათი ჭქონიათ, ყოველთვის რიგიანად უხმარიათ თავისუფალი დრო; მათი გონება მუდრო მუშაობს შესდგომია.

მეათე საუკუნის ბოლოდამ დაწყებული, ვიდრე მეცამეტე საუკუნის გასვლამდის, როცა ევროპა მოსლემინებს ებრძოდა წმ. საფლავისათვის, საქართველოში განათლება დროის შესაფერად უმაღლესს ხარისხამდის ავიდა: ყოველს მონასტერსა და სამრევლოში სკოლა იყო გამართული. გაათავებდენ თუ არა ქართველი ახალგაზდები სწავლას ამ სასწავლებლებში,—ათინაში და კონსტანტინეპოლში მიდიოდენ სწავლის მოსათავებლად. იოანე, ეკთიმე და გიორგი ოლთისელები; არსენ იყალთოელი, შოთა რუსთაველი, სარჭის თმოგველი, მოსე ხონელი, შავთელი და ჩახრუხაძე ამ დროის მოქმედი გმირნი არიან სალიტერატურო და სამეცნიერი ასპარეზზე. ამათ დაგვიტოვეს კალმის საუკეთესო ნაწარმოები, ზოგი ორიგინალური და ზოგი ნათარგმნი, საერო და საეკლესიო თხზულებანი, რომლებსაც პირველი ადგი მოელისთ ჩვენის ძველის ლიტერატურის ისტორიაში.

ამავე საუკუნოებში ჩვენი ხალხის ოჯახური, ეკონომიუ-

რი განვითარება იჩენდა თავს და ფეხ-ადგმით მისდევდა გონებრივს განათლებას.

ამ დროის აშენებული ეკკლესიები, ციხე-დარბაზები, კოშკები და ხიდები; სარწყავი არხები, წყლის გასაყვანი რუსხმულები, გზები, რომლებთა ნაშთი და სუსტი კვალი დღეს არხეოლოგთათვის მდიდარს მასალას წარმოადგენენ, ცასადთ მოწმობენ, რომ იმ დროს ჩვენი მოქალაქობრივი ნიჭი ფერთა შესხმული იყო. არავინ ეჭვს არა სდებს, რომ მაშინდელი ეკკლესიები და მხატვრობანი დღესაც აკვირვებენ კაცს თავის სიმშვენიერით და ორიგინალური ხასიათით. იმ ციხე კოშკთა მაშენებლების გაბედულება, რომლებიც ციცაბო კლდეებზედ არიან დღესაც არწივის ბუდესავით წამომდგარნი, საკვირველად მიაჩნიათ ეხლანდელს ევროპიელ მოგზაურებს. ხელოვნური ირრიგაციული არხები, რომლებიც ეხლაც არიან მტკვრისა და ალაზნის პირათ, ეგრეთვე არხების ნაკვალევი ყარაიასის და შირაქის მინდვრებში ნამდვილად ამტკიცებენ, რომ ჩვენს ხალხს არ სძინებია, გონიერულად უმუშავნია და მუდამ ჭქონია მისწრაფება როგორც პოლიტიკურისა და ლიტერატურის, აგრეთვე ეკონომიურის და მოქალაქობრივი განვითარებისადმი. მას არ დაუგდია ერთი ცალ მიწაც შეუმუშავებლად. მე-XIII-ტე საუკუნემდის ვაჭრობაც გათვრთოებული იყო საქართველოში. ქ. შორაპანი იყო უმთავრესი საწყობი ალაგი ალმოსავლეთიდამ შამოტანილი საქონლისა. ურბნისი, უფლის ციხე, მცხეთა, თფილისი, უჯარმა, გრემი და რამოდენიმე დაბა და ქალაქები ასალ-ციხის მაზრაში და ნაქალაქევი იყვნენ საზღვარ გარეთ გასატანი საქონლების საგრეოვ ალაგებად. რომაელთა და ბერძენთა ფული, რომელიც ძრიელ ხშირად ჩნდება ჩვენს ნიადაგზე, განსაკუთრებით იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და

ათასზეთში ამტკიცებს, რომ ქართველებს დიდი ხნიდან ჭქონიათ გამართული ვაჭრული ურთიერთობა რომელთა და ელლინებთან. შესაძლებელია იფიქრონ კაცმა, რომ ვაჭრობა სომხების ხელში იქნებოდა მაშინაც, როგორც ეხლა არის, მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ მე-XIII საუკუნემდის სომეხთა სამეფო ხელ-უხლებელი იყო, და მათი ემიგრანტები სხვა სამეფოების კალთას არ იყენენ ამოფარებულნი, ცხადათ მისახვედრია, რომ ვაჭრობა საკუთრად ქართველთ ხელში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაც სომხეთი დაეცა და საქართველოსაც მტრები შამოეხვივნენ, ქართველებს ვაჭრობის თავი ალარა ჭქონდათ, ვაჭრობა კი არა გუთანიც უნდა გვერდზე მიეგდოთ და თავრხმალისათვის ხელი მოეკვეთ. ამ დროიდამ გადვიდა ვაჭრობა ჩვენი ხელიდამ სომხების ხელში.—მთელი მეთოთხმეტე საუკუნე სპარსთა და თურქთა ბრძოლას მოანდომეს, მხოლოდ მეთუთხმეტე საუკუნეში, ესრედ წოდებულის ალექსანდრე დიდის მეფობის დროს ქართველებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ ამავე დროს, საუბედურად ჩვენდა, დაეცა კონსტანტინეპოლი და საქართველოც დაირღვა რამოდენიმე სამეფოდ. ამ დროიდამ შეფერხდა ქართველთა ყოველ მხრივი გონებითი მოძრაობა. საქართველომ თანა მორწმუნე სახელმწიფოს, რუსეთს გაუშვირა ხელი და მას მიემხრო; გარნა მოსისხლე მტრები უფრო გაბრაზდენ, რადგანაც საქართველოის ზემოხსენებულ მფარველთან კარგი განწყობილება, სპარსთა ს თურქთ დასცემდა; ამის გამო უფრო და უფრო მოეძალენ და შეასუსტეს საქართველო პოლიტიკურად, მაგრამ მის სულიერს საუნჯეს არ შეჭხებიან. ქართველთ გონებითი ძალა

კიდევ მუშაობდა. ახალ-ციხის მაზრის ეკკლესიები, რომლებსაც დიმიტრი ბაქრაძე იხსენიებს თავის წერილებში, დიუბუასა და ბროსსეს მოწმობით, ამ ხანას ეკუთვნიან და საუკეთესო არხიტექტურულს და მხატრულ ნაწარმოებათ ითვლებიან. ამ დროს ორიგინალურ თხზულებათა გარდა უთარგმნიათ სხვა-და-სხვა წიგნები რომაელთა და ელლინთა მწერლებისა. მრავალი ჩვენი ახალგაზდანი რომელ მისიონერებთან სწავლობდენ ლათინურს ლიტერატურას. იმ დროის შესანიშნავ კაცებად ითვლებიან ვახტანგ VI, ანტონ I, პატრიარხი, გამოჩენილი ვახუშტი, ვახტანგ VI-ის ძე, დავითი, იოანე და თეიმურაზ გიორგის ძენი, და სხვა სულხან ორბელიანი, რომელმაც ევროპაში იმოგზაურა და დაგვიტოვა საბრძნე სიტრეის წიგნი და ლექსთა კონა; იოსებ სამებელი, რომელიც ვახტანგ მეექვსეს ეხმარებოდა სჯულის გამოცემაში და საქართველოს მატიანეს შეკრებაში; დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი (კატის ომის ავტორი), და სხვ. ამათგან ყველაზე უფრო შესანიშნავი სხვა ორბელიანი, ვახუშტი და ანტონ კათალიკოზია. ანტონმა, როგორც მცოდნემ ლათინურის და ბერძნულის ენებისამ, გადმოთარგმნა ყველა საეკლესიო სახელმძღვანელო მაშინდელი დროისა. მანვე დასწერა მარტირიკა, რომელშიაც აღწერილია ჩვენ სასულიერო გმირებთა მოღვაწეობა. ვახუშტიმ დასწერა ისტორია და გეოგრაფია საქართველოის ნამდვილს რუკითურთ. რიტერი აღტაცებაში მოჰყავს ვახუშტის გეოგრაფიის მეტოდს. ამ უკანასკნელის ოთხის საუკუნის მწერლებში უფრო შესანიშნავი სასულიერო მწერლები არიან, რადგანაც საერო მწერლებს ამ დროს მოცალება და დრო არა ჰქონდათ მუდმივი მტრისაგან ქვეყნის აოხრების გამო.

ამ მოკლე მიმოხილვიდამ სჩანს რომ ქართველთა გონე-

ბის ნიადაგი სრულიად მზად იყო შეეშნოებინა და შეეთვისებინა ევროპიული მეცნიერება და ცივილიზაცია. კლასსიკური ლიტერატურის შესწავლა, ნაციონალური საერო და სასულიერო ლიტერატურის იმ მდგომარეობაში ყოფნა, როგორშიაც ყოფილა, და ქრისტიანული იდეალების განხორციელება, ყოველივე ეს ნამდვილს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ რომ ქართველნი სხვა აზიური სალხებივით ძალიან არ ჩამორჩებოდენ ევროპას განათლების მხრით, თუ მათ მოსვენება ელირსებოდათ მტრისა და მძარცველებისაგან და თუ ამათგან დაცულნი, თავისუფლად თავიანთ სურვილისამებრ მოაწყობდენ თავიანთ შინაურს ცხოვრებას.

1800 წელს საქართველო შეეიდა რუსეთის მფარველობაში, რომელმაც აღუთქვა, რომ იგი ეცდება ქართველთა ზნეობრივის და გონებრივ გაუმჯობესობისათვის, მტრისაგან დაცვისა და მოქალაქობრივის კეთილ განწყობილებისათვის. ამას ელოდა საქართველოც რუსეთისაგან.—რუსეთმაც ერთ საუკეთესო საშუალებათ ქართველთა განათლებისათვის სხვათა შორის სკოლა დაარსა. ან კი რა უნდა იყოს უკეთესი საშუალება გონებისა და ზნეობის გასამშვენიერებლად, რომა იგი რაციონალურად არის მიმართული სალხის საკეთილდღეოთ; მაგრამ რომა სკოლა ოვის დანიშნულებას და მიზანს ასრულებდა, მისი ნაყოფი დარიშხანაზე უფრო მწარეა ხოლმე. მანამ რუსული სკოლა დაარსდებოდა, ჩვენში კიდევ იყო ნაციონალური სწავლა მონასტრებსა და სამრევლოებში, თეოლისასა და თელავის სემინარიებში. ეს ცხადათა სჩანს ანტონ ქათალიკოსის მოსსენებაში გენერალ ლეიტენანტის კნორრინგისადმი. ანტონი მოასსენებს კნორრინგს, რომ ყოველი ეპისკოპოსი, არქიელი, არხიმანდრიტი და მამაო-მონასტერი ვალდებულია ჭქონდეს გა-

მართული სამრევლო სკოლა. ხოლო ამ დროს მონასტრები, არქიელნი, ეპისკოპოსნი და არხიმანდრიტნი ბლომად იყვნენ ძალიან. აქედან ცხადთ სჩანს, რომ მოსწავლეთ დასი მცირე არ უნდა ყოფილიყო მაშინა. ამას თუ დავსძენთ იმ ფაქტს, რომელიც დღესაც თვალ-საჩინოა, ე. ი. რომ თავადთა და აზნაურთა ოჯახში ყოველმა ქალმა წერა-კითხვა იცოდა, მაშინ უფრო სარწმუნო იქნება ის აზრი, რომ წერა კითხვა ძრიელ გავრცელებული უნდა ყოფილიყო ჩვენს ხალხში ახალი სკოლის შამოღების დროს. მაგრამ საქმე იმაშია, რას ასწავლიდენ ბერნი და მღვდელნი, რასა სწავლობდენ თავადთა და აზნაურთ ოჯახში. ამ კითხვის პასუხი ძნელი არ უნდა იყოს. ჩვენ ვიცით, რომ საუკეთესო პოეტების თხზულებანი: ვეფხის ტყაოსანი, ვისრამიანი, ჩახრუხაძისა, მოსე ხონელისა, და სხვათა მწერალთა ნაწარმოებნი საუკეთესო საკვანძო იყო თავადთა და აზნაურთა ოჯახებისა. სამღთო წერილის ცოდნა ხომ ყოველ თავადისათვის საკვლდებულო იყო. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ ბლეხის ქალები ხშირად წიგნსა და წერას ეჩვეოდენ თავადთა და აზნაურთ ოჯახში, დედათ-მონასტრებში, დაჯუშარიტებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ წერა-კითხვა დაბალ ხალხშიაც უნდა ყოფილიყო ფესვ-გადგმული.

რაიცა შეეხება სასულიერო სემინარიებს და სამრევლო სკოლების სწავლის შინაარს, ამაზედ ისევ ანტონ ქათალიკოსის მოხსენებას მიუბრუნდეთ. «სემინარიაში სწავლობენ გრამატიკას, რეტორიკას, ფილოსოფიას და ღვთის მეტყველებასო. სამრევლო სკოლებში და მონასტრებში სემინარიაში შესასვლელად ამზადებენ ყმაწვილებსაო» — განაგრძობს ანტონ თავის მოხსენებაში. ფილოსოფია, რეტორიკა და ღვთის მეტყველება იყო დასაბამი იმ მეცნიერებათა, რომლებიც მერმე გაფართოვ-

დენ და უნივერსიტეტების მეცნიერებას სამირგვლად დაედვნენ ევროპაში. მართალია სწავლების მეტოდი სხოლასტიკური იქ-ნებოდა, შინაარსიც აგრეთვე, მაგრამ ამ სხოლასტიკურს სწავ-ლას შეეძლო ისეთი ნაყოფი მოეტანა, როგორიც მან გამოი-ღო ოქსფორდისა და პარიჟის უნივერსიტეტებში, რომ ის-ტორიულად წინ-სვლა არ შეფერხებოდა ჩვენს ძველებურს სკოლას. სხოლასტიკა დაიბადა აბბატების სკოლაში და გაი-ზარდა ეპისკოპოსთა სასწავლებლებში. მისი არსებითი ხასიათი ის იყო, რომ ყოველი მეცნიერება დამორჩილებოდა ღვთის მეტყველებას. Philosophia est ancilca teologiae, ამბობდენ საშუალო საუკუნოებში. მაგრამ ეს ნამდვილ არასოდეს არ ხდებოდა. არისტოტელის ჭაზრები და პლატონის სწავლა მაინც თავისას შვრებოდენ. თუ ჩვენში ფილოსოფიას და ღვთის-მეტყველებას ასწავლიდენ, ცხადია რომ საუკეთესო ფილოსო-ფოსთა ნაწარმოებს ჩვენ სასწავლებლებში ადგილი ექნებოდა. რეტორიკასაც შესაფერი სარგებლობა უნდა მოეტანა. საუკეთე-სო მეჯვარმეტყველური თხზულებანიც ხელთ ექნებოდათ, სა-ღვთის მეტყველო მეცნიერება ხომ ყველაფერით გამართული და განვითარებული იქნებოდა. ამას დაურთოთ კიდევ ქართველთ გონების მომზადება პოეტებისა და სხვა საერო ნაწარმოებთა მეხებით და ვიკითხოთ, სასარგებლო იყო ჩვენთვის იმ გვარ სკოლების ყარ-ყოფა და მათი ზრდისა და განვითარების მო-გვეთა. სასარგებლო იყო თუ არა ჩვენთვის მოსპობა იმ სკოლე-ბისა, რომლებიც უსათუოდ ალორძინდებოდნენ იმ მიმართუ-ლებით, რა მიმართულებაც ზემოხსენებულმა საუკუნოებმა გვი-ანდერძა. რაღა კითხი უნდა, რომ ამ სკოლების შეფერხება არ იყო კარგი ქვეყნის გონებრივის წარმატებისათვის. მაგრამ ისეთმა ისტორიულმა ტალღამ გადმოიარა ჩვენს თავზე, რომ ძველთან

კაკშირი უცრიგ შეგვწუვეტინა და ახალს ასპარეზზედ გამოგვიკანა და გონებისთვის სხვა საკარჯიშო გაგვიჩინა. დაკვკვირდეთ ამ ჩვენი გონების საკარჯიშო მოედანის ზრდა-მატებას და მის ნაყოფს.

პეტრე სკოლუნოვი, პირველი წერი იყო რუსეთში სახალხო განათლების დასაარსებლად დადგენილის კომმისიისა, 1801 წ. 16 ივლისს რაპორტით მოახსენებს გენერალ-ლეიტენანტს კონრინგს: ქართველებზედ ბევრი უწერია თ რომელთა და ელლინთა და ახლანდელ მოგზაურებისაცა, მაგრამ მათი ნაწერებიდამ ძნელია შეადგინოს კაცმა ნამდვილი შეხედულობა საქართველოს ხალხზე. მე ვსთხოვ თქვენს მალალ ხარისხოვნებას გვაცნობოთ, რა მდგომარეობაშია საქართველოს სასწავლებლები, რა-და-რა ადგილს არიან გამართულნი საერო და სასულიერო სკოლები, რა წიგნებს ხმარობენ სახელმძღვანელოდ, ნაბეჭდს, თუ ხელთ-ნაწერს. არის თუ არა ქართულად გადმოთარგმნილი ის სახელმძღვანელოები, რომლებსაც რუსეთის სკოლებში ხმარობენ. რა წოდების კაცები არიან მასწავლებლად, რა სწავლის მექონნი და ვის სარჯზე არიანო.—ძვირფასი იქნებოდა ჩვენი საშვადგოგო მატიანესათვის ამ კითხვების დაწერილებითი პასუხი, მაგრამ სამწუხაროდ ვერსად ვერა ვიპოვეთ რა. იქნებ არხეოგრაფიულმა კომმისიამ, რომელმაც გამოაცა აკტები იმ ძველის დროის შესახებ და რომლიდამაც ჩვენ ვკრეფთ ჩვენს ცნობებს, თვით არა სცნა საჭიროდ დაბეჭდილიყო ეს საინტერესო პასუხი მთავარ-მმართველისა.

ამ ერთი წლის განმავლობაში მაწერ-მოწერას შედეგი ის იყო, რომ კავკასიის მმართველმა გენერალმა გოვლენსკიმ მოუწოდა ქართლისა და კახეთის თავადთა და აზნაურთა, აუხსნა მათ თავისებურად სწავლა-განათლების სარგებლობა და მისცა წინადადება თბილისში სასწავლებლის გამართვისა და გამოუცხადა, რომ 22 სექტემბერს 1802 წელს ტფილისში გამოცხადებულიყვნენ თავიანთი შვილებითურთ. ამ საქმეს არავითარი დაბრკოლება არ გადალობებია. ამ სახით 22 სექტემბერს დაარსდა ესრედ წოდებული училище для обученія благороднаго грузинскаго юношества. სასწავლებლის საკურთხევლად მოიწვიეს სრულიად საქართველოის ქათალიკოზი, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი, უბრწყინვალესი მეფის-წული ანტონი (ირაკლის შვილი იყო) და რუისთავის არქიელი სტეფანე. ანტონი ავად-მყოფობის გამო სკოლის კურთხევას არ დასწრო. მის ნაცვლად სამღვთო პარაკლისი რუსთავის არქიელმა სტეფანემ გარდაიხადა. სასწავლებლის კურთხევის შემდეგ მთავარ-მართებელმა სამღვდელოება და თავადაზნაურობა თავის სახლში მიიპატიჟა და გაუმასპინძლდა.—ჯერ გაიხსნა, რასაკვირველია, პირველი კლასი, რომელშიაც პირველად 45 მოსწავლე ითვლებოდა. მასწავლებლად დანიშნეს ორი რუსი, რომლებიც ამდენ ხანს სამდიგნოებში მსახურებდენ, გუბერნიის რეგისტრატორები: პლეშჩეევი და პოკროვსკი. ესენი რუსულს და ზოგიერთ სხვა საგნებს ასწავლიდნენ. ქართული ენის მასწავლებლად და სასწავლებლის დირექტორად განაწესეს კავკასიის გრენადერის პოლკის მღვდელი პეტრიაშვილი. სასწა-

�o ენებად იყო დანიშნული რუსული და ქართული, რომელსაც შემდეგ კლასებში დაერთო სომხური და თათრული. ბოლოს, როგორც საზოგადოდ სასმარი ენა, ფრანცუზულიც შემოიღეს. ენების შესწავლის სისტემა იყო ამგვარი: დაუწყებინებდენ ჯერ ანბანს, მერმედ გადადიოდენ ამოსაღებზედ. ამის გათავების შემდეგ წერას მიჰყოფდენ ხელს. წერა-კითხვის ცოტა ოდნად შესწავლის შემდეგ გრამმატიკას მისცემდნენ ხელში უმაწვილებს. გრამმატიკა მეორე კლასში იწყებოდა. სასწავლებლის ინსტრუქციაში პირ-და-პირ არის ნათქვამი: во второмъ классѣ, продолжая чтеніе и письмо, приступить къ грамматикѣ обоихъ языковъ, т. е. грузинскаго и русскаго. სასწავლო საგნებად იყო არითმეტიკა, მოკლე კატეხიზმა, საღმრთო და საძოქალაქო ისტორია, (პროგრამაში იყო თუ არა შეტანილი ჩვენი საშობლოის საძოქალაქო ისტორია, არა სჩანს) საზოგადო გეოგრაფია, გეომეტრია და ხატვა. ამავე ინსტრუქციაში არის მოხსენებული რომ უკანასკნელად უნდა ესწავლათ უმაღლესი მათემატიკა (ალბათ ალგებრა და სხვანი), არტილერია, არხიტექტურა, მეხანიკა, ფიზიკა და ბუნების მეტყველება. ამას ამბობს ინსტრუქცია, მაგრამ რამდენად სრულდებოდა იგი, ამას ჩვენ დაგინახავთ ქვემო მოხსენებული ფაქტებიდამ. სასწავლებლის ზნეობრივის მდგომარეობის გასაცნობლად ჩვენ მოგიყვანთ რამოდენიმე მუხლს იმ წესდებულებისას, რომელიც უნდა აღესრულებინათ მოსწავლეთა და მასწავლებელთ. ეკკლესიაში სიარული ისევე საკვალდებულო იყო უმაწვილებისათვის, როგორც სკოლაში. ლოცვა დილას და საღამოს, საადილ-წინ და უკან, დაწოლისას და ადგომისას მიუცილებელი კანონებულება იყო მოსწავლისათვის; ამ ინსტრუქციით კლასში მიმავალი უმაწვილი გზაზედ არ უნდა ცელქობდეს, შევა თუ არა კლასში, უნდა იჯდეს

თავის ალაგას უძრავად; იმეორებდეს და იზეპირებდეს განარგვევს. რომელ მასწავლებელი არგვევს გაგვეთილს, უმაწვილმა არავის ხმა არ უნდა გასცეს, ან არავის არ უნდა გადუხუეხულოს, უძრავად უნდა იჯდეს და მასწავლებელს პირში უცქეროდეს. მასწავლებელსაც დიდი მოთხოვნილება აქვს კისერზე და დირექტორსაც არა ნაკლები. მაგრამ აქ ცოტა შეეჩერდეთ და გავსაჯოთ, რამოდენად შესაძლებელი იყო მასწავლებლისათვის იმ მოვალეობის ასრულება, რომელსაც მას სთხოვდა ინსტრუქცია. ვინ იყვნენ მასწავლებლები? გუბერნსკის სეკრეტრები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ორს თანამდებობასა ასრულებენ: სამდივნოშიც ქალალდის გადაწერა და გადმოწერა მათ ხელშია და ქართველთ თავადთა ასალ-გაზდობის აღზრდაც მათ აქვთ მინდობილი. გუდოვიჩისადმი ლიტვინოვის მიწერილობაში აი რასა ვკითხულობთ:*)

Чтобы ученики напрасно время не теряли, испрашиваю дозволенія у В. С. употребить способнаго изъ гражданскихъ чиновниковъ съ произвожденіемъ оному и сего жалованія въ уваженіе занятія двумя должностями.

ესეც, რომ უმაწვილებს დრო არ დაეკარგათ და რომ სწავლა კარგად წასულიყო, ჩანოვნიკებს ჯამაგირი მოუმატეს და . . . მაგრამ ამასობაში რუსეთში მასწავლებლების რიცხვმა თითქო იმატა. გამოიწერეს სპეციალურად მომზადებული მასწავლებლები, სტეფანე გულიაევი და მალცევი. ამათაც თავი ისახელეს. აი რასა სწერს ციციანოვი მინისტრს გრ. ზაგადოვსკის:**)

---

*) Акты кавк. археогр. коммисіи, т. III и IV.

**) Акты Кавк. археогр. комм. т. IV стр. 59.

Гуляевъ не обѣщаетъ успѣха, не имѣя дара заставить учениковъ уважать себя; къ тому же рѣчь имъ говоренная можетъ свидѣтельствовать предъ В. С. о новости, вводимой имъ въ краснорѣчіе пословицами и обидимыми изрѣченіями для новопріобретенной земли, а потому неблагоугодно ли будетъ В. С. повелѣть его возвратить на родину.

კიდევ ამოვიღებ რადენიმე სიტყვას გენერალ ახვერდოვის ტორმასოვისადმი მიწერილ რაპორტიდან(17 ივნვრის 1810 წ.*)

Исправляющій должность Директора тит. сов Букринскій отъ 13-го сего Іюля рапортуетъ, что учитель тит. сов. Мальцевъ и губ. секр. Лубкинъ упражняясь въ пьянствѣ, первый съ половины Мая а послѣдный съ Февраля м.-ца, дѣлаютъ разныя неприличныя поступки, въ тоже время крикъ и стукъ въ разныя мѣста и наносятъ сосѣдямъ безпокойства, а произношеніемъ неприличныхъ словъ—обиды и сколько ни старался ихъ удержать, но ни какъ не могъ; отъ такого пьянства пришли въ болѣзнь и если ихъ не воздержатъ и не будутъ пользованы, то могутъ умерѣть.

ზემო მოყვანილს თვჭტებს, ვგონებთ, განმარტება ალარ ეჭიროვება. ცხადათა სჩანს, რომ არამც თუ სკოლის მთავრობა, არამედ თვით მთავარ-მმართებელნიც დიდად ზრუნავდენ სწავლის წარმატებისა და სკოლის კეთილ-დღეობისათვის. . . . მაგრამ რომ უფრო ცხადად და ნამდვილად წარმოვიდგინოთ, რა ხასიათი ჰქონდა ამ სკოლას და რა აზრით იყო იგი დანესებული, ჩვენ მოვიყვანთ მინისტრისადმი ციციანოვის მოხსენებას:

Необходимая нужда въ Россійскомъ языкѣ въ той

**) იქვე

землѣ, гдѣ на ономъ отправляется судопройзводство, недостатокъ въ переводчикахъ и крайнее невѣжество здѣшняго дворянства, даже до того, что большая часть не знаетъ природнаго своего языка по правиламъ, побудили меня приступить дѣятельнымъ образомъ къ преподаванію способовъ относительно введенія въ грузію *первыхъ лучей просвѣщенія*, буде не вообще народнаго, то хотя здѣшняго дворянства, дабы покрайней мѣрѣ поколѣніе, въ отроческихъ лѣтахъ нынѣ пребывающее, вкусило блаженство, *Россійскимъ правительствомъ для онаго уготовленное.*

როცა როამელიმე მთავრობის წარმომადგენელი სასავდა სკოლას, ამ გვარს ქებას მისწერდა სასწავლებელში სწავლის წარმატებაზე*).

Лично я обозрѣлъ сіе благородное Тифлисское училище и, къ совершенному удовольствію моему, нашелъ въ немъ все въ найлучшемъ порядкѣ; учениковъ же усердныхъ и прилѣжныхъ съ добрыми успѣхами въ занятіяхъ, особливо же видѣлъ я между учениками успѣшныхъ въ короткое время въ чтеніи Россійскихъ книгъ и въ письмѣ Россійскомъ.

თუმცა ასე იყო, მაგრამ შემდეგ მთავრობამ საჭიროდ დაინახა ცვლილება მოეხდინა სასწავლებელში. ეი რას ამბობს ტორმასოვი მინისტრისადმი მიწერილობაში:**)

Вошедъ въ образъ мыслей и правовъ благороднаго грузинскаго сословія, нашелъ необходимымъ учредить такое училище (т. е, военное), ибо въ правахъ здѣшнихъ жите-

---

*) Акты кавк. археогр. комм. т. VI

**) Акты кавк. археогр. комм., т. VI и VII.

лей, а особенно дворянства, вкоренены духъ и склонность къ военной службѣ.

ამ გვარსავე აზრს იმეორებს მარგიზი ვაუდლიბი მინისტრისადმი მიწერილობაში:

..... вникая въ свойство народа и находя, что здѣшнее молодое дворянство несомнѣнно могло-бы быть весьма полезное для службы Е И. В.-а, найпаче войнской, (по природному въ нихъ военному духу) я долгомъ считаю покорнѣйше просить Васъ употребить содѣйствіе Ваше въ пользу просвѣщенія сего новаго края.

ამ გვარად ზემოხსენებული სასწავლებელი ტოტლებენის მინისტრობის დროს სამხედრო სასწავლებლად გადაკეთდა. სასწავლებელი გაფართოვდა, სასწავლო საგნებიც მოემატა. ჯერ წინეთ ცალკანაგი სრულიად წინასწმდეგი იყო რომ ზოგიერთი უსარგებლო საგნები პროგრამმაში ჩაურთეს. მაგრამ მერმეთ კი ამ გვარად განმარტავდა ლათინურის ენის საჭიროებას: პრინცი ეუგენი დიდი სარდალი ლათინურის ცოდნით შეიქნა, ადგოგატი მორო ლათინურმა გაამეცნიერა. საამხედრო მეცნიერების სხვა-და-სხვა საგანი ლათინურს თხზულებებშია განმარტებული. ლათინურს ნემეცურიც მოჰყვა და ეკვლა ამათ დაერთო საამხედრო მეცნიერებანი. მდ. პეტრიეკის ნაცვლად ესლა დანიშნეს სასწავლებლის უმთავრესად ვიღაც არტილერიის პოლკოვნიკი. ამ დროს ავათ-მყოფობაც ეწვია ობილისს. მოსწავლეები თავიანთ მშობლებთან წავიდნენ და სასწავლებელი გაცარიელდა. მერმეთ, როცა ავად-მყოფობამ გადაიარა, მოსწავლეებს დაზარდათ სასწავლებელში დაბრუნება. ალარც დედ-მამა იყო მონდომილი ყმაწვილების სკოლაში დაბრუნებისა. მაგრამ ცოტადენი მოსწავლენი მაინც მოგროვდენ სასწავლებელში. პარაკლისი უნდა გარდაეხადათ. მზრუნველიც მობრძანდა და ყმა-

წვლებს შესხმა ათქმევინეს რუსულს ენაზე. ამ შესხმის ტოტალდენს თარგმანს აქვე მოვიყვანთ: «უძვირფასესო და მოწყალეო ხელმწიფეო, ჩვენო მზრუნველო! დღეს თქვენის ალმასტებულების წინაშე დგანან ერმანი, ერთმანეთ შორის უნათესარნი, მაგრამ თქვენს ბრძანებაში ალიარებენ ერთსა სარეთო მამასა; მოწიწებით გასალებენ და თავის ბედნიერების წყაროთა გთვლიან. რას მოგესწარით ამას, რომ მისი იმპერატორებისა დიდებულების სატება თქვენი ბრძანებით გვაშუქებს! ჩვენ ვგრძნობთ ამის მიზეზს, მაგრამ ვერ ძალგვიძს გამოთქმა.» სულ ამ გვარი სიტყვებით არის ეს შესხმითი სიტყვა და თავდება ამ ნაირად: «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, დიდება და დღეგრძელება ქვეყანასა ზედა ალექსანდრეს, სახელითა და საქმით ჩვენთვის პირველსა. დიდება და დღეგრძელება თქვენს უმაღლესობას, ჩვენო მზრუნველო.»

ახლა ჩვენ უფრო მოგვეთ ავსწერთ ამ პირველი სასწავლებლის ისტორიას, რომელიც გაიხსნა უმაღლესად დამტკიცებულის 8 აგვისტოს *) 1803 წ. პროექტის ძალით. თანახმად ამა პროექტისა, სასწავლებელი, როგორც მისი საბუნწოდებიდგან სჩანს, იყო დაარსებული თავად-აზნაურთა შვილების აღსაზრდელად. სასწავლებელში მარტო ორი კლასი იყო პირველად: ერთი რუსულისა და ერთი ქართულისა. მასწავლებელი სკოლისა ოთხნი იყვნენ; დირექტორად ქართველი მღვდელი პეტრიაშვილი იყო. დირექტორს არავითარი განკარგულება მოხდენა არ შეეძლო მთავარ-მართებელის დაუკითხველად, რომელიც სასწავლებლის მზრუნველთ ითვლებოდა. სასწავლებლის ხარჯთ 10,000 მანეთი იყო დანიშნული, რომელიც

*) Акты т. V стр. 277

ჯარ-ბელაქანს ჭქონდა შეწერილი, ვითარცა გადასახადი და რომელსაც აბრაშუმით იხდიდა ყოველ წლივ. ამ ხარჯის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად სასწავლებლისათვის დანიშნული თუული სურსათისა და სხვა საჭადრო საჭიროებისათვის ახმარებოდა ხოლმე, და რაცა პანსიონერებს შალვარი ან კიდევ სხვა ტანისამოსი, ან რამ დაკლდებოდათ, მზრუნველს მანისტრთან უნდა გაემართა მიწერ-მოწერა, თუნდ რა-დათი მანეთისათვის. სასწავლებელს თავიდამე უნდოდა ჭყოლოდა პანსიონერები, რომ ამათგან რვა კაცი მოსკოვის უნივერსიტეტში გაეგზავნათ ყოველ წლივ სწავლის მოსათავებლად, მაგრამ ამ სურვილის შესრულება შეუძლებელი შეიქნა აშრობლების უთანხმოების გამო. 1804 წ. მოისპო პანსიონიც და უმაწვილების რუსეთში გზავნაც. ეგებ ეს იყო მიზეზი, ამბობს გრუბერი, სასწავლებლის გაუქმებისა. ასე რომ 1805 წ., რაცა ციციანოვი დაბრუნდა თბილისში, სასწავლებელი დაცარიელი დახვდა და მოსწავლენი—გაფანტულნი. ახლა ხელახლად დაიწყეს უმაწვილების მოგროვება სკოლაში. რომ უფრო წაეხალისებინათ უმაწვილები სწავლაზე, მათ დაუნიშნეს სასწავლებლის სახარჯო თუულიდან საჩუქრები. ამ გვარ საშუალებას მოსწავლეთა მისატუებლად დიდ-ხანს ხმარობდენ, მაგრამ რაცა თავად-აზნაურობამ დაინახა რომ მათ შვილებს რუსული წერა-კითხვა და რუსულად ლაპარაკი ლუკმა პურს აძლევს, ესე იგი, რომ მათი შვილები ამის წყალობით ჩინოვნიკები გახდებიან, ჩინსა და ჯამაგირს მიიღებენ, პირ იქით დაუწყეს კედრება უფროსებს სასწავლებელში უმაწვილების მიღებისათვის. სასწავლებელი უნდა გადიდებულიყო, მაღალი კლასები უნდა მომატებოდა და პროგრამაც უნდა გაფართოებულიყო. ამის გამო სასწავლებლის უმფროსი შეუდგა პრო-

გრაფის შედგენას და 1807 წ., გრ. გუდოვიჩის წარდგენით, თბილისის საკეთილშობილო სასწავლებელი გიმნაზიათ გადაკეთდა, რომელშიაც პირველად დაარსდა 6 კლასი. სასწავლო საგნებს მოემატა ნემეცური და ლათინური. მოსწავლეთა რიცხვი 100-დის ავიდა და მასწავლებლებადაც 10-ამდე კაცი იქმნა დანიშნული. ამ გვარად და ამ სახით სწარმოვობდა გიმნაზიის საქმე 1819 წლამდე, როდესაც გენერალ ერმოლოვმა შამოიღო ცოტადენი ცვლილება სასწავლებელში: ლათინურისა და ნემეცურის მაგივრად თითრული შამოიღო და, რადგანაც უმაწვილები საამხედრო საამსახურს უფრო ეტანებოდნენ, საამხედრო საგნების მეცნიერების სწავლება უნდა გაფართოებულიყო. ამისათვის გაავრცელეს მათემატიკა, შამოიღეს გეოდეზია, სიტუაცია და ფორტიფიკაცია (полевая фортификація). იმავე 1819 წელს თბილისის საკეთილშობილო სასწავლებელი ყაზანის უნივერსიტეტის საამართველოს უწყებაში გადვიდა. 1825-ს სარეოვის უნივერსიტეტს მიაწერეს. მაგრამ ამათ სრულიად არავითარი გავლენა და თავლ-ყური არ ჰქონდათ ამ სასწავლებელზე სიშორის გამო. სასწავლებლის მბრძანებლად იყო ისევ მთავარ-მმართებელი, რომელიც უახლოვეს განმგებელად საამოქალაქო გუბერნატორს ნიშნავდა ხოლმე.

ამის შემდეგ არათვერი დიდი ცვლილება არ მოამხდარა რა სასწავლებელში უკანასკნელს დრომდე, როცა რუსეთის საჯალხო განათლების მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ თბილისის საკეთილშობილო სასწავლებელიც იმ წესზე მოწყობილიყო, როგორც ამ გვარი სასწავლებლები რუსეთში იყვნენ მოწყობილნი, გენერალ სიპიაგინს უნდა წარედგინა თავისი აზრი სასწავლებლის გადაკეთების შესახებ, მაგრამ მისი სიკვ-

დილის გამო საქმე კიდევ შეჩერდა. რა მდგომარეობაში იყო ამ დროს სასწავლებელი? ამის პასუხად ჩვენ ამოვკრიბავთ სხვა და სხვა ჩიხოვნიკების, მასწავლებლების და სასწავლებლის უმფროსების მიწერ-მოწერებში გაფანტულს ადგილებს. აი რას ამბობენ ისინი: სასწავლებელი დასცილდა იმ წესს და სიკეთეს, რომელიც მისთვის სასურველია, სწავლას წარმატება არა აქვს, ზნეობა უეურადღებოთ რჩება, ეკონომიური ნაწილი უანგარიშოთ მიდისო. რადგანაც ამის მიზეზად სკოლის წყობილება უნდა ჩაითვალოს, ამისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი წესების შემოღებისათანავე ეს ნაკლულევანება მოისპობა. მაგრამ რადგანაც იმდენად სკოლის გარეგანი წესები არ არიან დამნაშავე, რამდენადაც ადგილობრივი გარემოებანი, ამისათვის გონიერად გამოკვლევის და გამოძიების ღირსია ეს უკანასკნელი—ამას ამბობს გრუბერი თავის პროექტში, რომლის დაგვარად უნდა შეცვლილიყო ეს სასწავლებელი.

უზნეობის მიზეზი, ამბობს ის, და რუსულის სუსტად შესწავლა ესათუოდ შინაურს ერიგო აღზრდას და დედამამისგან ამ საგნისათვის უყურადღებობას უნდა მიეწეროს. მართლაც, ქართველ თავად-აზნაურს არა თუ შეუძლია თავიანთი შვილების რიგისამებრ შინად აღზრდა, რასაც დიდი გაკლენა ექმნებოდა უმაწვილის მომავალზე სახელმწიფო სასწავლებელში, არამედ იმოდენად სელის შეწყობაც არ შეუძლიანთ, რომ მოსწავლემ ისიც არ დაკარგოს, რაც მოუპოვებია და შეუძენია სასწავლებელში. იმათ მოჰყავთ ათ-თორმეტ წლოვანი ბავშვები სასწავლებელში, თითქმის განადირებულნი, უსალისონი სწავლაზე და რუსულის სრულიად უცოდინარნი. აქ მასწავლებელი იძულებულია ებრძოლოს ორ გვარს დაბრკოლებას. ერთი რომ უმაწვილი გაუწურთვნელია (огрубѣлый); მეორედ, რომ რუსუ-

ლი ენა უნდა ისწავლოს, და ისე შეითვისოს, როგორც დედა-ენა: ეს კიდევ არათვერი, საქმე ის არის, რომ გვყოლან თუ არა უმაწვილები კლასიდგან, სადაც ორი სამი რუსული სიტყვა დაისწავლეს, მიგლენ დედმამასთან, დაიწყებენ ქართულს ლაპარაკს, დედ-მამა ეურს არ უგდებს, ძალას არ ატანს თავის შვილს მაინც-და-მაინც რუსული ილაპარაკოს და ამასობაში უმაწვილებს დაზეპირებული რუსული აავიწყდებათ. ამისათვის რუსული ენის შესწავლა, განსაკუთრებით პირველს სამს კლასში ძრიელ სუსტად მიდის. დაისწავლიან წერას, კითხვას და რამოდენსამე რუსულს ფრაზებს ისიც საზიზღარის გამოთქმით. მერმე სხვა-და-სხვა მეცნიერებათა შესწავლას მიჰყობენ ხელს, მაგრამ, რადგანაც ენა არა აქვთ შეთვისებული, ამისათვის მასწავლებლის შრომაც ფუჭად მიდის და უმაწვილებიც ვერას იძენენ. მშობლები, რომლებსაც არ ესმით მეცნიერების სარგებლობა, ყველაზე უფრო იმასა ცდილობენ, რომ მათმა შვილებმა ექვსი კლასი გაათავონ, მიიღონ ატესტატები და სამსახურში შეკიდენ. მეცნიერება მათ სრულიადაც არ ეშრიანებათ. სამასწავლებლო მმართველობაც ამაკვე გზას აძგას, რადგანაც გრძნობს რომ უსარგებლო იქნება კლასში იმ ხელა შეგირდების დარჩენა, მით უფრო, რომ სრულიად უგულოდ ეკიდებიან სწავლას. ამ გვარად სასწავლებლიდან გამოდიან უმაწვილები სრულიად უმეცარნი და უცოდინარნი რუსულისა. ცუდის ზნეობის მიზეზი ისევ ოჯახში უნდა ვეძიოთო, ამბობს იგივე გრუბერი. ზემოხსენებული მიზეზები, რომლებიც სწავლაში აბრკოლებენ უმაწვილებს, ზნეობასაც ხელს უშლიანო. მართალია კარგი იქნება, თუ კლასში ეყოლებათ მათ მეოვლეური და აღმზრდელები, მაგრამ ოჯახი და სახლი ხომ თავის გვლენით ძუდამ დამბრკოლებელი მიზეზი იქნებაო. ყველა ამ დაბრკოლებათა

მიხედვით უნდა შესდგეს ახალი წესი სასწავლებლის გაწყობისა და ამ წესისამებრ უნდა მოიმართოს სწავლის სისტემა. ამისათვის პირველი საშუალება ის იქნება, რომ ყმაწვილები დედ-მამას და ნათესაობას დაშორდნენ. ამ სახით პანსიონის დაარსება მიიღეს. უმაღლესად დამტკიცებულის სასწავლებლთა ახალი დებულების აზრით, პანსიონები მხოლოდ დასახმარებელ საშუალებათ ითვლებოდა რუსეთში, მაგრამ თეთილისში კი პანსიონი სასწავლებლის ბურჯათ გახადეს, ზნეობის ტაძრად მიითვალეს. მხოლოდ პანსიონის საშუალებით შეიძლება იმედი იქონიოს კაცმა, რომ სწავლა წარმატებაში შეკვა, ზნეობა გასწორდებაო, რადგანაც ყმაწვილები დედ-მამას მოშორდებიანო. ამას ამბობს გრუბერი, რომელმაც სასწავლებლის ახალი წესდების შედგენა იკისრა. ამის შემდეგ გრუბერი ურჩევდა მმართებლობას, რომ იგი შეწყოს აქაურს თავად აზნაურობას, მისცეს სახელმწიფო ხაზინიდამ საშუალება პანსიონის დასაარსებელად. შესაძლებელია იფიქროს მმართებლობამ, რომ ვითომც პანსიონის დაარსების გამო ბევრი მოსწავლე მოაკლდება სასწავლებელს, რადგანაც ყველა მოხოვნელის რჩენა ხაზინას არ შეეძლება და დანარჩენი სწავლას მოაკლდებიანო; მაგრამ 40 მოსწავლეს ყოველთვის შეინახავს ხაზინა და აქოდენიც რომ გარეშე მოსიარულენი იყვნენ სასწავლებელში, იგმარებსო და ამასთანავე სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ პანსიონების კეთილ ზნეობა გარეშე შეგირდებზედაც კარგად იმოქმედებსო და კარგს ნაყოფს გამოიღებს მაშინ თეთილისის გიმნაზიაო!... სიპიანგინის აზრი სამხედრო გიმნაზიის დაარსებაზე, მე უსაფუძვლოთ მიმაჩნია, რადგანაც ამ ყამად ჩვენ სამხედრო ჩინოვნიკებზე უფრო სამოქალაქო ჩინოვნიკები გვეჭირებაო. აქვე ამბობს გრუბერი, რომ რადგანაც საქართველო რუსეთის ერთგული და მო-

სამსახურეა, უსამართლობა იქნება, რომ სახელმწიფო ფული არ ეწილადოს პანსიონისათვისო.

გრუბერის აზრით შემდეგი ცვლილება უნდა მომხდარიყო სასწავლებელში: 1) მოსამზადებელ კლასში მხოლოდ თავადთა და აზნაურთა შვილებს უნდა ესწავლათ, რადგან გლეხის შვილის მიღება სასწავლებელში, გრუბერის სიტყვით, ცუდ ურთიერთობას და უზნეობას ჩამოაგდებდა მოსწავლეთა შორის. გლეხის შვილების მიუღებლობა მით უფრო შესაძლებელად მიაჩნდა გრუბერს, რომ თფილისის გუბერნიაში მალე სამაზრო და სამრევლო სკოლები გაიხსნება და სხვა წოდების ყმაწვილები იქ იქნებიან მიღებულნიო; 2) სასწავლო ენებად უნდა იქმნენ: რუსული, ქართული, ლათინური, ფრანციული და ნემეცური; თათრულს და სომხურს თუმცა ასწავლიდენ ამოდენ სანს, მაგრამ ისინი იმოდენათ ეძაგებოდათ და ეჯავრებოდათ, რომ უმჯობესია მოიშალოსო ამათი სწავლება. 3) აქაურს მასწავლებლებს რვა წლით შეუმცირდეს საპენსიო ვადა და გზის ქირას გარდა წლის ჯამაგირი წინ და წინ მიეცესთო.

ოც-და-ხუთს თებერვალს 1830 წ., მინისტრმა კნ. ლიეენმა მისწერა პასკევიჩს შესახებ გიმნაზიის ხარჯისა. ამ მოწერილობის და სხვა მიწერ-მოწერათა შედეგი ამ საგანზე ის იყო, რომ პანსიონის სახარჯოდ გადასდვეს 58,700 მანეთი. ამ გვარად დაარსდა თფილისის გიმნაზიის პანსიონი, რომელმაც თავისებურად გაწვრთნილი მამულის შვილი აჩუქა ჩვენს ქვეყანას

საანდაზო ლექსები *)

(ამოკრეფილნი «ვეფხვის ტყაოსნიდამ», «ქილილა და მანიდამ» და «დავითიანიდამ».)

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

ა.

ავსა კაცსა აგი სიტყვა
ურჩევნია სულსა, გულსა.

—

ამოა ჭკვრეტა ტურფისა,
სიახლე საყვარელისა.

—

ავსა კარგად ვერ ვინ შესცვლის,
თავსა ახლად ვერ-ვინ იშობს.

—

---

*) პირველის სტრიქონის პირველის ასოს მიხედვით ანბანზედ ჩამოვარიგეთ ლექსები. ზოგი იქნება საანდაზოდ არ გარგოდეს, მაგრამ ჩვენ მაინც ამოვწერეთ, როგორც სიტყვა-მოხერხებულნი მაგალითნი, ზოგან მხოლოდ ორიოდე ლექსში, თითო-ოროლა სიტყვა შევცვალეთ. რომ კერძოდ თქმულს აზრს ზოგადის აზრის მნიშვნელობა მისცემოდა.

ალმასისა ჭსამს ლახვარი,
ლახვრად გულისა სალისა.

არ შეუდრკების ჭაბუკი
კარგი მახვილთა კვეთასა.

არ გარდავა გარდუვალად
მომავალი საქმე ზენა.

არ-ვის ძალ-უძს სორციელსა
განგებისა გარდავლენა.

არ იცი,—კარდი უეცლოდ
არავის მოუკრეფია?

არ იხმარებ, რა ხელსა ჭერი
საუნჯესა დათვრულსა?

ესი ათასსა აკლებს,
თუ გამორჩევით მქნელია.

აწლა ესცან,—საქმე სოფლისა
სიზმარია და ჩმახია.

არ ვინანი გარდასრულსა.

ამოა კარგსა მოუმესა,
რა ომი გამარჯვებოდეს.

არს ბირველი მიჯნურობა
არ დაჩენა, ჭირთა ძალვა.

(ქილილა და მანიდამ)

არცა ურჯულო იკადრებს
უმუხთლოს მისსა ძმობილსა.

—

ანწლი არ მოგვცემს ყურძენსა.

—

ავსა ნუ იქ და ავისა
ნუ როდეს შეგეშინდების,

—

ავსა ავი არ მიუგო,
მსჯავრი ვითლა აიწონოს?

—

არ ვინ იცის ხვალ და ზეგ
რა მოვა და რა იქნების.

—

არ ვინ ჭსვას ნაცვლად შაქრისა
წვიმა გუბეთა მდგომელი.

—

არ დაწყნარდება ქვეყანა
და მისი სახახვები.

—

ავ-ენა კაცსა შენ წინა
ნუ მისცემ გზასა მარებლად.

—

ან საწადლისა ღრუბელსა
ავალ და ავთვრინდებია,
ანუ კაცურად სიმხნითა
სიკვდილი თავს მიდებია.

—

ავის მოქმედმან მოიგოს
მისივ ნაქმარნი ავები;

ნაცვლად მიეცეს საჭირო
თვისიგე დანაშაული.

—

არ ძალუძს ხესა ხენეშსა
ტკბილთა ნაყოფთა მოსხმაო.

—

აქა სიცოცხლე წალკოტს ჰგავს,
ოცნებით მოსაჩვენარსა.

—

აგიც და კარგიც სიკვდილმან
საფლავად ჩააქუქისა.

—

ამა სოფლისა მკერვალმან
ვის რა უკეროს ცხობილად?
კაბა ვერავის ჩაცვეს
დაუძონძებლად მკობილად.

—

არ ჭეშკვნის ლომსა ჭაბუკსა
მცირედლა დანაკოდარსა
ადრე ადგილი დაკვდოს
დარსა გაქცეს მოდარსა.

—

აჭა საქმობის ყამია,
სპასთა გაგების დროცაო.

—

აესა იქ და კაი გინდა,—
ნეტა ვის გაუგონია!

—

არავინ არის ღვთისაგან
უწილო, კერძ-მიღებული.

—

ამის მეტსა ვერას შეგზლავ,
გიმადლებ და გაქებ დია.

არამცა დასცდე საქმეთა
მუხთალთა მოცთუნებითა.

აკ-გვარისაგან იმედი
ნუ გაქვს კეთილის ყოფისა.

აკი ქალი ნუმც მინახავს
გულსა სევდის შემომყრელი!
რა გინდ მზისა დარი იყოს,
ასპიტია, გესლთა მყრელი.

(გურამიანიდამ)

ავს თუ აკი არ ეუწოდო,
კარგს სასელად რა დავარქო?

არც მოამკალ, არც დამარჩინე
ტარე ზკრე-ქვეკრეო.

არავინ არის უფროსი
ღვთისგან უდიდეო.

ასეთს ნურას მოიკაკრებ,
რომ დაზიანდეო.

ამათ შემძულდი
ყოფილსარ ცუდი.

ბ

(ვეფხვის ტყაოსნისდამ)

ბოროტიმცა რად შეექმნა
კეთილისა შემოქმედსა.

—

ბრძენი ვინ ბრძენი? რა ბრძენი?
ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?

—

ბოროტსა სძლია კეთილმა,—
არსებ მისი გრძელია.

—

ბრალ-ბალახშისა მძებნელმან
სათნი დაკვარგე მინანი.

—

ბოლოდ ყოველი დამალული
საქმე ცხადად გამოსცხადდეს.

(ქილილა და მანიდამ)

ბელტისა მსრალელისათვის
ქვა თქმულა შესატყორცებლად.

—

ბოროტი თვალი
ცეცხლთ მინათვალი.

—

ბუისგან ნუ გამოელი
ბოლო-კარკაზის ბუდესა.

—

ბოლოდ მოამკვლა წესია,
რაც წინად დაუთესია.

ბრძენთა უთქამთ: ცუდი სიტყვა
ვერ გაიგლის ხახსა გრძელსა.

ბაგეს ნუ გაჭხლეჩ ჩათქმულად
თავფლი ზედ თუცა გესხნესა,
სიფრთხილე გიჯობს: ნუ თუმცა
კედელთა ყური ესხნესა.

ბუზნი მუნ შემოკრებებიან,
სადაცა თავფლი ჭსდიანო.

ბოროტის სიხარბისაგან
კაცს გაუცვდება დიდება.

ბედი მას ჭქვიან, რომ კართა
მოადგეს დაუშრომელად.

ბედნიერების სალამოს
გაადილაებს ზენაო.

ბრალია, ოდეს წყაზარი
გალიას იჯდეს ნაზარი*)

ბებერსა სასძლოდ მორთულსა
უფრთხილდი, მოერიდეო.

ბიცზე**) ყვავილი ვინ ჭკრიბა,
ან ყანა თავგის სოროსა?

---

*) ზარში—ყოფილი გასაწვრთნელად
**) ბიცი—მლაშე უნაყოფო მაწა

(გურამიანიდამ)

ბრძენის ურიგოს ქცევითა
ბაძით წახდების ერიო.

—

ბოროტისაგან კეთილი
შურით ვერ გამარჩიესო.

ბ.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის.
შაირია ამად კარგი.

—

გასტეხს ქვასაც მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

—

განგებასა ვერ ვინ შესცვლის,
არ საქმნელი არ იქნების.

—

გული გრულია კაცისა,
ხარბი და გაუძღომელი.

—

განგებით ქმნილსა რისხვასა
გურაკინ დარიდებია.

—

გული, ცნობა და გონება
ერთმანეთზედ ჩვიდიან.

—

გველსა ხვრელით ამოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი.

—

გონიერსა მწვრთელი უუკრს,
უგუნურსა გულსა ჴგმირდეს.

გულმა რა გლახ ჴქმნას უგულოდ
თუ გულსა გული ელია.

ქილილა და მანიდამ)

გაცლა ჴსჯობს საძგვიდროსაგან,
თუ დგომა არ ეგებოდეს.

გულისა განძთა მძებნელსა
ჯერნი გაუმრავლდებიან.

გული რა ერთით გაამღოს,
მეორე ჴსძებნოს მიგებით.

გაუსინჯავთა საქმეთა
ბოლოდ შეექმნას ზღვანი.

გამოურჩევლად არ გარგა
გაცმან ჴქმნას თავის ნებანი.

გაუჩხრეკელი რჩევანი
ისარს ჴგავს განტეოცარსა.

გულის საწადლისა გარდი
ეგლისგან ალმობრწყინდების.

განგებულების ისარი
საცერით გახატეორცია,

რა მიკა, ალარ დასცდება,
ითარრას თარი ოცია.

—

გემოკანს საჭმელს თან ახლავს
კბილისა მოსაჭრელი.

—

გული საქმისა მოქმედი
მოცალე უნდა მრჩეველად.

—

გული ნალვლითა ალვსილი
ვით იქმნას გამომკვლეველად?

—

გვიჯობს სიკვდილი ქებული,
თავის გაწირვა ნებითა,
სიცოცხლეს მოუიკნებულსა,
აუგიანსა ვნებითა.

—

გულ-წრფელსა კაცსა საცხადოდ
სიკეთე გადეკარბოსა.

—

გული სანთლებრ მნათობელი
გულ დამწკართა მცნობელია.

—

გზა გაუსინჯე საქმესა,
თუცა გიხდა არ წახდესა.

—

გაუსინჯავსა სიტყვასა
ჩხაკილი ჭსჯობან ტურისა.

—

გვირგვინი პატიოსანი
ჭსჯობს მეფეთ დასაბურესა.

—

გაკლენა გიჩნდეს ფარ-ხმალად
თემისა დასაბურობელად.

—

გულ-მტკივარისა ტკივილი
რა იცის გულ-დადებულმა?

—

—

გული თვალს აცლის,
ქრთამი ორსავ ჭსცვლის:

—

გზა კეთილისა კაცისა
ხიდგ გაორდეს საკვდ.

—

გულოვნის კაცის წესია
ფერხისა მაგრად დგომანი.

—

გულსა ხმელსა კერ დაალბობ
მიწეიგ ცრემლითა სკვლითა.

—

გულის განზრახვა გულმაკე
იცის და ემოწმებაო.

—

გული გულს შენაწებარი
კაცმან კერ გახსნას კერ რითა.

—

გზას ჭეოებს ვისცა ჭკუა აქვს,
თუცა მოაცლას სოფელი.

—

გულ-ბოროტს კაცსა ერიდე,
ნუ გაკლი მისსა არესა.

—

გული გულისა მოყვარე
უგულოდ მალე დადნების.

—

გულს მიაზიდავს ბოროტი,
კეთილიც გაიტაცებსო,

—

გულ-სწორეთი ელვის მსგავსია
ანაზდად გამოჩენითა.

(გურამიანიდამ)

გავს უხორთუმო სპილოსა
ჭკვიანი კაცი უწვრთელი.

—

გულს მქონდა ხმალი გაჩრილი,
აწ შუბიც დამაძგრეო.

—

გზასა, რომელსა ხვიდოდე,
წინ დაიხედეო.

ე.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

დიდი ლხინია ჭირითა თქმა,
თუ კაცსა მოუხდებოდეს.

—

დგომა მგზავრისა ცდომაა.

—

დიდთა ხეთა მოერევის
მცირე დასწვავს ნაბერწკალი.

(ქილილა და მანიდამ)

დიაცის ენა მახეა.

—

დრეა როს ვარდის ეონათა
ბალახთა ურთვენ წონათა.

—

დაჯედ რუს ვირსა, წყალთ მჭვრეტმან
იცან სოფლისა გაგლანი;
ამაი ჭსცან სოფლის სიმოკლე,—
რად გინდა ხმელთა დაგლანი?

—

დროს ჭსჭვრიტე, ჭამთა რა მოაქვს
რას ისხამს, რა მოისთვლება?

—

დიდი ქვეყანა მოუწყვეს
ენასა მაბიზღრისასა.

—

დაყინებული მრჩეველი
სამზღვარსა ვარდახდებისა.

—

დიდი არის შესაწყვრად
ამხანაგი ჭეშოს კარგი.

—

დაბალსა მტერსაც ეკრძალე,
ღვარსა ჭვავს დალმა მდენარსა.

—

დაჯერებასა თავი დაუდე
და სიმდაბლესა მიაპყარ ქედი.

—

დღეს არა მისმენ სწავლასა,
ხვალ დაინანებ დაგლასა.

—

დიდის სახელით საკვდილსა
ვლამი და მოამიწადიან.

—

დიდსა, ძალასა, ნათელსა მზესა
მცირე ღრუბელიც მოათვენს ბნელსა.

—

დიდი უნჯია მოგებ
მოუკრავსა გაუურელისა.

—

დაქადებისა სიტუკვითა
არ გადაჭსწუდების ვალითა,

—

დროს მოაქვს რომ გამრავლდებ
მოუკარე დაუნდობელი.

—

დედ მამა არას ნატრულობს
ამის მეტს ამა სოფელსა:
კეთილის შვილის ულოცავსა,
მათის სათნოსა მუოფელსა.

(გურამიანიდამ)

დიდად მიიჩნევს უფალი
მწირთაგან მცირეს ძღნობასა.

—

დედამ რა შვას ძე, ბირველთა
ჭირთ ალარ მოიხსენებსო.

—

დიდის სიცხეთა მაშვრალსა
ამოს სიო-ნაკვმა,

—

დალიეს საბრძნო წამალი,
დალვარე სიშმაგენია.

დრო მოვა რომ გატკბილდების
ხ

ად სჯამენ პანტის ჩირსა.

(უმდეგი იქნება)

საბერძნეთი

საბერძნეთმა მაშინ დაჭკვრგა საბოლოოდ თავისი პოლიტიკური დაუმოკიდებლობა, როდესაც რომაელების ჯარმა დაამხო კორინთის ქალაქი დამონავებაზედ ყარ-ყოფისათვის და მთელი საბერძნეთი რომის სენატმა ახაიის პროვინციად გამოაცხადა. მართალია, საბერძნეთი მაშინ პოლიტიკურად მოისპო, მაგრამ იმის ზნეობრივი და გონებრივი არსება კიდევ ბევრი ხანი იყო ცოცხალი. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ დაპყრობილმა ქვეყანამ კულტურულის მხრით დაიმორჩილა თავისი დამმონავებელი ერი. ბერძნული ენა, ლიტერატურა, ფილოსოფია და მეცნიერება შეიქმნა შესწავლისა და გამოკვლევის საგნად თვით დამპყრობელთათვის. თუმცა ეს ასე იყო, თუმცა ბერძნული ენა, ლიტერატურა, ფილოსოფია და მეცნიერება ისევ არსებობდა და მოქმედობდა სხვა-და-სხვა ერსა და ხალხზე, მაინც ეს იმას არა ნიშნავს, რომ საბერძნეთის ერიც ისეთი დარჩენილიყვეს, როგორც იყო წინად, თავისუფლების დროს. ერი დაეცა, შეეცვალა უწინდელი გულ-წრფელი და თამამი ხასიათი ორპირობასა და მხდალობაზე. მას აქეთ, რაც საბერძნეთი დაეცა, იმის ნიადაგზე ერთი იმისთანა კაცი არ

ალზრდილა, რომლის შედარება შეგვეძლოს იმისთანა გონებისა და ზნეობის ბუმბერაზებთან, როგორებიც იყვნენ სოკრატ, არისტიდ, არისტოტელ, ლეონიდ და სხ. ურიცხვნი. საშუალო საუკუნოებში ბერძნებმა აშკარად დაუმტკიცეს ქვეყანას, რომ გაჭრა მათში ის უწინდელი ბერძნული გულადობა, მამაცობა და ამტანობა, რომლებითაც იყვნენ და არიან ნაქებნი მათნი წინაპარნი, ძველი ბერძნები. მიზეზი გასლავთ პოლიტიკურის თავისუფლების დაკარგვა და სხვა ერის მიერ დამონაგება. მაგრამ აქ შესაძლებელია ბევრმა სთქვას, რომ პოლიტიკურის თავისუფლების დაკარგვა მიზეზი კი არ არის ბერძნების ზნეობის და გონების დაცემისა, არამედ შედეგია ამ უკანასკნელის გარემოებისაო. ამ ნაირად განმარტავენ ბევრნი ამ ისტორიულ ფაქტს. და წინაპირველად ჯერეში მოსასვლელიც არის, მაგრამ ამას სხვა მხრით რომ შეეხედოთ, საქმეს სხვანაირად დაეინახავთ. მართალია რომ რომისგან დაპყრობის წინადვე საბერძნეთში დაცა ერის ხასიათი, ზნეობა და გონება. მაგრამ ვინ მეტყვის, რომ ეს მოგლენა არ იყო დროებითი და რომი რომ არ გარეულიყო საბერძნეთის საქმეში, ეს უკანასკნელი არ გასწორებდა თავის-თავად საქმესა და თავისუფალი გარედგან, შინაც არ დაიმკვიდრებდა თავისუფალს ყოფა-ცხოვრებას. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ პოლიტიკურად დაცემა არ გვგონია ერთად-ერთ მიზეზად საზოგადოდ ერთა დამხობისა. არა, სხვა მიზეზებიც ბევრია და იქნება საბერძნეთში ეს სხვა მიზეზები მოქმედობდენ, როდესაც ერთი მთავარი მიზეზიც დაერთო ზედ. ეს მთავარი მიზეზი, ჩვენის აზრით, იყო პოლიტიკურის თვით-არსებობის დაკარგვა საბერძნეთის მიერ.

სანამ რომის იმპერია განუყოფელი იყო, მანამ საბერძნეთი ემორჩილებოდა რომის სენატისაგან დანიშნულს მოხე-

ლებს; მერმე როცა ალმოსავლეთის იმპერიის ტახტი დაფუძნდა, ემორჩილებოდა ვიზანტიის იმპერატორების ყმა-მოხელეებს. თუმცა სახელმწიფო ენა, ენა სწავლებისა, კანონისა და ეკკლესიისა იმპერიაში ბერძნული იყო, მაგრამ საბერძნეთის ერი, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, ალარ არსებობდა. ვიზანტია შესდგებოდა სხვა-და-სხვა ხალხებისგან, სადაც ერთი დიდი ბატონი იჯდა და ურიცხვი ყმები და მონები ემსახურებოდნენ მას. ალარსად იყო უწინდებური საერო კრებანი, სათემო თვით-მმართველობა, საჯარო სასამართლო და კერძო მეთაურობა. ერმა დაკარგა ყოველი მოქალაქური გრძნობა, რომლითაც ძველი ბერძენი იყო ალსავსე. იმას არავინ ეკითხებოდა ომის დაწყებაზე, ხარჯის გადახდაზე, მოსამართლის დანიშვნაზე და სხ.

ამ ნაირს დავრდომილს მდგომარეობაში ვიზანტიამ მიაღწია 1453 წლამდე, როდესაც ოსმალებმა აიღეს იმისი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და ხელში ჩაიგდეს მთელი ბალკანის ნახევარ-კუნძული.

აქ უნდა ვთქვათ, რომ საბერძნეთი ოსმალებს უცებ არ დაუმორჩილებიათ. მათ მეფობობა გავრცელდა ნელ-ნელა და თან-და-თან. საბოლოოთ ოსმალებმა ჩაიგდეს ხელში ეს ქვეყანა 1715 წ., როდესაც წაართვეს ვენეციელებს პელოპონესი. კითხი არ უნდა, რომ დამპყრობელი და დამორჩილებული ერნი, ოსმალები და ბერძნები, ყოველთვის მტრულად უყურებდნენ ერთმანეთს. ჯერ იმიტომ რომ ერთი იყო ძალით შემოკარდნილი მტაცებელი და მეორე — შეურაცხყოფილი და გაცარცული. ამის გარდა მათი სარწმუნოებანი პირ-და-პირ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ოსმალები ცდილობდნენ ბერძნებზედ ბატონობას და მაჭმადის გულისთვის საშინლად სძულ-

დათ ისინი; ბერძნებს ემძიმებოდათ ბატონობა იმისთანა ურწმუნო ხალხისა, როგორიც ოსმალები იყვნენ. ბატონის უცხო ტომობას და სარწმუნოებას ბერძნების გულში უნდა უთუოდ აეძრა სიძულვილი საზოგადოდ თვით ბატონობისადმი და ეს კი შედეგი ჰქონდა ბერძნებისათვის ოსმალოს ულელსა. კაცი თავის ხორცსა და სისხლს, თავის სარწმუნოების მქონე ბატონს უფრო ემორჩილება, მინამ უცხო ტომისას და სარწმუნოებისას.

საზოგადოდ მიმართულება ოსმალოს პოლიტიკისა იმაში მდგომარეობდა ყოველთვის, რომ დაპყრობილს ხალხს ეძლია სარჯი. ამ მხრით ამის წეტი ოსმალებს სახეში არა ჰქონიათ რა. თუ ვიტყვით, რომ იმათ მაჰმადის სჯულის გავრცელებაც უნდოდათო, ეს ტყუილი იქნება. მაჰმადის სჯულის გავრცელებას ძალით იმდენად ცდილობდნენ ისინი, რამდენადაც ეს საჭირო იყო ამ პოლიტიკის შესასრულებლად.

დაიპყრეს თუ არა საბერძნეთი, ოსმალები შეუდგნენ სარჯის გაწერას. სარჯი სხვა-და-სხვა გვარი შემოიღეს. ერთს გვარს ერქვა ხარაჯა, რომელიც უნდა ეძლია ყოველს სულს რაკი 12 წლისა შესრულდებოდა, ვიდრე 60 წ. არ მიაღწევდა. ის განიყოფებოდა სამს ხარისხად. პირველს ერქვა ეთნას, მეორეს ევხოტ, რომელიც ორჯერ მეტი იყო პირველზე, მესამეს—ადიაზ, სამჯერ მეტი პირველზედ. ბავშვებს 9—12 წლისანებს უნდა ეძლიათ ცალკე სარჯი, რომელსაც ერქვა სპეცა და უდრიდა პისტრის მეოთხედს. პირველი სარჯი შეძლებისადაგვარად იყო გაწერილი და შედიოდა ხვანთქრის საზინაში, სპეცა კი სარჯის მკრეფავების სასარგებლოდ იყო დანიშნული. ამას გარდა სხვა-და-სხვა ნაწარმოებზე და ხელობაზე საკუთარი სარჯი დაადეს, რომელიც შემოსავლის $^1/_6$—$^1/_8$

უდრიდა. ამ რიგის ხარჯი ბევრჯერ ძრიელ იმატებდა ხოლმე, ასე რომ ამ საუკუნის მეათე წლებში ის უდრიდა $^3/_5$ შემოსავლისას.

ადგილობრივს მუნიციპალურ დაწესებულებათა ოსმალები არ შესებიან და ისევ ისე ხელუსლებლად დასტოვეს, როგორც დასვდათ. სოფლისა და ქალაქების საზოგადოებებს ჰქონდათ უფლება მამასახლისების, დიმოგერონტების, არჩევანისა. ესენი კი მთელის მაზრისთვის, ეპარსიისთვის, ირჩევდნენ მაზრის თავს, ხოჯაბაშსა. მთელის საბერძნეთისათვის ხარჯი მამასახლისების და მაზრის თავების კრებაში გაიწერებოდა ხოლმე ოსმალოს მართებლობის აგენტის თანა-დასწრებით. ყველა მაზრაში სოფლებსა და ქალაქებს შორის ხარჯს ანაწილებდნენ ხოჯაბაშები და დიმოგერონტები, სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებლებს შორის კი—დიმოგერონტები. ამ აგენტებს მოხელეებს გარდა იყვნენ კიდევ მთელს საბერძნეთში: ერთი ფაშა, რომლის საძყოფელი ქალაქი ტრიპოლისი იყო, და მაზრებში ბეიები და ყადები. რაც შეეხება საერთოდ საქმეების მომართვას, უნდა ვსთქვათ, რომ ამ საგნის შესახებ ოსმალები ორანის წინააღმდეგ ბერძნების საერგებლად მოიქცნენ. მოგეხსენებათ, ქრისტიანებს ამ წიგნის თანხმად არა აქვთ უფლება საყდრების აშენებისა, ცხადად ქრისტიანულის წერილებისა და ნიშნების ხმარებისა, საზოგადოდ წირვა-ლოცვისა. იგი უკრძალავს ქრისტიანებს არაბულის ენის შესწავლას, ალარის ტარებას და სხ. ოსმალებმა კი მუხამედ II-ის დროს პატრიარხი აღვიარეს ქრისტიანების უფროსად და მისცეს უფლება საყდრების შენებისა და წირვა-ლოცვისა. სამღვდელობა გაანთავისუფლეს ხარჯისაგან და მიანიჭეს სრული თვით-გამგეობა ეკლესიურს საქმეებში. ბერძნების თავად-აზნაუ-

რობის შესახებ ოსმალები ასრე მოიქცნენ. ის არისტოკრატები, რომელთაც არ მიიღეს მათი რჯული, ან სულ ამოწყვიტეს, ან იძულებულ ყოფეს საბერძნეთიდგან სხვაგან სადმე გადასახლებულიყვნენ. მოსპეს ბატონ-ყმობა, რომელიც წინად არსებობდა და უწინდელის არისტოკრატიის სამაგიეროდ შეუქმნეს ახალი ბიუროკრატიული არისტოკრატია გამაჰმადიანებულის ბერძნებისაგან და იმ პირთაგან, რომელნიც დიდს ერთგულებას იჩენდნენ ოსმალებისას. ამათ დაურქვათ პრიმატები. დაპყრობისათანავე ოსმალები შეუდგნენ საბერძნეთის დახიზნებას ოსმალებით, რომელნიც, იმათ აზრით, უნდა ყოფილიყვნენ საიმედო ელემენტად ქრისტიან ბერძნებს შორის.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რამოდენად განსხვავდებოდა ბერძნების მდგომარეობა სვანთქრის ხელში მყოფ სხვა ერთა მდგომარეობიდამ.

ბერძნები რომ შევადაროთ თვით ოსმალებს, ჩვენ მათს მდგომარეობაში დიდს გარჩევას ვერ დავინახავთ. მართალია, როგორც შემდეგ შევნიშნავთ, ბერძნების მდგომარეობა სანუგეშო არ იყო, მაგრამ არც ოსმალები იყვნენ უკეთესს მდგომარეობაში სვანთქრის ხელში. საზოგადოდ ოსმალებს ამ ნაირი ბედი აქვთ. ერი, ვიდრე მათი ქვეშევრდომია, ძალიან უჩივის. როცა კი, ვთქვათ, სხვის ბატონობასაც იგემებს, მაშინ ოსმალეთს შენატრის და ამტკიცებს, რომ ოსმალეთის ხელ-ქვეითობა სჯობიან ისევს სხვის ხელ-ქვეითობას, თუ არჩევანზე მიდგა საქმე. მორეა ანუ პელოპონესი, როგორც ზემოთა ვსთქვით, 1715 წლამდის ვენეციელების ხელში იყო და როცა ოსმალებმა დაიპყრეს, იქაურები ლოცავდნენ და კურთხევას უთვლიდნენ ოსმალებს იმიტომ, რომ იმათ—მაჰმადიანებმა—ისინი ვენეციელებს—ქრისტიანებს—ხელიდამ გამოსტაცეს.

«სერბებს მე-15 საუკუნეში ორთოდოქსალებად (მართლ-მადიდებლებად) უფრო უნდოდათ დარჩენა ოსმალების ხელში, მინამ კათოლიკობა ვენგრების ხელში» (Герв. V, ст. 11.)— «მე-16 საუკუნეში კანდიოტები ვენეციელების მფლობელობის ქვეშ სინანულით იხსენიებდნენ ოსმალების მფლობელობას. (იქვე). ბოლგარები 1829 წელს გადასახლდენ რუსეთში და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ოსმალეთში დაბრუნდნენ «ხორცით საცსე ქვაბებთან» და ძრიელ ნანობდნენ თავის შეცდომას. ოსმალების ხელში ბერძნები ეკონომიურად არ ეოფილან შეკიწროებულნი. ზირ იქით ისინი ოსმალეთში ყველა სხვა სალხზე მაღლა იდგნენ. კაჭრობა და ხელობა თითქმის ყველა ქალაქებში იმათ ხელთ იყო. ზღვაში ყველა ხომალდები ბერძნებს ეკუთვნოდა. ბერძნებსვე ეჭირათ ოსმალეთის მართებლობის წინაშე საუკეთესო ალაგები. «კანონიერი გადასახადი რა-ია-მიწის-მომქმედისა, ხარჯი სონთქრის სასარგებლოდ, იმათი ლალა მიწის პატრონებისათვის თვით უცხო მხრელს ქრისტიანებს საძძიმოდ არ ჩაუთვლიათ», ამბობს გერვინუსი (ტ. V, გვ. 12). როგორც ერთი უკანასკნელი საბუთი იმისა, რომ საბერძნეთი იმიტომ კი არ იყო ლარიბი, თუ კი ლარიბი იყო, რომ ოსმალების ხელში იყო, გვიმტკიცებს ერთი მაგალითი. საბერძნეთში დარჩა ერთი ალაგი, მაინა სახელად, სადაც ოსმალებს ფეხი სრულიად არ შეუდგამთ და სადაც ისეთი საცოდავი სიღარიბე ტრიალებდა, რომლის მსგავსს სხვა საბერძნეთის კუთხეში ვერ ნახავდით. საბერძნეთის ერი ისე ოსმალების მომდურავი და მოძულე არ იყო, როგორც თავიანთ მიწა-წყლის შვილებისა—სამღვდელოებისა და ხოჯაბაშებისა. ბერძნებს აქვთ ერთი ანდაზა, სადაც სამს რისხვაში სამღვდელოება პირველი რისხვაა, ხოჯაბაშები—მეორე და ოსმალები კი—უკანასკნელი.

საზოგადოდ ბერძნების სიძულვილის მიზეზი ოსმალებისადმი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაუწყობლობა იყო ერთის მხრით და მათივე ერთგვნული გრძნობა—მეორეს მხრით.

ოსმალეთის სახელმწიფოს საფუძველი იყო დამყარებული პირველად ძალმეკრძალების მოხობაზე და მეორეს მხრით ხვანთქრისა და იმის მოხელეების განუსაზღვრელს ბატონობაზე. ქვეყანა, სრულიად უმეცარი და გაუნათლებელი, ხვანთქრისაგან თავშებსა ჭქონდათ ჩაბარებული, რომლებიც ისევე უმეცრები იყვნენ, როგორც იმისი ქვეშევრდომები და ისეთივე ბატონები იყვნენ თავის საბრძანებელში, როგორც ხვანთქარი პირადათ მათი. ოსმალეთმა არ იცოდა კანონი და კანონიერი მოქმედება. აქ ძლიერი ყოველთვის მართალი იყო და ღარიბი უთუოდ მტყუანი. თავშებისა და სხვა მოხელეების უმეცრებას უნდა დაუმატოთ საშინელი ვერცხლის მოყვარეობა და მტაცებლობა იმათი. ამ თვისებაში ისინი ხანთქარს არ ჩამოუვარდებოდნენ. ხვანთქარი რაკი შეიშნავდა, რომ ამა-და-ამ თავმა ან სხვა ქვეშევრდომმა ბევრი საჩუქარი შეიძინა და გამდიდრდა, მაშინვე მიზეზს მოუდებდა რასმე და ან თავს მოსჭრიდა, ან როგორმე დასჯიდა და იმის საჩუქარს თავის საგანრაში გადიტანდა. თუ კანონები იყო ოსმალეთში, ან უსამართლოდ სარგებლობდნენ, ან არა და უქცევდნენ გზას და ისე მოქმედობდნენ, როგორც უნდოდათ. ამისთანა უთავბოლობის გამო ოსმალეთში ერთს კაცსაც არ შეეძლო დაჯერებული ყოფილიყო, რომ ის თავის საჩუქარს თვითვე მოიხმარს და ოსმალოს მოხელე არ წაართმევს. ოსმალებმა თუმცა სამღვდელოებას ბერძნებისას თვით-მმართველობა მიანიჭეს, მაგრამ ამით მაინცა-და-მაინც თავის ჯიბისთვინ სარგებლობდნენ. ყოველის ეპტრიარქის და ეპის-

კოპოზის ალაგის დაკერა ასალის პირისაგან ხვანთქრისთვის შემოსაკლის წყაროდ გახდა. თუ საპატრიარქოდ არჩეული ხვანთქარს სასყიდელს არ მისცემდა, ის არ დაამტკიცებდა. ეპისკოპოსის ალაგიც მაგ ნაირად იყიდებოდა. ყოველის საყდრის აშენებისათვის ბერძნებს სასყიდელი უნდა ეძლიათ ოსმალოს მოხელეებისათვის. ამ წესების გამო ბერძნების მაღალი სამღვდელოება საშინლად დაეცა. ეკვი არ არის, რომ დიდის სასყიდელის მიმცემი ეპისკოპოსი იმგვითად გამოგიდოდა კაი კაცი. აქ ვისაც უფრო ცარცვისა და გლეჯის ნიჭი და ძალა ჰქონდა, იმას უფრო კაი ალაგი ეჭირა. ამ ნაირმა წყობილებამ დასუსტა და სულ გააფუჭა ის საერო და ერისაგან ნაოჩრჩეული მოხელეები, რომლებსაც ბერძნები ისევე უჩიოდნენ, როგორც ოსმალოს მოხელეებს. ესენი გახლავან ხოჯაბაშები და დიმოგერონტები. ეს ბერძნების ლვიძლი შვილები ისე ატყავებდნენ თავის თანამოძმეებს, თითქო ცხრა მთას იქიდამ მოსული მტრები ყოფილიყვნენ. ერთის სიტყვით ბევრი მიზეზები იყო, რომ ბერძნების სიძულვილი აეძრა იმათ ბატონების წინააღმდეგ. ხვანთქრისა და იმის მოხელეების გაუმაძღარი თვალი, სამღვდელოების დასუსტება და გაფუჭება, რომლებსაც ოსმალებს აწერდნენ და ხოჯაბაშებისა და დიმოგერონტების ავი ქცევა, რომლებიც ოსმალებსა ჰბაძავდნენ და იმათ მფარველობაში იყვნენ — ეი მიზეზი, რომლისათვისაც ბერძნები უკმაყოფილობას გრძნობდენ და დრტვინავდენ. ამ მიზეზებს რომ დაუმატოთ ბერძნების ნაციონალური და რელიგიური განსხვავება ოსმალებისაგან, მაშინ ცხადად წარმოგიდგენთ იმ სიძულვილს, რომელიც ტრიალებდა ბერძნებში ოსმალებისადმი. თავ-და-ბირველად ეს სიძულვილი სიძულვილად რჩებოდა და განთავისუფლებაზე ისე თავ-გამოდებით არ

ფიქრობდნენ, როგორც შემდეგ, თუმცა იმედი განთავისუფლებისა თავის დღეში ბერძნებს არ დაჰკარგვიათ.

ოსმალეთის მართვის გამო ყაჩაღობა და გაკვრდნილი ხალხი გამრავლდა. უფრო მხნე და გულადი პირნი ერისა ვერ უძლებდნენ და ვერ ითმენდნენ ოსმალების ულელს, მათის მოხელეების ცარცვა-მტაცვლობას და იმიტომ გაკვრდებოდნენ ხოლმე მთა-ტყედ, იქა სცხოვრებდნენ თავისუფლად და იქიდამ აწუხებდნენ ქვეყანას. ისინი არ არჩევდნენ ბერძნებს ოსმალისაგან და ორთავეს დიდის სიბოროტით სცარცვავდნენ და კიდეც ჰკლავდნენ, თუ კი ისინი ქვეყნის მტაცვლებად და მწვალებლებად ჰყავდა ერს მიჩნეული. ამისთანა ვაჟკაცებს კლეფტები ერქვათ.

ამ საუკუნის დასაწყისში საბერძნეთში დაიწყო ძრიელი მოძრაობა განთავლებისადმი. ამის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ამ დროს საბერძნეთის ერმა ხვანთქრების რეფორმების გამო, რომლებმაც გააადვილეს ადებ-მიცემა და ვაჭრობა, წაიწია წინ ეკონომიურად. ოსმალეთის რეფორმებით ისარგებლეს მარტოდ ბერძნებმა და მთელი ოსმალეთის ვაჭრობა ჩაიგდეს ხელში. რუსეთთან საგაჭრო პირ-შეკრულობის წყალობით ოსმალეთმა ჩაუგდო ხელში ბერძნებს აგრეთვე რუსეთის სამხრეთის ვაჭრობა. ეხლა ბევრი მილიონერი იპოვებოდა ბერძენთაგან მოსკოვში, ოდესაში, ტაგანროგში, სტამბოლში, ვენაში და სხვა ქალაქებში. ამ გამდიდრებულს ვაჭრებს სულითა და გულით სურდათ საბერძნეთის განათლება, წარმატება; ისინი არ იშურებდნენ არა რაიმე შესაწირავს. უხვად და დაუზოგველად სწირავდენ ფულებს სკოლების გასამართავად, წიგნების გამოსაცემად და სხვა-და-სხვა ოსმალთა საწინააღმდეგოდ დაარსებულ საზოგადოებათა კასების გასამდიდრებლად. ამ ფულებით ჰგზავნი-

დენ ევროპის შესანიშნავს ქალაქებში ყმაწვილ-კაცებს უმაღლესის განათლების მისაღებად. აქ განათლების გარდა, ისინი ჭეშულობდნენ გულითადს თანაგრძნობას საბერძნეთის წარმატებისადმი და წაქეზებას იმისთანა მოწინავე პირებისაგან, რომლებიც კაცობრიობას დღესაც სასიქადულოდ ჰყავს. იენში შილერი ცეცლმფრქვევის სიტყვებით იწვევდა ახალგაზდა ბერძნებს საბერძნეთის წარმატებაზე ზრუნვისათვის, სადაც «ყოველს ქვას მაღალი სახელი ჰქვიან, ყოველი წყარო სახელი შეკავშირებულია უკვდავს პოეტურს ნაწარმოებთან, ყოველს კლდეში, ყოველს ჭალაში, იპოვებ მტკვერი დიდის გმირებისაო». როგორც ევროპაში, აგრეთვე ოვით საბერძნეთში აღმოჩნდნენ მეცნიერი გამოძიებელნი საბერძნეთის ისტორიისა, არხეოლოგიისა და ენისა. აღორძინდა და გავრცელდა ძველი ენის ცოდნა, გაჩნდნენ პოეტები და მწერლები, რომლებიც დამღეროდნენ სამშობლოს თავისუფლებას და იწვევდენ სალხს საბერძნეთის კვლავ აღდგენისათვის.

გამოჩენილი ალფიერი თავისის დრამებით უყენებდა ბერძნებს და ევროპიელებს თვალწინ ძველის ბერძნების ვითარებას და აქეზებდა ახლანდელებსა. ამათ რო დავუმატოთ შატობრიანი და ბაირონი, რომლებიც თავიანთ ჩანგზე დამღეროდნენ ბერძნების ძველს დროებას და დასტიროდნენ ბერძნების მაშინდელს უმეცრებას და სიბნელეს, მაშინ წარმოვიდგენთ, რა გავლენაც უნდა ჰქონოდა ბერძნებზე ევროპასთან დაახლოებას. ამ დაახლოებამ კიდევ სხვა ნაირადაც განუმტკიცა ბერძნებს ენერგია და სურვილი თავიანთ ქვეყნის წარატებისა. ის ცხოველი მაგალითები, რომლებიც საფრანგეთში ხდებოდნენ იმ დროს, საშინლად ამხნევებდა და აქეზებდა ბერძნებს სამოქმედოდ. ერთგულს იდეებთან ერთად გავრცელდა

ბერძნებში ის იდეები, რომლებსაც ჭვალაგებდნენ საფრანგეთის მწერლები.

1768 წელს, როდესაც რუსეთი ომს იწყობდა ოსმალეთთან, ფელოპონესელებმა გაუგზავნეს ეკატერინე იმპერატრიცას დეპუტატია, რომლითაც სთხოვდნენ შეწევნას და განთავისუფლებას. 1769 წ. რუსის ესკადრა მიადგა ფელოპონესის ნაპირს და დაუწყო ეუმბარების სროლა მეთოხს. ბერძნებმა ეს რა გაიგეს, მაშინვე აჯანყდნენ. ოსმალებს გული გაუსკდათ და შეშინებულებმა მიმართეს ალბანიელებს საშველად. ალბანიელები შეკარდნენ საბერძნეთში და დაიწყეს ცარცვა და მუსვრა, გაურჩევლად ბერძენი შეხვდებოდათ, თუ ოსმალი. რუსებმაც ეუმბარის სროლას თავი დაანებეს და უკან მიიქცნენ. ოსმალებს ეხლა ალბანიელებისა შეეშინდათ, ისინი ალარ უგდებდნენ ყურს მთავრობის ბრძანებას და უწყალოდ მუსრავდნენ საბერძნეთსა, სადაც ბერძნებზე არა ნაკლებ ოსმალები იმუსრებოდნენ. მათ გასარეკად მთავრობამ დაპირებითა და დათანხმებით მოიწვია კლეფტები, რომლებმაც არმატოლების დახმარებით ალბანიელები გარეკეს საბერძნეთიდგან თავის ქვეყანაში. მთავრობამ დაპირებისამებრ დაჯილდოების მაგივრად კლეფტებს მოსთხოვა იარაღის აყრა და დამორჩილება. მოტეტებული კლეფტები არ დათანხმდნენ ამაზე და გაჯავრებულებმა მიმართეს თავიანთ მთატეებს. ბერძნების ცდამ ამ შემთხვევაში ფუჭად ჩაიარა.

საფრანგეთის რევოლუციის გაგლენით საბერძნეთში დაარსდა ერთი საზოგადოება, რომლის მიზანიც იყო ყოველის ქრისტიანულის ერის შეერთება ოსმალეთში ხვანთქრის მოხელეების საწინააღმდეგოდ. ამ საზოგადოების მოთავე იყო ნაკლეფტარი პოეტი რიგაზი, რომელიც თავის ლექსებით იწვევდა ყველა ქრისტიანებს ოსმალეთთან საბრძოლველად. ამან

გამართა მიწერ-მოწერა საფრანგეთის ელჩთან სტამბოლში და თვით ბონაპარტესთან, მაგრამ ერთხელ, პარიჟიდგან რო მოდიოდა, ვენაში დაიჭირეს ავსტრიის მოხელეებმა და მისცეს ბელგრადის ფაშას. ფაშამ ბრძანა სხვათა შორის იმის დახრჩობაც მდ. დუნაიაში, მაგრამ, რადგან დახრჩობა იუარა და გაძალოვანდა, დამბაჩით მოკლეს. მის შემდეგ ეს საზოგადოება კიდევ არსებობდა და ელოდა შეწევნას ნაპოლეონისაგან, რომელიც დაჭირდა 1813 წელს ათრაღის მიშველებას (25,000 თოფს), მაგრამ ეს აღთქმა ვერ ასრულდა, რადგან ნაპოლეონი 1814 წელს ტახტიდგან ჩამოაგდეს.

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ გვარს სხვა-და-სხვა მოძრაობაში ისეთი მონაწილეობა არ მიუღია პატრიარხს, რაგორსაც უნდა მოველოდებოდით. პირ-იქით ყოველს ამ ნაირს მოძრაობათათვის პატრიარხი შეჩვენებასა და წყევლას უგზავნიდა მეამბოხეებს. 1798 წელს პატრიარხმა ათანასემ მიმართა თავის სამწყსოს მოძღვრებით, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ თვით განგებამ დაუმორჩილა საბერძნეთი ოსმალებსა, რომ ამ სახით დაცულიყო მართლ-მადიდებლობა კათოლიკეთა გავლენისაგანა.

ბერძნები ამ გვარს საზოგადოებათა გარდა აარსებდნენ აგრეთვე იმისთანა საზოგადოებათა, რომელთ უმთავრესი დანიშნულება იყო განათლებისა და სწავლის გავრცელება. ამ საუკუნის დასაწყისში მთელი საბერძნეთი და ევროპაც აივსო წვრილწვრილ საზოგადოებათა მიერ, რომლებსაც ერქვათ ფილომეზები. ეს ფილომეზები აგროვებდნენ ფულებს, მართავდნენ სკოლებს, ბეჭდავდნენ წიგნებს, აფუძნებდნენ ბიბლიოთეკებს, ჭვრეტდნენ და ინახავდნენ არხეოლოგიურს ნაშთებს, ნიჭიერს ახალ-გაზდებს ჭგზავნიდნენ ევროპის ქალაქებში სწავლის შესაძენად და

სხ. უნდა ვთქვათ, რომ ეს საზოგადოებანი სრულიად ბერძნის ვაჭრების საშუალებით მოქმედობდნენ. მოქმედებაც ისეთი ნაყოფიერი იყო, რომ ერთს შეძლებულს სოფელს, ქალაქს არ ვიტყვით, როგორც საბერძნეთის საუკეთესო მცოდნენი მოწმობენ, ვერ იპოვიდი ვერც მატერიკზე, ვერც კუნძულზე, რომ სკოლა არ ყოფილიყო. «პარიჟი, ვენა, ლეიპციგი, ტრიესტი, ლივერნო, მუნხენი გახდნენ ცენტროებად, სადაც განუწყვეტლივ იერიდნენ თავს განათლებული ბერძნები, ახალის ცივილიზაციის მოთხოვნილებას აკვირდებოდნენ და ითვისებდნენ სამეცნიერო და სალიტერატურო ნაღვაწსა და ნაჭირნახულევს», აბბობს გერვინუსი.

ამ ნაირად საბერძნეთში სწარმოვობს ერთის მხრით სულიერი, კულტურული, განვითარება განათლების გავრცელება, ხოლო მეორეს მხრით—ბერძნებს ეძლევათ იმედი თავის ბედის შემსუბუქებისა.

ამ საუკუნის დასაწყისში დაარსდა საბერძნეთში ერთი საზოგადოება... ეს საზოგადოება არის ფილიკი ჰეტერია. ამ საზოგადოების დასაწყისის დამდები იყო ოდესაში მოვაჭრე ბერძენი ნიკოლოზ სკუფაზი. ეს კაცი უბრალო დასლიდარი იყო, უსწავლელი და გაუნათლებელი, მაგრამ პატიოსანი და გატაცებული მამულის მოყვარე. ის ბევრჯერ ჰფიქრობდა, რა ღონით და რა საშუალებით შეიძლებოდა საბერძნეთის მძიმე ხვედრი შეემსუბუქებინა. ეს თავისი ფიქრი განუზიარა რამდენამე ოდესელს ბერძენს და ამათ დახმარებით შეადგინა საზოგადოება—ჰეტერია. ამ საზოგადოებას აზრად ჰქონდა ოსმალოს იმპერიაში ყველა ქრისტიანების შეერთება. თუმცა ეს წადილი მიუსწეველი იყო, რადგან ოსმალეთის ქრისტიანეთა შორის დიდი განსხვავება სუფევდა, . . .

1819 წელს ვერონაში შესდგა რჩევა იმაზე, რომ ჭეტერიის უფროსობა მიიღოს ვინმემ. ამ დროს რუსთ-ხელმწიფესთან იყო დაახლოებული ერთი ბერძენი, კაპოდისტრია გვარად, რომელიც ალექსანდრემ მინისტრადაც დანიშნა. კაპოდისტრია ნამდვილი ბერძენი იყო გულითაც და მიმართულებითაც. თავის გაგულით ალექსანდრეს ჩაუნერგა სიყვარული ბერძნებისადმი და მათის განთავისუფლების სურვილი. აი ეს კაცი აირჩიეს ჭეტერიის უფროსად და გაუგზავნეს დეპუტაცია. კაპოდისტრიამ მსურველნი გულით მიიღო დეპუტატია, მაგრამ უფროსობაზე უარი ქქონ. არ დათანხმდა აგრეთვე აჯანყების მოხდენაზე, რადგან იცოდა რომ იმ დროს რუსთ-ხელმწიფეს არ უნდოდა ომის ატეხა და მაშასადამე არც მიეშველებოდა ბერძნებს. კაპოდისტრიასთან რა კერას გახდენ, დეპუტატებმა მიმართეს ალექსანდრე იპსილანტესა, ვლახეთის ნაგოსპოდარალის კონსტანტინე იპსილანტის შვილს, რომელიც მსახურებდა რუსის ჯარში გენერალ მაიორის ჩინით. ეს კაცი საშინელი გულფიცხი და წინ დაუხედავი იყო. ამან მაშინვე მიიღო წინადადება ბერძნებისა და გაეშურა ოდესაში, სადაც დახვდა ბერძნების წრე. აქ დაიწყეს მსჯელობა იმაზე, თუ როგორ დაიწყონ საქმე, რა ალაგს მოახდინონ ბირველად აჯანყება. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ უნდა თვით საბერძნეთში დაიწყოს საქმე, ზოგი კი იმისა, რო ბალკანის სამთავროებში ემჯობინებინა. უკანასკნელმა აზრმა გაიმარჯვა და იპსილანტი თავის კოლონტიორებით დაეცა ოსმალეთს ვლახეთისა და მოლდავეთის საზღვრით.

აქ ჩვენ შეგჩერდებით ცოტა ხანს, რომ განვმარტოთ ხანთქრის მართებლობა რას აკეთებდა მაშინ. ზოგიერთა ისტორიკოსები, როგორც მაგ. გორდონი ამბობენ, რომ იმის

მიუხვედრელობა და გულგრილობა თავის დღეში ისე ცხადათ არ გამოჩენილა, როგორც ამ შემთხვევაში, რომ გონებაჩლუნგს მუსულმანებს არა ჰქონდათ არა რაიმე ეჭვი იმ ვაჟბერთელა შეთქმულობაზე, რომელიც იმათ შუა ჰფენდა თავის ბადეებსა (Ѳеоктистовъ). ოსმალებს არა ჰყავდათ საიდუმლო პოლიცია და ჯაშუშები. მართალია რამდენიმე მოტიქული ჩაიგდეს ხელში მინისტრებმა და დასაჯეს საეკვდილოითა, მაგრამ შემდეგ უურადღება ალარას არ მიაქცეს. რადგან საქმის დაწყობას, დასმარებას მათთვის არ საიდგან არ მოელოდა ოსმალო და ითმენდა. ყველა სახელმწიფოებთან მშვიდობიანს განწყობილებაში იყო. ამ დროს ოსმალეთი ძალიან შეწუხებულს მდგომარეობაში იყო. ეგვიპტის ფაშა გადგომას აპირებდა. ამასვე ფიქრობდა იანინის ფაშა ალბანიაში და ამ გაჭირებასთან ბრძოლას უფრო დიდს ყურადღებას აქცევდა ოსმალოს მართებლობა, მინამ ბერძნებს. თუმცა შეთქმულობის საბუთები ხელში ეჭირათ მინისტრებს, მაგრამ მაინც არას სჩადიოდნენ იმ მოსაზრებით, რომ ძალდატანებით არ გამხნევდნენ ბერძნებიო და იანინის ფაშამ არ იშოვოს მათში მოკავშირენიო.

იანინის ფაშის გადგომა ძალიან კი დროს მოსდა ბერძნებისთვის. ალი-ფაშა საშინელი მცბიერი და პატივის მოყვარე კაცი იყო. ჭკუა და მხნეობა გასაკვირველი ჰქონდა. ის ოსმალოს არაფერით არ მიაგვანდა, მთელს ევროპაში საჯელი გაითქვა მით რომ თითქმის არ არჩევდა ოსმალოს ბერძნისაგან და მაჭმადიანს ქრისტიანისაგან. იმის სახლში ყველას მიესვლებოდა და ყველას ერთ ნაირად დაუხვდებოდა ხოლმე ალი-ფაშა. ამასთან გამოიჩინა ლიბერალური შეხედულობა როგორც ცხოვრებაში ისე პოლიტიკაში. ალი-ფაშის თავი და თავი სურვილი იმაში მდგომარეობდა, რომ მოემხრო თავისკენ ალბანიელები

და ბერძნები, იმათის შემწეობით გასდგომოდა ხონთქარს და დაკარსებინა თავის საკუთარი �ბანიის სახელმწიფო. მართალია გარეგნობით მშვიდი და ლიბერალი ჩანდა, მაგრამ ნამდვილად საშინელი ფიცხი და სასტიკი იყო. დიდი ხანი შეჭყურებდა ხვანთქრის მართებლობა ალი-თვაშს და ცდილობდა ეპოვა საბაბი, რომ ბოლო მოელო იმისთვის და იმის განზრახვისთვის. საბაბიც გაჩნდა. ალი-თვაშმ მოიყიდა რამდენიმე ალბანიელი და გაგზავნა სტამბოლში ისმაილ-თვაშის მოსაკლავად. ისინი ისმაილ-თვაშს შუა-ქუჩაში დაეცნენ, მაგრამ ვერ მოკლეს; ალი-თვაშ კი გასცეს, იმისი შესყიდულები ვიყვიოთო. ხვანთქარმა ისმაილ-თვაშს უბრძანა წასულიყო ჯარით და დაესაჯა ისა. გაიგო თუ არა ალი-თვაშმ ეს ამბავი, მაშინვე დაიწყო მზადება, შეუყარა თავი ალბანიის წარჩინებულს კაცებს და გამოუცხადა, რომ უნდა შემეწიენეთ, ძმეყანა გავათავისუფლოთ მტარვალისაგანო. ალი-თვაშმ დაიწყო ქადაგება სარწმუნოებისა და ერების თანასწორებაზე, კონსტიტუციურს წყობილებაზე და სხვა ამ გვარებზე. იმას ბერძნების იმედი ჰქონდა, რადგან იცოდა მათი განძრახვა და ამიტომ გაგზავნა წერილები საბერძნეთში და იწვევდა ასაჯანყებლად. ბერძნებმა ეჭვით შეხედეს ალი-თვაშის წინადადებას და პასუხი არა მისცეს რა. ისმაილ-თვაშ კი მიადგა ალბანიას და შეეტაკა ალი-თვაშს. ალი-თვაშს საქმე გაუჭირდა. ამასთან დაერთო იმისთვის ერთი სამწუხარო ამბავი. ისმაილ-თვაშმ თავის ძალის გასადიდებლად მოიწვია ალი-თვაშის წინააღმდეგი სულიოტები (სულიის მცხოვრებლები), რომლებიც ამ უკანასკნელმა განდევნა თავის სამშობლო ქალაქიდან. სულიოტები, როცა თავის სულიის ციხეში იდგნენ, ოსმალებს სრულიად არ ემორჩილებდნენ: არც ხარკს აძლევდნენ, არც ბეგარას იხდიდნენ. რადგან ჯერ ერთი, იმათი ციხე

სრულიად მიუდგომელი ალაგი იყო და მეორეც ძალიან მარჯვენი და მამაცნი იყვნენ. ალი-თვაშას ამიტომ ისინი ეჯავრებოდა და იმდენი ჭქონა, რომ სამის წლის ბრძოლის შემდეგმა რეკა კორეფუს კუნძულზე. რასაკვირველია ეხლა, როდესაც სულიოტები ისმაილ თვაშას შეუერთდნენ, ალი-თვაშას შეეშინდებოდა. ის ცდილობდა როგორმე განხეთქილება ჩამოეგდო ოსმალებსა და იმათ შორის. ალი-თვაშის სურვილიც ასრულდა. სულიოტებსა და ისმაილის შორის ძალე უკმაყოფილება ჩამოვარდა, რადგან ეს უკანასკნელი ჯამაგირს უჭერდა და სხვა ნაირადაც ცუდათ ეპყრობოდა. მცბიერმა ალი-თვაშამ ისარგებლა ამ უკმაყოფილებით და გაუმართა სულიოტებს ლაპარაკი იმაზე რომ დაუბრუნებს იმათ თავიანთ უწინდელს ციხეს, უკეთუ ოსმალებს თავს დაანებებდენ. სულიოტები დათანხმდნენ და დაბრუნდნენ სულიაში. მართებლობამ ისმაილს არ მოუწონა ამ ნაირი ამბავი, დაიბარა და მოჭკვეთა თავი. იმის მაგიერად სერასკარად გამოგზავნა ჭურშიდ-თვაშა.

ეს დრო საუკეთესო დრო იყო ბერძნებისთვის, რომ დიდი შემწე ეშოვათ. იმისთანა მძლავრი კაცი, როგორც ალი, იმათი მოკავშირე იქნებოდა. სულიოტებიც, რომლებიც კორფუში ყოფნის დროს, სრულიად გაბერძნდნენ, მზად იყვნენ ბერძნების შესაწევნელად: სწორედ ამ დროს შეკიდა მოლდავიაში იპსილანტი თავის მეამბოხეებით და ამართა დროშა აჯანყებისა 1821 წ. მარტის დამდეგს. ის მიემართა მოლდავიის დედა-ქალაქის იასსისაკენ, რომელიც ადვილად ჩაიგდო ხელში. ვლახეთში კი მოქმედებდა იმისი ამხანაგი, ვლადიმირესკო, რომელმაც ისევე ადვილად დაიჭირა ბუხარესტი. ეს სიადვილე იმით აიხსნება, რომ რუმინიაში, როგორც თვით-მმართველობის მეჭონე ქვეყანაში, ოსმალოს ჯა-

რი არ იყო, ან თუ იყო ცოტა. იესილანტმა მოლდავიაში გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც აცხადებდა, რომ ის ამხედრდა საბერძნეთის შემწეობისათვის. რუმინებს (ვალახებს და მოლდავებს) ურჩევდა მშვიდად ყოფილიყვნენ, თავიანთ მუშაობისთვის თავი არ დაენებებინათ და აცხადებდა, რომ იქ არ დარჩება, არამედ წავა საბერძნეთში. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამისთანა მანიფესტის შემდეგ რუმინებისაგან ის შემწეობას ვერას მიიღებდა და თუ ითმენდნენ იმას თავის ქვეყანაში, იმიტომ რომ, როგორც იესილანტი აჯერებდა, ეგონათ, ვითომ რუსეთი შველოდეს იმას. თავის მანიფესტში აცხადებდა იესილანტი: თუ უგუნურნი ოსმალნი გაჭბედავენ გადმოსვლას თქვენს ნიადაგზე, ერთი დიდი სახელმწიფო მზად არის დასაჯოს იგინი მაგ გვარის კადნიერებისათვის. მთელი თავისი მოქმედება შეცდომებში და მოუფიქრებელს ქცევაში გაატარა იესილანტმა. თავისი თავი რალათაც მიაჩნდა, ასე, რომ იმისთანა ბატიების-ცემას და მონებას ითხოვდა, რომ ამისთანა სამეუფო ბირებს ეპყრობიან ხოლმე. საუკეთესო მრჩევლები, ამისთანა ქცევის გამო, ჩამოეცალნენ მას და უხეიროებმა და ანგარმა ბირებმა დაიჭირეს იმათი ადგილი. ოსმალებს და რუმინებს ცუდად ეპყრობოდა, სცარცვავდა და შეურაცხყოფას აყენებდა, ჯარის გამრავლებაზე კი სრულიად არა ფიქრობდა, ასე რომ იმისი ჯარი სულ სამი თუ ოთხი ათასი კაცისაგან შესდგებოდა. იმის ამხანაგებში არ იყო თანხმობა, ყველა თავ-თავისთვის მოქმედებდა. ამასთან ჯარი უკმაყოფილებას აცხადებდა და დრტვინავდა ჯამაგირის მიუღებლობაზე. შინ ასეთს მოუწყობლობას და უხერხულობას გარედგანაც ცუდი ამბები დაერთო. სტამბოლიდამ ბატრიარხის წყევლა კრულვა მოუვიდა. ევროპის სახელმწიფოებმა საშინელის უკმაყოფილებით მიიღეს არეულობის

ამბავი. ალექსანდრე იმპერატორსაც, რომელიც სულითა და გულით თანაუგრძნობდა ბერძნების საქმეს, უსიამოვნოდ დარჩა ეს ამბავი. იოსიფანტი დაითხოვა რუსის სამსახურიდგან და ბესარაბიის მთავარ-მართებელს სასტიკად უბრძანა არავერში არ გარეულიყო და ასრედ წოდებული ნეიტრალიტეტი მტკიცედ დაეცვა. სტამბოლში რუსის ელჩმა წინადადება მისცა პორტას, რომ უკეთუ მოისურვებს, რუსეთი დაამშვიდებს აჯანყებულებსაო. ევროპაში ნამდვილი მტერი საბერძნეთის გათავისუფლებისა იყო ავსტრია მეტერნიხის ჩაგონებით. ამ კაცს არეულობა სიზმარშიაც კი ელანდებოდა და აშინებდა. ყოველი ხელის განძრევა ერთხელვე დადგენილის წეს-წყობილების წინააღმდეგ მოძაკვდინებელს ცოდვად მიაჩნდა და ამისთვის საშინლად ეჯავრა ბერძნების არეულობაცა. ის საქვეყნოდ ჰქადაგებდა, რომ საჭიროა მათი დაშოშმინება და ხონთქრის თვერხთა-ქვეშ დამორჩილებაო. ალექსანდრე იმპერატორიც ამის თანხმა იყო. იმის თსოვნით მინისტრმა კაპოდისტრიამ მისწერა წიგნი იოსიფანტს, რომელშიაც გაგვირვებას აცხადებდა, რომ მან გაბედა შეესრულებინა არეულობის შემწყობით იმისთანა საძრთოლიანი სურვილი, რომელიც არის ბერძნების წადილი დამოუკიდებლობისა და კეთილ-დღეობისადმი», ურჩევდა დაეთხოვნა ჯარი და ელჩის სტროგანოვისთვის ეცნობებინა ის წინადადებანი, რომლებიც შეიძლებოდა წარდგენილიყო პორტას წინაშე. იოსიფანტმა არ მიიღო ეს რჩევა და არც თავისი საქმე განაგრძო. ოსმალოს ჯარი კი თან-და-თან უახლოვდებოდა მას. იოსიფანტი გამაგრდა ავსტრიის საზღვრის ახლო. აქ პირველად შეხვდნენ მეამბოხენი ოსმალოს ჯარს და 1821 წ. 19 თებათვეს შეებნენ ერთმანეთს. იოსიფანტი დამარცხდა და გაიქცა ავსტრიაში, საიდანაც ტუუილად სწერდა თავის ამხანაგებს,

რომ აქ ავსტრია მშვიდობის ეხლა და მართებლობასთან კარ გართულია. კიდევ ერთმა ორმა შეტაკებამ, სადაც ბერძნების მცირე მსედრობამ საშინელი სიმამაცე და მხნეობა გამოიჩინა, მოუღო ბოლო ამ არეულობის წინამორბედს ამბოხებას. ითსიოანტი ავსტრიაში ჩაგდეს ციხეში, სადაც შვიდი წელი იჯდა. მერმე გამოუშვეს და მალეც მოკვდა.

(დასასრული შემდეგ წიგნში.)

შინაური მიმოხილვა.

—ყველაზედ დიდი ნაკლი—დაბალი ლობე—ჩვენი ხასიათი—ალვირ აშვებული ვარჯიშობა—აბრუ გაუჭეხილი სიტყვა—რა მიზეზია—რა ვიგრძენით—ავუვეთ—გარეგანი დაბრკოლება—საყოველთაო მოსახდენი—თვით განგვიკითხოს—თქვენ პირს შაქარი—დიდს ყოფაში ვყოფილვართ—მაშ რა მიზეზია?—ცენტრალიზაცია—გამოვწლათ—ახლა ვიკითხოთ—ვჭსთქვათ—განა?—წამალი—ნაპოლეონ III—წველა და სანაცია—რა გამოდის—არა, ბატონებო—მაშ რა ყოფილა?—რა დროს სიზმრებია—მიზეზია მიზეზი—გვჯერა—საიდამ და სად.

ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზედ დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოკუარეთ, როგორ ვუპატრონოთ. აი, მაგალითებრ, თეატრია. ამისათვის წესდებულება დავწერეთ, დავამტკიცებინეთ, ქართული დრამატიული საზოგადოება შევადგინეთ, გამგეობა ამოვურჩიეთ, ყველაფერი თითქო მოვაწყეთ და ეხლა რას ვხედავთ? მტერსაც ნუ დაჭმართვია ის საქმე, რაც მაგ საზოგადოებას დაემართა. ამ რიგადვე შეჭსდგა წერა-კითხვის საზოგადოება, ამ რიგადვე დაკუწერეთ წესდებულება, დავამტკიცებინეთ, გამგეობა მივუჩინეთ, ერთის სიტყვით, გარედამ შესაფერად მოვრთეთ და ლამის ამ

საზოგადოებამაც სული დალიოს. ამ რიგადვე შეჭსდგა თავადაზნაურთა საზოგადოება ლარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის. აქაც წესდებულება დაიწერა, დამტკიცდა, გამგეობა ამორჩეულ იქმნა, მაგრამ მაინც კიდევ ეს საზოგადოება დაბადების უმალვე სულს დაჭლეკდა, რომ ბანკიდამ ფულით შემწეობა არა ჭქონდეს, თავისით ერთს დღესაც ვერ იცხოვრებდა, ერთს დღესაც ვერ დაარსებდა. ერთის სიტყვით, რომელი «საზოგადოებაც» გინდათ აიღეთ, ოღონდ კი ფილტვები გაუსინჯეთ და ნახავთ, რომ თავისით, თვისის საკუთარის თვით-მოქმედებით, არც ერთს მათგანს ღონე არა აქვს იხეირონ და იდგეგრძელონ.

ამისთანა გულ-საკლავმა ამბავმა, რასაკვირველია, მიიზიდა ჩვენის, ეგრედ წოდებულის, «ინტელიგენციის» თვალი და ყური, «ინტელიგენციის» მეთქი, იმიტომ-რომ ამისთანა საქმეებს ჩვენში სხვა არავინ დაჭსდევს და თუ რამ ქვეყნისადმი გულისტკივილია საქმე, კიდევ ამ «ინტელიგენციაშია». რასაკვირველია, შეჭსდგა ამაზედ ლაპარაკი და განსჯა სიტყვითა, თუ კალმითა, შიხაურობაში, თუ ლიტერატურაში. ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ყველანი ერთხმად იმოწმებიან, რომ ჩვენში არც ერთი «საზოგადოება» ისე არ მიდის, როგორადაც საჭურველი იყო დამწესებელთათვის და როგორადაც საჭურველია ყველა გულშემატკივარისათვის და თვითონ საქმისათვისაც. ეს ასეთი მართალია, რომ არა გვგონია ვინმემ უარ-ჭყოს. უჩხრიკეს მიზეზი, აქედ ეცნენ, იქიდ ეცნენ და შიგნეულობამდე რომ საქმეს თვალი ვერ ჩაწვდინეს, აიღეს და ბრალი დაჭსდეს თვითონ «საზოგადოებას» და უფრო მის «გამგეობას». გამგეობა არ ვარგა და ყველა უბედურობა აქედამ წარმოსდგებაო. არ გამოვა ჩვენში იმისთანა კაცი, სიტყვისა, თუ კალმისა,

რომელსაც ასე თუ ისე არ გამოეცხადებინოს სამდურავი გამგეობაზედ და ბრალი მისათვის არ დაედოს, რადგანაც ამ შეძთხვევაში «გამგეობა» დაბალი ღობეა. ის კი ადარავის მოსვლია ფიქრად, რომ თუ შენობა ქვიშაზეა აგებული, ვერა დიდი ოსტატი, ვერა დიდი არხიტექტორი ვერას უშველის. მაგისთანა შენობას თვით თავის აგებულობაშიც აქვს მიზეზი სისუსტისა და თუ დაიქცა, სასაცილო იქნება ბრალი შენობის ყარაულს, მეთვალ-ყურეს დაჭბრალდეს.

ჩვენ, ქართველებს ერთი საგვირველი ხასიათი გვჭირს. რაც უნდა ძძიმე და რთული საგანი იყოს, რაკი გბილზედ მოვიცდეთ, რაკი დრომ, თუ სურვილმა ხელი ჩაგვაკიდებინა, კალად იმას კი არა ვრაცხთ საქმეს თირკმელები მოვუხსრიკოთ, შიგნეულები გამოვუწყოთ, ცუდისა და კარგის მიზეზი ზედმიწევნით შეეუტყოთ და შესაფერი წამალი მოეუნახოთ, არამედ იმასა ვცდილობთ, რომ საქმეს ზედა-პირზედ აეუტურდეთ, აეუსლტეთ და იმისთანა წამალზედ მიეუშვირთ ხელი, რომელიც ეველას ეოველთვის თვალწინა აქვს, ფეხქვეშ უგორავს და რომელსაც თუ არა ხმარობენ, მარტო იმ მიზეზით, რომ ის წამალი წამლად გამოსადეგი არ არის და მაჩვენებელს კი ჭგონია, გამოცანა მარტო მე მეგებია. უეუფებთ და გიკვირთ ამისთანა მოქმედება, თითქო ეს ამოდენა კორიანტელი მარტო იმისათვის აუეენებიათო, რომ ქვეუანას დაანახვონ: აი საქმე რა ადვილი მოსაგლელია და მის გამგებელთ იმოდენა ჭკუა და მოხერხება არა აქვთ, რომ მოუარონო. არ ვიცით, ამით საქმეს შველიან რასმეს, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ მაყურებელნი, თუ მსმენელნი ჭსტეუვდებიან და არც შეიძლება არ მოსტეუვდენ. მართლადაც, არ-მცოდნეს რომ ძძიმე საქმე გაუმჩატო, ჭჩატე ეგონება. აშკარაა, ითქვების, რომ ვისაც ის საქმე

ზურგთა ჭკიდია, ტუტვილად წელში ისრებს, ტუტიის მაგიერ ბუმბული წამოუკიდნია და ხვრეშის კეთ.

მძიმე და რთული საქმე იმიტომ არის მძიმე და რთული, რომ კერძ ავის წამალი აქვს ადვილად საპოვნელი და კერძ კარგისა. ეგრ-იქით რომ იყოს, ქვეყანაზედ სომ არც მძიმე საქმე იქნებოდა, არც რთული. მაგრამ რაკი მცოდნე კაცის სახეს მიიღებ, ბრძნულად შეიკრავ წარბებს და ფიცით გაიწკეცები, რომ ავ-კარგიანობის მიზეზი თავლ-წინ არის წამოჩხირულით, წამალიც ცხვირ-წინ არისო, მარტო დაწდომა და მიწოდებაღა უნდაო, მაშინ ამისი მთქმელი გულ-დაჯერებული უნდა იყოს, რომ იგინი, კის ხელთაც არის საწამლებელი საქმე, ან ბრძანი არიან, რადგანაც ცხვირ წინაც კერა ჭსედავენ, ანუ ყოველად სულელნი, რადგანაც კერა ჭსცნობენო, ანუ კიდევ თვითონ საქმის მტრები არიანო, რადგანაც ჭხედავენ კიდეც, ჭსცნობენ კიდეც და წამლად არა ხმარობენო.

ეს ამისთანა ადვილ-მიშვებული კარგიშობა კაცმისა, თუ სიტყვისა იმოდენად ხშირია ჩვენში, რომ შეუძლებელია კაცმა ეურადღება არ მიაქციოს. არ ვიცი, რად გვგონია ხოლმე ბრძანი და სულელნი ყოველნი ისინი, კისზედაც ლაპარაკის ყანი მოგვიკა, ანუ კისაც დრო და ყამი საკამათოდ ჩინში მოგვცემს ხოლმე. აი მოჭკიდეთ ხელი რასაც გინდათ ამ გვარს, თუ ჩვენ არ გაგვამართლოთ. თვითონ ჩვენს ლიტერატურაშიაც ხშირია ამისთანა ამბავი. კის არ მოხვედრია, მაგალითებრ, ამისთანა შურდულის ქვა: ეს უბრალო, მარტივი საქმე არ ესმის ამასა და ამასაო. თუ საქმე მართლა უბრალო და მარტივია, რატომ არ უნდა გვწამდეს, რომ მის გაგების ნიშან-წყალი ჩვენსაგით სხვასაც ეძნება და თუ ჩვენ არ გვეთანხმება, სხვა მიზეზი უნდა იყოს. აქ უთანხმოების მიზეზი

ერთის ჭკუა კი არ არის ან მეორის სისულელე, ერთის თვალხილულობა და მეორის სიბრმაკე, არამედ სხვა რამ, რომელსაც პატივის-ცემა უნდა. ესე იგი, ლრმად დაკვირვება, გამოცხრეკა და სხვა არა რა. მოქმედებაა, თუ სიტყვა ყოველისფერს ამ გზით უნდა განსჯვრეტა და განხილვა. სხვა ყოველივე უკადრისობაა, ლიტერატურული უწესრიგობაა.

ვკითხოთ, ლაპარაკი ჩამოვარდა წერა-კითხვის საზოგადოებაზედ და ვკითხავთ: რად მიდის ეგრე ზღაზვნით, ზანტად, უნაყოფოდ მისი საქმე? ამის მიზეზი, გვეუბნებიან: განგების ბიუროკრატიული სისტემა არისო. ბიუროკრატობა ესლა მოდაში ალარ არის და ისე სამართლიანად ათვალწუნებულია, რომ დიდმა და პატარამ, თუნდაც არ იცოდეს ამ სიტყვის მნიშვნელობა, იცის რომ რაღაც უკარგისი რამ არის. ასე სამართლიანად აქვს გატეხილი აბრეშუმ ამ სიტყვას და, რასაკვირველია, ჩვენ მის აბრეშუმს ალდგენას არ მოვიწადინებთ. მაგრამ ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: რა თქმა არის ეს «განგების ბიუროკრატიული სისტემა»? ბაშვების სათვრთხალად არის განმოტეორცნილი, თუ მართლა ეგ ჭირი ჭეშირებია განგებასა? ნუ თუ განგენი საზოგადოებისა იმოდენად ბრმანი და სულელნი არიან, რომ ამას, ამ ადვილად შესამჩნევს, ამ ადვილად დასანახავს, ამ ადვილად საცნობელს მიზეზს ვერა ჭხედვენ და ვერა ჭსცნობენ? რა უშველის განგებას? აგენტურების დანიშვნა ბრიკვინტიებშია. წამალიც ადვილი ყოფილა, ცხვირწინ დებულა. ახლა რა უნდა ითქროს ამის მსმენელმა საზოგადოების განგებაზედ? ისა, რომ მიზეზი ადვილად დასანახავი ყოფილა და ვერ დაუნახავთ, მაშასადამე ბრმანი ყოფილან, წამალიც ცხვირ-წინ ჭსდებიათ და წამლად ვერ უცვნიათ, მაშასადამე სულელნიც ყოფილანო. იქნება ჩვენ მეტად ვაზვა-

ებთ თქმულის ზედ-მოქმედებას მსმენელზედ, მაგრამ ეს კი უეჭველია, რომ თუ მსმენელი თქმულს დაიჯერებს და გამგებობს სიბრძაკეს და სულელობას არ შეჭსწამებს, ამაების ახლო მაინც იტრიალებს და მაინც.

სხვისა არ ვიცით და ჩვენზედ კი, ბევრად თუ ნაკლებ, ამისთანა ზედ-მოქმედება იქონია ორმა მესვეურმა წერილმა «დროებისამ», რომელნიც დაბეჭდილნი იყვნენ №№ 246 და 249 «წერა-კითხვის საზოგადოებისა» შესახებ სათაურით: რა მიზეზია?

ეს წერილები რომ წაიკითხეთ, ძალა-უნებურად ეკითხეთ ჩვენს თავსა: ნუ თუ მართლა «ბიუროკრატობა და ცენტრალიზაციური სისტემა» საქმეთა წარმოებისა ყოფილა მიზეზი, რომ წერა-კითხვის საზოგადოება ეგრე სუსტობს? თუ ეს, ბრძანი არიან მისი გამგენი, რომ ადვილად დასანახველი მიზეზი ვერ დაუნახავთ და გამჭრიახობაზედაც უკვირად ბძანებულან, რომ თავიდამ ვერ მოუშორებიათ. მერე, აკტორის სიტყვით, ადგილი წამალიც ხელთა ჭქონიათ და არ უხმარიათ!

ეს რომ მართლა ეს ყოფილიყო, ნუ თუ მართლა გამგეობას იმოდენა გონება არ ექმნებოდა, რომ ეს თვალში გასაჩხირი, ადვილად შესამჩნევი მიზეზი, არ დაენახა და თავიდამ არ აეცილებინა? ჩვენ აგრე უსამართლოდ აბრუს არ გავუტეხთ გამგეობას, მაგოდენად ვერ დავამცირებთ მის გონებითს ძალას და ჯერ-ხანად ვიგულისხმებთ, რომ ეგ აგრე ყოფილიყო, გამგეობა მიზეზსაც შეჭნიშნავდა და კიდეც მოჭსპობდა უსათუოდ. მაშ მიზეზი საქმეთა ცუდად მსვლელობისა სხვა ყოფილა, უფრო ღრმად დანერგული, უფრო ძნელად ამოსათხრელი. აბა ავუკეთ თვითონ აკტორს და იმედი გვაქვს იგი თვითონვე მოგვცემს საბუთებს მისას, რომ აქ მიზეზი სხვაა.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით პატივცემულს ავტორს, რომ «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» ბევრს არას აკეთებს და ამასაც დავუმატებთ, რომ ჯერ ხანად ბევრს არას გააკეთებს შემდეგშიაც. რა მიზეზია? კითხულობს ავტორი და ამბობს: არც ისა, რომ მითამ გარეგანი გარემოება რამ აბრკოლებდესო. ეს გარემოება თუ უშლიდა რასმეს, ისიც მარტოერთს საგანშიო, სახელდობრ, სკოლების გამართვაშიო, მაგრამ «იძულებულნი ვართო, ამბობს იგი ერთს ადგილას: მოგახსენოთო, რომ ეს გარეგანი დაბრკოლება თავიდგან ასცილდებოდა, თუ რომ გამგებას გამოეჩინა მომეტებული გულის-ყურის დამყარება საქმეზედ, მომეტებული გამჭრიახობა და მომეტებული სიმარჯვეო.» არ გვესმის ჩვენ ეს რა წამალია გარეგანის დაბრკოლების აცილებისათვის. ფერი კი საყოველთაო წამლისა აქვს: საცა გინდა იხმარებ, რაშიაც გინდა გამოიყენებ, ყველას და ყოველთვის მოუხდება, მერე ისე, არც შამფური დაიწვის და არც წვადი, არც ატკენს, და, რასაკვირველია, არც მოარჩენს. აი, ვგსთქვათ, ცხენიდამ გადმოვარდა კაცი. ამასაც მოუხდება ეს წამალი ამ სახით: «ეს უბედურება თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ გამოეჩინა მომეტებული გულის-ყურის დამყარება საქმეზედ, მომეტებული გამჭრიახობა და მომეტებული სიმარჯვე.» აი სულხანა პარიგმასერი წაიკითხა დუბლიეს, ის წამალი ამასაც გამოადგებოდა: «ეს მარცხი თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ გამოეჩინა მომეტებული გულის-ყურის დამყარება საქმეზედ, მომეტებული გამჭრიახობა ⁄ მომეტებული სიმარჯვე.» აი გოგია დაბეჭდა სამართებელმა ხელი გაუჭრა, ამასაც წამლად დაედება ეს სიტყვები: «ეს დაჭრილობა თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ გამოეჩინა მომეტებული . . .» და სხვანი. აი, მარცვა და გლეჯაა რომელსამე მაზრაში, აქაც გამოსაყენებელია ამ

სახით: «ეგ კაი-კაგლახი თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ მაზრის მმართველთ გამოეჩინათ მოძეტებული . . .» და სხვანი. განა მარტო ამისთანა პატარა საქმეს, დიდსაც აგრეკვე ლამაზად მოუხდებოდა. მაგალითებრ, პროკესიამ თავ-პირი დაამტვრია საფრანგეთს, «ეს თავ-პირის დამტვრევა თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ საფრანგეთს გამოეჩინა მოძეტებული...» ს სხვანი. რის მაქნისია ამისთანა «აბდა-უბდა გადასკუპდა» ლაპარაკი? რა მანძილი აქვს და რა საოგებლობა? ყველა საქმეს გულის ყური უნდა, გამჭრიახობა და სიმარჯვე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯამბაზს ერთგვარი გულის ყური, გამჭრიახობა და სიმარჯვე ჭსჭირდება, სულხანა პარიგმახერს მეორე გვარი, ცხენოსანს მესამე გვარი და წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას კიდევ სხვა გვარი. რაში მდგომარეობს ეს «სხვა-გვარი», ეგ ღმერთმა იცის. ეგ ჯერ საიდუმლოდ შეუნახავს ავტორს. იქნება ამისი მიზეზი გარეგანი დაბრკოლება იყოს. მაშინ პატივ-სადებია ეგ საიდუმლობა, მაგრამ ამ შემთხვევასაც ძალიან კარგად მოუხდებოდა ავტორის სიტყვები: «ეგ გარეგანი დაბრკოლება თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ გამოეჩინა მოძეტებული . . .» და სხვანი და სხვანი. ნუ თუ ეს ამ შემთხვევის ახსნა იქნებოდა და მართალი წამალი! . . . თვითონ ავტორმა განგვიკითხოს და ისე გვითხრას: ან ჭო და ან არა.

ამ სახით გარეგანი დაბრკოლება არ უცვნია ავტორს გამგეობის და საზოგადოების სისუსტის და უქმობის მიზეზად. არც ის არის მიზეზი, რომ ამ საზოგადოებისათვის კითომც ჩვენი ერი მოუმზადებელია, როგორც ზოგიერთნი ამბობენ. ამის უარ-ყოფაში ისე გათამამებულა პატივცემული ავტორი, რომ გვარწმუნებს: «ჩვენ მართლა ისეთნი ლტაკნი არა ვართ

განათლებული პირებითა, როგორც ჭგონია ბევრსა. ბლომი(?) ნაწილი თავად-აზნაურებისა (??) ამ ყამად ნასწავლთა დასს ეკუთვნის (ოქვენს პირს შაქარი), სამღვდელოება, (ბარაქალა, ჩვენო თავო,) მოქალაქობა (ათვერუმ, ქართველო!) და თვით გლეხობაც (ვა! ვა!) დღითი დღეთ აკსებენ თხელს რაზმს ინტელიგენციისას, რომელიც ამ ყამად წარმოადგენს შესამჩნევს ძალას».

თუ მართალ ასეა, თუ მართალ ასე ლაზათიანად გაჩარხულნი და დარაზმულნი ვყოფილვართ, მოუმზადებლობა ჩვენის ერისა მართალ და ტყუილად მოგონილი მიზეზი ყოფილა. ჯერ ხანად დავუჯერეთ ავტორს და გავუკეთ მის აზრთა დენასა. მერე ვნახავთ, რომ იგივ ავტორი სულ ამის წინააღმდეგს საბუთებს მოგვცემს ხელში.

მაშ რა მიზეზია წერა-კითხვის საზოგადოების სუსტად მოქმედებისა? ვკითხავთ ბ-ნს ავტორს. მიზეზი ცხვირ წინ გვქონია და ჩვენ კი ვერ დაგვინახავს. წამალიც ძლიერ ადვილია, ისიც ცხვირ-წინ დებულა და ხელი არავის მოუკიდნია. წარმოიდგინეთ, წერა-კითხვის საზოგადოების სუსტად მოქმედების მიზეზი იგივე ყოფილა, «რაც აქამდისინ ხელს უშლის და მეტად, თუ ნაკლებ ასუსტებს იმისთანა ნიჭით შემკულს ერსა, როგორიც არის საფრანგეთის ერი». თურმე ნუ იტყვი, ამის მიზეზი გსლებიათ ცენტრალიზაცია და ბიუროკრატობა. ავტორი ამბობს: «სამწუხაროდა, წერა-კითხვის საზოგადოების მართვა თავდა-პირველად ცენტრალიზაციის სისტემაზედ დაიწყო, ცენტრალიზაციის კალაპოტში ჩავარდა». რასაკვირველია, ამას ზედ მოჰყვა «ბიუროკრატობაც.» დიამც იყოს, მიზეზი გამგეობა ყოფილა. რით? იმით რომ საქმეების მართვა თავ-და-პირველადვე ცენტრალიზაციის სისტემაზედ დაუწყია. კარგი და პატიოსანი.

ამა ერთი გამოგწლათ ეს ათვალ-წუნებული «ცენტრალიზაცია» და ვნახოთ, იგი ამ შემთხვევაში რა მოსატანი იყო. ცენტრალიზაციური სისტემა იმ გვარს მოწყობილობას ნიშნავს, რომელ უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი ერთის კაცის ხელშია, ანუ ბევრთა ხელში, მაგრამ ერთს ადგილას კი. მაგალითებრ, სპარსეთში უფლება და გამგეობა ერთის კაცის ხელშია, სახელდობრ, შაჰის ხელში. იქ ითქმის რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. საფრანგეთში ეგ უფლება და გამგეობა თუმცა ბევრის ხელშია, მაგალითებრ, პარლამენტების ხელში, მაგრამ ერთს ადგილას კი, სახელდობრ, პარიჟში. აქაც ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. ამ ორიგეს, თვალად სხვა-და-სხვა ნაირს მაგალითს საზოგადოისა აქვს, რომ ოგველისფერი ერთის წერტილიდამ (ცენტრიდამ) გამოდის და ერთსავე წერტილს (ცენტრს) მიერთმევა. ასე რომ ოგველს კუნწულს, ოგველს კუთხეს, რომელისამე ერთიანის სახელმწიფოსას ერთის წერტილიდამ ეძლევა ოგველივე წესი და რიგი ცხოვრებისა, ერთმანეთში მოთავსებისა და ერთმანეთში განწყობისა. ადგილობრივის ტკივილის წამლისათვისაც კი იმ ერთს წერტილს უნდა მიჭმართოს ხოლმე კაცმა და იქიდამ მოელოდეს შველასა. რასაკვირველია, ეხლანდელს საფრანგეთს ამისთანა ოთვა არ მიეწერება, რადგანაც კარგა ძალი უფლება და გამგეობის ნება ცენტრმა დაუთმო თვითეულს ადგილობრივს ნაწილს საფრანგეთისას და თუ საფრანგეთს ეხლა ამისთანა რასმეს ჭსწამობენ, მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივს ნაწილებს სრულიად არ დაუთმო ის უფლება და გამგეობის თავისუფლება, რაც საჭიროა ადგილობრივის ინტერესების მთლად მოსაკლელად და საპატრონებლად, ეს იგი, საერთლიანი საზღვარი არ დაუდო მას, რაც

ერთის მხრით ზოგადს, სახელმწიფო ინტერესს შეადგენს და მეორეს მხრით, ადგილობრივსა და ამ გვარად არ განაწილდა უფლება და გამგეობა. ინგლისი და ამერიკა ბევრით წინ არიან ამაში საფრანგეთზედ. მკითხველი მიხვდება რომ...

ახლა ვიკითხოთ: ჩვენი «წერა-კითხვის საზოგადოების» სისტემა რაში ჰგავს ცენტრალიზაციურს? მარტო იმაში, რომ იგი მომწყვდეულია ერთს ადგილას, ესე იგი, ტფილისშია და აქედამ განაგებს თავის საქმეებს და აკტორის სიტყვით: «არც ერთი კუთხე საქართველოსი თვითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით არ იღებს მონაწილეობას თავისავე განათლების საქმეში». ეს მართალია. მაშასადამე, ყოველი კუთხე საქართველოსი თვითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით უნდა იღებდეს მონაწილეობას თავისავე განათლების საქმეში. ამას ჩვენცა ვნატრულობთ. მაგრამ ამ აკტორის სიტყვებს თარგმანი უნდა, იმიტომ-რომ ბ-ნს აკტორს ეს სიტყვები ისე ესმის, როგორც ცენტრალიზაციურის სისტემის თაყვანის-მცემელს. ამას შემდეგში დავამტკიცებთ აკტორის სიტყვითვე და ჩვენ კი ესლა ზემოხსენებულს სიტყვებს ისე ვჰსთარგმნით, როგორც უნდა ჰსთარგმნოს ცენტრალიზაციურის სისტემის უარ-მყოფელმა: განათლების საქმე ისეთი საქმეა, რომ ადგილობრივს ინტერესს შეადგენს. მაშასადამე ყოველმა კუთხემ საქართველოსამ ეს საკუთარი ინტერესი თვითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით უნდა განაგოს, ესე იგი, სრული უფლება და გამგეობის ნება უნდა ჰქონდეს, რომ როგორც უკეთესდეს, ისე მოუარეს, უპატრონოს.

დავანებოთ თავი იმის გამოძიებას თუ — განათლების საქმე ისეთი საქმეა, რომ მარტო ადგილობრივს ინტერესს შეადგენს, თუ არა. ვჰსთქვათ, არის. ესლა ესა ვკითხოთ აკ-

ტორს: რომელმა კუთხემ საქართველოისამ შეჭსჩიენა, რომ ცენტრმა, ესე იგი, ტფილისში მყოფმა გამგეობამ წერა კითხვის საზოგადოებისამ არ დაუთმო უფლება და გამგეობა მისდა საკუთარ განათლების შესახებ? სად არის ეს ამისთანა ღვთისნიერი კუთხე, თუ ნაწილი საქართველოსი, რომ თავის განათლებისათვის თვითონვე სურდეს მოვლა და პატრონობა და მარტო ის უშლიდეს, რომ საბელი ყელისა ტფილისში მყოფს გამგეობას ეჭიროს და არ უშვებდეს ხელიდამ? ჩვენდა სამწუსაროდ, სანთლით რომ ეძებოთ, ვერ იპოვით. ერთად-ერთი მაგალითია ქუთაისი და ნუ თუ გამგეობას დაჭსწამებთ, რომ იქაურის სკოლის მსვლელობა აქაურის გამგეობისაგან შეკრული და შებოჭილია! . . . ნუ თუ იტყვით, რომ უფლება და გამგეობა იმ სკოლისა სრულიად დათმობილი არ აქვსთ იქაურთ მოლვაწეთა? ერთი ეს მაგალითიღა იყო, რომელზედაც შეეძლო ავტორს ეჩვენებინა ყოველივე წუნი, რაც ვითომც და აქაურს «ცენტრალიზაციურს სისტემასა» მოსდევს და ისიც მისი წინააღმდეგია. მაშ რა მოსატანია მიზეზად ცენტრალიზაცია?

ასლა უეურეთ, ამ მითამდა მიზეზის მოსასპობლად რა წამალი უჩვენებია ჩვენთვის ავტორს. აგენტები იყოლიეთ ყველა კუთხეშიო. რა? მითომ ცენტრალიზაციურს სისტემას სპარსეთისას ყოველს კუთხეში აგენტები არა ჰყავს? მაშ რა გზით აწვდის შაჰი ყოველს კუთხეს თავის მოწყალებას და რა გზით მოიბრუნებს ხოლმე თავისაკენ ყოველის კუთხის თვალსა, თუ არ აგენტების მორიგებით ყოველთვის და ყოველგან, საცა კი და რასაც კი კუთხის ნაშან-წყალი აქვს? მაშ ავტორისაგან დაწუნებულს სისტემას საფრანგეთისას ყოველ კუთხეში აგენტები არა ჰყოლია? მაგით ცენტრალიზაციის სისტემის სენს რა ჰშვე-

ლებია? ვინ-იქით, სწორედ მაგას გაუძლიერებია, მაგას შეუგრავს და შეუბოჭავს ოთველი კუთხე, ოთველი კუნჭული, რაგორც არტახებში ბაგშვი. აგენტების მორიგება კი არ არის ცენტრალიზაციის მოსასპობელი წამალი, არამედ ადგილის მცხოვრებთა და მკვიდრთა თვით-მოქმედების ძალის აღდგენა, მათთაგან მათივე საგუთარის საქმეების დაწყობა და გამგეობა.

ახლა ნახეთ რა ვალსა ჭსდებს აგტორი იმ აგენტებს? სწორედ იმ ვალსა, რასაც უურ-მოჭრილი ყმა ცენტრალიზაციურის სისტემისა დაავალებს ხოლმე. «იგინი ეცდებიანო ვრცვაგანდით, ჩაგონებით, ჩიჩინით აღძრან თანა-გრძნობა «საზოგადოებისადმი», იშოვნონ ბლომად წევრები, თავის დროზედ ჭკრიბეონ ფულები და უგზავნონ საზოგადოების გამგეობას თბილისშიო». ანუ: «უმეტესი ნაწილი ისე გულ-გრილად უეურებს ამ საქმეს (ესე იგი განათლების საქმეს), რომ მათთვის ნამდვილს დაბრკოლებას შეადგენს წერილის დაწერა, ფოსტაში მიტანა და ფულიანის კანკერტის გამოგზავნა. ადგილობრივი აგენტები ამ დაბრკოლებას სრულიად მოსპობდენ, მარჯვე დროს გამოართმევდენ წევრებს ფულს, ერთად მოუერიდენ თავსა და გამოგზავნიდენ თბილისში.» ანუ: «გახსნილს სკოლას ზედა-მსედველობა ეჭირება, სელთ-მძღვანელობა და ზრუნვა უნდა, რომ სკოლამ ნაყოფი დაანასვოს გლეხებსა და შეაყვარონს თავისი თავი. ყველა ეს შეუძლებელია თბილისში მყოფ-გამგეობისათვის და ადვილია იმ განათლებულთა წევრთათვის, რომელნიც ჭსცხოვრებენ სხვა-და-სხვა კუთხეებში.» ერთის სიტყვით, გამგეობისაგან გამოტყემული წიგნები უნდა ჭყიდონ, საზოგადოების სასარგებლოდ სპექტაკლები და სალიტერატურო სალამოები ჭმართონ და სხვანი და სხვანი. ახლა იკითხეთ: ნაპოლეონი III, ეს ცენტრალიზაციურის სისტემის

ლმერთი, სხვას რას ავალებდა თავის აგენტებს თუ არ ამისთანებსა? წადით, ყოველს კუნჭულში მოეფინეთო, ბრძანა. განდით, ჩაგონებით და ჩიჩინით ალძარით ჩემდამი თანაგრძნობა, ბლომად მიშოვნეთ მომხრეები, თავის დროზედ ჭკოფეთ ფულები და მე მიგზავნეთო, მარჯვე დროს გამოართმევდეთ, რაც გამოსართმევია, ერთად თავ-მოუყრიდეთ და მე გამომიგზავნიდეთო; სპეკტაკლები, სალიტერატურო სალამოები ჩემს სასარგებლოდ გამართეთო და სხვანი და სხვანი. ესეც კი გასოგდეთო, რომ ბარიაში მყოფი ჩემი გამგეობა უნდა იქმნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი ჩემის ბრიგიანტიალურის განყოფილებისა, აგენტურებისაო. კარგი «მხოლოდ» არის. სწორედ ამ სიტყვებით გვაძლევს რჩევას და დარიგებას ავტორიც: «თბილისში მყოფი გამგეობაო უნდა იქმნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი თავის ბრიგიანტიალურის განყოფილებისა, აგენტურებისაო.» თვით-მოქმედება ბრიგიანტიისა? თავის საკუთარის ძალით და მხნეობით გამგეობა საკუთარის საქმისა? სადღა წავიდნენ? ამაებს რომ ართმევს ბრიგიანტიებს, საქართველოს კუთხეებს, მაშ რაღას ეძახის ავტორი «მოსაწილეობის მიღებას» თავის საკუთარს საქმეში? იმას, რომ ბრიგიანტიები უნდა იწვეულებოდენ და წველა ქალაქში გამგეობას მოერთმეოდეს და რადგანაც ქალაქში მყოფი გამგეობა ხელს ვერ მიაწვდის ბრიგიანტიების ცურსა, ამისათვის ადგილობრივი აგენტები უნდა ამორჩეულ იქმნან, და «მიეცეს მათ ჯეროვანი სანგცია საზოგადოებისაგან.»

რა გამოდის ყოველ ამიდამ? ისა რომ «თბილისში მყოფი გამგეობა უნდა იქმნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი თავის ბრიგიანტიალურის განყოფი-

ლებისა, აგენტურებისა»; ადგილობრივი აგენტები, თუ აგენ-ტურა უნდა ამორჩეულ იქმნან ვისგან? თბილისში მყოფ-გამ-გებლებისაგან, მათ უნდა «მიეცეს ჯეროვანი სანქცია» ვისგან? თბილისში მყოფ საზოგადოებისაგან»; ვალად უნდა დაედოთ ამ აგენტებს, თუ აგენტურებს ოთხა-გრძნობა ალძრან, ვისადმი? ისევ თბილისში მყოფ-საზოგადოებისადმი; წეგრები გაუმრავ-ლონ, ვისა? ისევ თბილისში მყოფ-საზოგადოებას; ფული უნ-და მოუგრიფონ, ვისა? ისევ თბილისში მყოფ-საზოგადოებას; წიგნები უნდა გასალონ, ვისი? ისევ თბილისში მყოფ საზ-ოგადოებისა. სპექტაკლები და ლიტერატურო სალამოები გამართონ, ვის სასარგებლოდ? ისევ თბილისში მყოფ საზ-ოგადოებისათვის. თვითონ ბრალვინტიებს? ბრალვინტიებს ის, რასაც უწყალობებს იგივ თბილისში მყოფი საზოგადოება. არც ერთს ადგილს თბილისის გარეშე, ამბობს ავტორი, გამგებს არა ჭყავს ბირნი, რომელნიც მას უწევდენ იმისთანავე სამსა-ხურს, როგორც მამასახლისები და სოფლის მოსამართლეები უწევენ მართებლობასა». მაშასადამე უნდა ამისთანა ბირნი ჭყანდნენ ვის? თბილისში მყოფ-გამგებს. ეს არის ავტორის სასურველი საქართველოს კუთხეებისაგან «მონაწილეობის მი-ღება» თავის საკუთარს საქმეში? ამაზედ უარესი ცენტრალი-ზაციური სისტემა, არა მგონია თვითონ სპარსეთში იყოს. აბა თუ ერთგან ნახსენები იყოს ავტორისაგან იმისთანა რამ, რომ ბრალვინტიების, საქართველოს კუთხეების თვით-მოქმედ-ბის, თვით-გამგებობის, თვით-მმართველობის მცირედი რამ ნი-შან-წყალი ეცხოს, თბილისში მყოფ-გამგებობის, ანუ საზოგა-დოების ხელადამ დახსნის სახსარს მოასწავებდეს. მარტო ის სიტყვებია, რომელიც ჩვენ ზემოდა ვჭსთარგმნეთ და ის სიტ-ყვებიც ავტორს, როგორც ხედავთ, იმ აზრით მოუყვანია, რომ

თქვენ, აგენტებო, ხვეწეთ და ობილისში მყოფ-გამგეობას უგზავნეთო, გაისარჯენით რაც შეგეძლოთო მისდა სასარგებლოდო და იგი «ობილისშივე მყოფი გამგეობა რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი» იქნებაო თქვენცა და თქვენის შემწეობით ბრალვინტიებისაცა, თვით სანგტიესაც თქვენის არსებობისას ტფილისში მყოფ გამგეობისაგან მოელოდეთო. თქვენ იმისთანა სამსახური უნდა გაუწიოთ, როგორც მამასახლისები და სოფლის მოსამართლეები უწევენ მართებლობასაო.

არა, ბატონებო, თუ ჩვენის საზოგადოების სენი ცენტრალიზაციური სისტემა, ამ სენს არას გზით და არას მხრით წამლად ვერ დაედება ავტორის რჩევა, ბირ-იქით, ის ტვირთი, რომელიც ავტორს აუკიდნია აგენტურებისათვის, უფრო გაძლიერებს იმ სისტემას, რასაც ეგრე ძლიან უფთხის თვითონ ავტორი. ყოველივე ავტორისაგან ნარჩევი ცენტრალიზაციის მკვიდრად ფესის მოკიდებას, მკვიდრად ფესვების გადგმას მოასწავებს. ესე ყოველი იმის წამალი კი არ არის, რომ «ყოველმა გუთხემ საქართველოსამ თვითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით მიიღოს მონაწილეობა თავისავე განათლების საქმეთა წარმოებასა და გამგეობაში, არამედ თვითონ მიუფუფდეს ამ საქმეს, ფურსაკით, როგორცა ეჭსთქვით, მოიწველოს და წველა ტფილისში მყოფს გამგეობას უგზავნოს და იმავე ტფილისში მყოფს გამგეობას შეარჩოს გული და თავი, აცა რას მიწყალობებენ იქიდამა.

რაკი ავტორი თვითონვე გვარწმუნებს, რომ ტფილისში მყოფს წერა-კითხვის გამგეობას ჯერ კიდევ არ გაუბაწრავს ბრალვინტიები და ეხლა თვითონ გვირჩევს გაბაწვრასა, ჭსჩანს, რომ მიზეზი ამ საზოგადოების სისუსტისა, ეგ გაბაწვრა, ესე იგი, ცენტრალიზაციის ბადის გაბმა არ ყოფილა. მაშ რა ყოფილა. აბა თვითონ ავტორს დავუკვირდეთ, ამის ბასუხი-

სათვის რა საბუთს გვაძლევს. «საზოგადო კრება (წერა-კითხვის საზოგადოებისა), რომელზედაც ქართველობა ეს-ესობით მაინც უნდა ესწრებოდეს, ვერც ერთხელ ვერ შეჰსდგა თავის დროზედ, რადგანაც ორმოც-და-ათი კაცი, კანონიერი რიცხვი, ვერც ერთხელ ვერ მოგროვდა. საზოგადოების წევრებათ ქართველები ითვლებიან არა ათი-ათასობით, არამედ ასობით. წევრები საზოგადოებისა ისე გულ გრილად ეპყრობიან საქმესა, რომ რის კი ვაგლახით შემოდის საზოგადოების კასაში მხოლოდ მეათედი ნაწილი იმ თვულისა, რომელიც ყოველ წლივ უნდა გროვდებოდეს, საზოგადოების გამგეობა შესაბამ ბანს აძლევს ამ საზოგადო გულ-გრილობას». «ვინც გულით და სულით თანაუგრძნობსო განათლების საქმეს, მისთვის ეს მცირედი გარჯა (საწევრო თვულის გზავნა ფოსტით) არაფერია. მაგრამ საძწუხაროდ, ამ გვარი პირებით ჯერედ ღარიბნი ვართ (არა, წინად ასე ჭსთქვა.) უმეტესი ნაწილი ისე გულ-გრილად უყურებს ამ საქმეს, რომ მათთვის ნამდვილს დაბრკოლებას შეადგენს წერილის დაწერა, ფოსტაში მიტანა და თვულიანი კანვერტის გამოგზავნა. დაბეჭდილი ფორმა (გამგეობისაგან სოფლის განახენების ფორმა საკოლების გამართვის შესახებ) ან ვერ მიაღწევს მორეულს სოფლებამდე, ან თუ მიაღწია, იქნება წამკითხველი არც კი აღმოჩნდეს და თუნდაც წაიკითხონ, მაგდენად ეურს არ გაიბერტყეან», «ჩვენს ქვეყანაში წიგნის კითხვის სურვილი, დიდებში თუ პატარებში იმდენად სუსტია ჯერედ, რომ....» და სხვანი.

ოდვილიკე ეს მართალზე-მართალია და თვითონ ავტორიც გულ-დაჯერებულია, რომ ეგ აგრეა. თუ ეს მართალია, მაშ მიზეზი აქვე ოთეილა და რადად მიგწვდეთ ის რადაც ეშმაკი «ცენტრალიზაციაა, თუ ბიუროკრატია», რომელნიც,

თურმე ნუ იტყვით, არც კი სჯერებია სენად საზოგადოების გამგეობას და ეხლა უპირობენ შეჭყარონ? თუ რასაც ამ შემთხვევაში ამბობს ავტორი მართალია, ის რადად იქნება ტყუილი, როცა ამბობენ, რომ ჩვენის წერა-კითხვის საზოგადოების სისუსტის მიზეზი ჩვენის ერის მოუმზადებლობაა განათლების შესახებ. რომ საზოგადო კრებაზედ, რომელზედაც ქართველობა ას-ასობით უნდა დაიარებოდეს, ვერც ერთხელ ვერ შესდგა თავის დროზედ, რადგანაც კანონიერი რიცხვი ორმოცდ-და ათი კაცი მაინც თავს ვერ მოიყრიდა, რას მოასწავებს, თუ არ იმას, რომ განათლებისათვის გული არ შეგვტკივა. ვის არ შეჭსტკივა ხოლმე გული ამ დიდს საქმისათვის? მარტო უცებს და მოუმზადებელს. რომ საზოგადოების წევრებათ ათას-ათასობით არ ითვლებიან, არამედ ასობით, რას მოასწავებს, თუ არ იმას რომ განათლების ხელის მომართვას არ თანა-უგრძნობენ. ვინ არა თანა-უგრძნობს ამისთანა დიდს საქმეს? მარტო უცებნი და მოუმზადებელნი. წევრები საზოგადოებისა ისე გულგრილად ეპყრობიან ამ საქმესა, რომ ეზარებათ ფოსტით ფულის გამოგზავნა და ამ მიზეზით მეათედი ნაწილიც არ შემოაქვთ მისი, რაც უნდა შემოუვიდეს საზოგადოების კასასა,— რას მოასწავებს, თუ არ უცების კაცის გულ-გრილობას და მოუმზადებლობას? სოფლებში წამკითხველებიც არ არიან, რომ უბრალო ფარატინა წაიკითხონ და თუნდაც წაიკითხონ მაგდენად ეურს არ იბღერტენო; ჩვენს ქვეყანაში წიგნის კითხვის სურვილი ჯერ სუსტია—ოდესღაც ეს ერთად და თვითეულად ცალკე — რის უტყუარი ნიშნებია, თუ არ მოუმზადებლობისა, უცებობისა. გამგეობა საზოგადოებისა უკარგისია, უქმია, უმჭრიახოა, უმხნეოა. რას მოასწავებს ეს თუ არ იმას, რომ არც ამოძრჩეველნი მათნი არიან მომზადებულნი და არც ამო-

სარჩევნი, თუ ამოარჩეულნი? განა ახალი ამბავია რომ ყოველი მსგავსი მსგავსს ჭშობს.

სად არის ის ბლომა ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომელიც ამ ყამად ნასწავლ დასსა ეკუთვნის, ავტორის სიტყვით? სად არის სამღვდელოება, მოქალაქობა და თვით გლეხობაც, რომელნიც დღითი დღე ავსებენ თხელს რაზმს ინტელიგენციისას და რომელიც ამ ყამად წარმოადგენს შესამჩნევს ძალას? რად ვიბრძავებთ თავლებს და ჭეშმარიტს მიზეზს ჩვენის სისუსტისას ზირ-და-ზირ თვალს არ ვუსწორებთ? რა დრეს სიზმრებია, რომა ცხადი ესეთი მწავია?

აბა ყოველს ამას მიზეზთა მიზეზი მოუნახეთ და დაინახავთ, რომ ყოველი ჩვენი ეგრედ წოდებული «საზოგადოება» მარტო ყავარია, რომელსაც ბოძები თვითონ ერში არა აქვს, ხეა, რომელსაც ფესვი თვითონ ერში არ გაუმაგრებია და თუ ფეხზედ დგას, იმიტომ კი არა რომ ძირი ღრმად აქვს წასული, არამედ იმიტომ რომ გარედამ აქედ იქით ბოძები აქვს მიცემული. აი ნამდვილი მიზეზი სისუსტისა საერთოდ და წერა-კითხვის საზოგადოებისა საკუთრივ.

ჩვენ ცოტად თუ ბევრად გვჯერა, რომ აგენტურა და აგენტები ადგილობრივნი ასე თუ ისე ხელს მოუმართავენ წერა-კითხვის საზოგადოებას და ცოტად თუ ბევრად ლუკმას მოაწვდიან, ცოტად თუ ბევრად განაცხოველებენ მის მოქმედებას, მაგრამ მათ თუ მარტო ის სამსახური გაუწიეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რასაც სოფლის მოხელენი უწევენ სოფელს, მართებლობას, მაშინ ის საქართველოს კუთხეები, რომლისათვისაც ეგრე სამართლიანად ჭზრუნავს ავტორი, არამც თუ ჩელს მოუმართავენ განათლების საქმეს, არამედ სამუდამოდ დაჭსწყვეტენ და ახლოს არ მიიკარებენ. აქ მაგისთანა

სამსახური კი არ უნდა «კუთხეებს», არამედ უნდა იმოდენა თვით-მოქმედების ძალი აღუძრან რომ თვითონვე გაუძღვენ და თვითონვე ემსახურონ თავის განათლებას საქმე თავის ხელით დააწყონ და თავის თავადი ადგნონ. კისაც ცენტრალიზაცია არ მოჰსწონს, ის იმას კი არ უნდა ნატრობდეს, რომ ყოველს კუნჭულში ტფილისში მყოფე წერა კითხვის საზოგადოების აგენტი იჯდეს ფულების მოსაკრეფად, წერების მოსაპოებლად, წიგნების გასასაღებლად, არამედ ისა, რომ ეგ აგენტები საჭიროანი არ იყვნენ, თვითონ მკვიდრნი ცალ-ცალკე კუთხისანი იმოდენად მოიწითენ, იმოდენად მოჯობინდნენ სულითა და ხორცითა, რომ თვითონ, თავისის საკუთარის ძალ-ღონითა განაგებდენ თავიანთ საქმეს განათლებისას, თუ განათლების საქმე საზოგადოდ მართლად თვითეულ კუთხისათვის ცალკე განსაგებელი საგანია. აგენტების დანიშვნას და ყოველს სხვა მოქმედებას წერა კითხვის საზოგადოებისას წინ უნდა უძღოდეს ზრუნვა და ცდა მასზედ, რომ თვით-მოქმედებამ ერისამ ყოველს კუთხეში ფესი აიდგას განათლების გავრცელებისათვის და ეგ თვით-მოქმედება აქმნას იმ ხნულად, საიდამაც უნდა აღმოცენდეს სწავლა განათლება და სადაც ძირი უნდა გაიგეთოს ყოველმა საზოგადოებამ საერთოდ და წერა-კითხვისამ კიდეკ სახელდობრ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ОБЪ ИЗДАНІИ ВЪ 1884 ГОДУ ЖУРНАЛА

ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ

(годъ четвертый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія)—VI Смѣсь (разныя извѣстія.) Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассаціонныхъ рѣшеній: а) кассаціонныхъ департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ—X. Объявленія казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость

и полезность такого органа на Кавказѣ доказывается вступленіемъ «Юридическаго Обозрѣнія» въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферова, Д. З. Бакрадзе, Ѳ. А Быкова, Ф. К. Бакало, Кн. К. А. Бебутова, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. І. Гулишамбарова, Н. А. Дингельштета, К. В. Долгова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджубова, Д. И. Киніани, Д. В. Квиркеліа, П. И. Ковалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера, Н. Я Николадзе, П. А Опочинина, Д. П. Пурцеладзе, Я. И Рашета, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А А. Фонъ-Ашеберга, В. А Хлѣбникова, П. А. Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго, кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ Уложеній— Уголовнаго и Гражданскаго, о водовладѣніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя Вахтанга, шаріату и др, о межеваніи, о пошлинахъ, о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разнхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о саношенахъ, о древне-армянскомъ законодательствѣ (изслѣдованія Мхитара-Гоша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

ᲝᲒᲔᲡᲘᲐ

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи) —Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3. р. 20 к; на 1 мѣс.—1 р. 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При перемѣнѣ адреса вносятъ 40 к.

Объявленія, казенныя и часныя строка петита 10 коп., $^1/_2$ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 р. 50 коп.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ «Юрид. Обозр.» продаются по 25 коп. въ Тифлисѣ, въ центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ. въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣнія редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.—Статьи безъ означенія условій гонорара признаются безплатными.—Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію «Юридическаго Обозрѣнія» экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.

რედაქციისაგან

წერილი «საბერძნეთზე,» სხვა და-სხვა მიზეზის გამო ისე ვერ იბეჭდება, როგორც დაწერილი იყო.

ამ წიგნთანვე ეგზავნებათ მზა წერილები და კონვერტები იმ ხელის-მოსაწერთ, რომელნიც ჟურნალის დებარებას მოისურვებენ 1884 წლისათვის.

ვისაც სრული თვისი ამ წლის «იგერიისა» ჯერ არ წარმოუდგენია, რედაქცია სთხოვს მალე გამოგზავნოს.

განცხადება.

მომავალს 1884 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, სამონასტროვის ქუჩაზე, 1-ს კლასიგურის გიმნაზიის უკან, ნაზარეთის სახლებში, აგრეთვე შავერდოვის საგენტოში.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მოსაწერი წერილი ან თანხა შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

კისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, კითხოვთ, მაღე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.